

სატანის  
გზა-კვალს  
ვეძებდი

მისტიკური იგავი

ვახო სალიასგან

თბილისი

2012

სატანის გზა-კვალს ვეძებდი

თბილისი, 2012, პირველი გამოცემა

პროექტის რედაქტორი

ქეთი კობიაშვილი

აქა ამბავი გურიის მხენელ-მთესველთა რესპუბლიკის  
პრეზიდენტ ბენია ჩხიკვიშვილისა, ნობელიანტ ფრიც  
ჰაბერისა, ნობელიანტ გუსტავ ჰერცისა, საქართველოს  
რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის ედუარდ  
შევარდნაძისა, სატანისა და ბევრი ჩვენგანისა

გარეკნის გასაფორმებლად გამოყენებულია

ლენ ს. რიფლის ფოტო

**ISBN 978-0042-0203-2-5**

© ვახო სალია 2012

## პროლოგი

2011 წლის 5 ნოემბერს “როიტერმა” გაავრცელა ინფორმაცია, რომ იტალიის ქალაქ ასიზში მდებარე წმინდა ფრანცისკის ბაზილიკის ერთ-ერთ ფრესკაზე რესტავრატორებმა სატანის გამოსახულება აღმოაჩინეს. აი ასე, მეცამეტე საუკუნეში ჯოტო დი ბონდონეს მიერ შექმნილ ნახატზე მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნეში იპოვეს თეთრ ღრუბლებში ჩამალული რქიანი თავი.

ფრესკის ფრაგმენტის ფოტოასლს ყურადღებით დავაკვირდი და ღრუბლებში მარცხენა მხარეს მივაგენი სატანის ბუნდოვან გამოსახულებას; ეჭვმა გამკრა, რომ ეს, შესაძლოა, ფერთა თამაშის შედეგად წარმოქმნილი ილუზია იყო:



ქეთის ვახვენე, მან კი იმწამზვე მიმითითა მარჯვნივ მდებარე საკმაოდ მკაფიო პროფილზე; ყოველთვის ასეა: რასაც ვერ ვამჩნევ, ის პოულობს ხოლმე:



არ ვიცი, რა ეშმაკი შემინდა. რამდენიმე დღეში გადავწყვიტე, ჩვენს უახლოეს ყოფასა და ხელმისაწვდომ წარსულში მომეჩქეკა სატანის ნაკვალევი.

სატანის შესახებ თქმულებებში, ლეგენდებში, ზღაპრებში, რომანებში, პოემებში, ნახატებში აღწერილი მხატვრულ-მისტიკური სახეები შეძლებისდაგვარად დავივიწყე და მხოლოდ მეცნიერების მიერ ძველი და ახალი აღთქმის კანონიკური ტექსტების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით შევიარადლი –

იობის და ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნებში სატანა უფლის ანგელოზად არის ნახსენები: **“ერთ დღეს მოვიდნენ ღვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად. სატანაც მოვიდა მათ შორის.”** თვისებებით იგი მაცთურია და ღვთის წინაშე ბრალმდებელი; ჯერ ქონების წართმევით, ხოლო შემდეგ, საშინელი ავადმყოფობის შეყრით, უბიძგებს მორ ილ იობს ღვთის დაგმობისკენ.

ეხევიელ წინასწარმეტყველის და ესაია წინასწარმეტყველის წიგნებში სატანა სიამპარტავნის გამო მიწაზე დამსობით დასჯილი ანუ დაცემული ანგელოზია.

ძველ აღთქმაში სიტყვა “სატან” გამოიყენება საზოგადო სახელადაც და ასე განისაზღვრება პირი, ვინც მტერია, მოწინააღმდეგეა, ხელისშემშლელია; მესამე მეფეთა წიგნში ამგვარად არიან სახელდებული “რეზონ ელიადაყის ძე, რომელიც გაექცა ჰადაყეზერს” და “ედომელი ჰადადი, ედომის მეფეთა შთამომავალი.”

ახალი აღთქმის მიხედვით სატანა: 1. ციდან ჩამოვარდნილია; 2. ნათლის ანგელოზის სახის მიღების უნარი აქვს; 3. მთავარანგელოზ მიქაელს ებრძვის; 4. ცდილობს იესო ქრისტეს ცთუნებას; 5. კაცის მკვლეელია; 6. სიცრუის, ტყუილის გამომგონებელია; 7. დიდი წითელი ურჩხულია, შვიდი თავით, ათი რქით და თავებზე შვიდი ღიაღმით.

ეს ზოგადად, ხოლო ამოცანის კიდევ უფრო გასაადვილებლად ფურცლებზე ამოვბეჭდე ამონარიდები ბიბლიური წიგნებიდან და საქმესაც შევუდექი.

## **P. S.**

ვერაფრით დავივიწყე, რომ ასტროლოგიურად მთვარის 29-30-დღიანი ციკლებიდან სატანისეულად მიიჩნევა მხოლოდ ოთხი დღე: **მეცხრე, მეთხუთმეტე, ოცდამესამე და ოცდამეცხრე.**

## თავი პირველი

უთხრა უფალმა სატანას: საიდან მოდიხარ?

მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან.

უთხრა უფალმა სატანას: თუ შეგინიშნავს ჩემი მორჩილი იობი? ხომ არავინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე? ალალი, წრფელი, ღვთისმოსიში კაცია, ბოროტებას განრიდებული.


მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: მერედა ტყუილუბრალოდ არის იობი ღვთისმოსიში?

განა შენ არ გყავს დაცული მთელი მისი სახლ-კართა და საბადებლითურთ? მისი ხელით ნაქმნარი შენგან არის კურთხეული, მისი საქონელი გამრავლებულია ქვეყნად.

აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელს მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა.

/იობი.1. 7-11/

1868.12.12=?



ბრესლაუ

აქ მოთხრობილი ეს უცნაური ამბავი 1868 წლის 12 ივნისს, 12 კუნძულზე განლაგებულ უმშენიერეს ქალაქ ბრესლაუში მოხდა. იმ დღეს ბოშამ ორსულ ახალგაზრდა ქალს უწინასწარმეტყველა, რომ ზუსტად ექვს თვეში – 12 დეკემბერს – მისგან სატანა დაიბადებოდა.

სახამ ისააკის საბაყლოდან გამოსულმა პაულამ ჩანთა ქვაფენილზე დადო, შავი ბარხატის კაბა თექობთან უმიზეზოდ ჩამოიფერთსა და გადაპარსულ თავზე მაგრად შემოჭერილი თეთრი ხილაბანდი ორივე ხელით გაისწორა.

ქაშერული ხორციის ყიდვა სახლთან ახლოს მდებარე დახლების რიგშიც შეეძლო, მაგრამ ბავშვობიდან შეუყვარდა ბოტანიკურ ბაღში სეირნობა და ამ

სასიამოვნო მოციონის შესასრულებლად ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა. ახლაც ბრესლაუს კოხტა ქვიშის კუნძულზე, სადაც ქმართან ერთად ცხოვრობდა, ხელოვნური ნაკრძალის გავლით უნდა დაბრუნებულიყო.

ბაღში შეაბიჯა თუ არა, კაქტუსებთან, პირდაპირი გზიდან მარჯვნივ გადაუხვია და შემოვლით, უკაცრიელ ბილიკს გაუყვა. მზეს პიკისტოვის მიედწია; იგი გულუხვად აფრქვევდა თბილ სხივებს, რომელთა, მრავალწლოვანი ხეების ტოტებში გაბლანდული, აჩრდილები საოცარ პეწს ჰმატებდა აქაურ ისედაც ჯადოსნურ გარემოს. შუაგზაზე მუხისგან ორად გაყოფილი მუხის გადმოზნექილი, ლამის მიწაზე განრთხმული ნაწილის ტოტზე აღმოჯდა, სახე მზეს მიაფიცხა, თვალები დახუჭა და მუცელში ახლახან ჩასახლებული პატარა არსების მომავალზე ოცნებების ტკბილ სამყაროში გაინავარდა.

მარცხნიდან ჯერ ჩუმი შარიშური მოესმა, შემდეგ კი მკაფიოდ გაიგონა ნაცნობი ჟღარუნი, რომელსაც ამ ქალაქში ხშირად მოხეტიალე ბოშა ქალების ყელსაბამად აკინძული მონეტები გამოსცემდა ხოლმე.





“მონისტო”, – გაიფიქრა, თვალები გაახილა და დაინახა თავზე წამომდგარი უჩვეულოდ მაღალი ქალი. პირველი, რაც ენაზე მოადგა უნებლიე კითხვა აღმოჩნდა:

– აქ საიდან მოხვედი? – პაულა მხოლოდ ასლა მიხვდა, რომ პასუხს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– ქვეყნად წანწალიდან; აგერ, გეახელი. აი ჩემი მარჯვენა ხელისგული. ჩამიდე გროშენი და ან ვერცხლის ტალერად გიქცევ, ან – ოქროს გულდენად; გააჩნია, როგორი გული გაქვს. თან ყველაფერს მოგიყვები, რაც თავს გადაგხდება, – სასიამოვნოდ დაშაქრული ხმით ალაპარაკდა უცნობი.

– თუ ასეთი ყოჩაღი ხარ, ეგ შენი მონისტოდ ასხმული რკინის რგოლები მოაჯადოე და ოქროდ გარდასახე, – პაულამ მარცხენა ხელი ინსტიქტურად ჩანთას ჩაავლო; იცოდა, უყვარდათ ბოშებს სხვისი ნივთების მითვისება; მარჯვენით კი მზე მოიჩრდილა. ასლა უფრო ნათლად გამოჩნდა არამკითხე სტუმარი.

მოხეტიალე ერის წარმომადგენელს წითელ-ყვითელ-ალისფერი უსაყელო ბლუზი მკერდს მხოლოდ ნაწილობრივ უფარავდა. ნარინჯისფერი ფურჩალით გარშემორტყმული, შინდისფერი ქვედაკაბა ეცვა. ბლუზის სახელოები დანაოჭებული ლურჯი მაქმანებით ბოლოვდებოდა; თავშალი გაშლილ თმებს მხოლოდ წარბებს ზემოთ უფარავდა. უცნობის ცისფერი თვალები, ფითქინა კანის ფერი გამორჩეული იყო და ბოშა ქალზე პაულას წარმოდგენებს აშკარად არ შეესაბამებოდა.

– პატარა ქალბატონო, ჩემი ყელსაბამი ჯადოსნურია და აუცილებლად უბრალო მეტალის უნდა იყოს. აი შენ კი მარგალიტის ფარღული დაგმშვენდებოდა. ქურდობაცაა გგონივარ და გროშენსაც არ მენდობი. არ დაგიმაღავ, სპილენძის ფული მკითხაობის საფასურად უნდა ამელო, მაგრამ შენს თვალებში ისეთი ნაპერწკალი დავინახე, ანაზღაურების გარეშე მოგემსახურები, – ბოშამ პაულას შუბლთან მიტანილი მარჯვენა ადვილად დაიმორჩილა, თავისკენ მიიზიდა, მტევანს ყურადღებით დააკვირდა და მოულოდნელად ხელი გაუშვა. – არ მინდა გული გატკინო, წადი, მშვიდობით იარე შენს გზაზე! – ქალმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. პაულამ, მიუხედავად იმისა, რომ ბოშების სამსახიობო ოსტატობის შესახებ ბევრი რამ სმენოდა, მჩხიბავის თვალებიდან გადმოდერილი სიბრაღული გულწრფელს მიაამსგავსა და სპექტაკლის გაგრძელება მოუნდა. თანაც, მკაცრი ტრადიციებით აღზრდილი, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა, რომ, პროტესტის და შინაგანი თავისუფლების ნიშნად, ცრურწმენების აკრძალული ხილისთვის კბილი წაეკრა.

– აჰა, გროშენი და, მოდი, მითხარი, რა მეღის.

– შენი გროშენი კი არა, ოქროც არ მინდა! – შორს დაიჭირა ბოშამ.

“თვალთმაქცობს, მიხვდა, რომ ანკესზე წამომავო და მაზანდას უწევს” – გაიფიქრა პაულამ, მაგრამ ცოუნების გადაულახავი ძალის ტყვეობაში მოქცეულმა თამაშში შეტოპა:

– ოქროს გულდენი წინასწარმეტყველებისთვის ძალიან ბევრია, აჰა შენ, ვერცხლის ტალერი!

– არ გეხუმრები, ფული შეინახე!

– ესეც გეცოტავა? მაშინ მოვილაპარაკოთ. მოდი, ორ ტალერს მოგცემ. მათ ნებისმიერი მოვაჭრე გოლდენში გადაგიცვლის! მე ჩემს სიტყვაზე დავრჩები, შენ შენს ოქროს მიიღებ! არც – შენი, არც – ჩემი! მგონი, კარგად ვივაჭრეთ? მეტის იმედი ნუ გექნება. თანაც, ხედავ, გადაპარსული თავით დავდივარ, ესე იგი ხასიდი ვარ და ჯადოქრობის ნამდვილად არ მჯერა. ჩათვალე, რომ მომეწონე და უბრალოდ გჩუქნი.

– ფულის თვლა და ანგარიში კარგი გცოდნია. უყაირათობას კი ვერ მოგიწონებ. მშვიდობით, მე ემი გზა მაქვს, შენ – შენი! – ბოშა შეტრიალდა და ქარი ნაბიჯებით გაემართა ბალის სიღრმისკენ.

– “ჰა-ვა ნა-გილა!” – ხასიდური მელოდიის რიტმში მდორედ წაიდიდინა პაულამ.

ბოშა უცებ მკვეთრად მოტრიალდა, მის გულმკერდზე კვლავ აჩხრიალდა რკინის რგოლების ყელსაბამი:

– სინაგურელი ბოშა გახლავარ, მალოროსი დედის შვილი. ცოტა ივრითი და ბევრი იდიში იქ ვისწავლე. მაშ “ჰა-ვა ნა-გილა!” მიგიხვდი! ამიტომაც მიყვარხართ ხასიდები! რაც არ უნდა მოხდეს, “ჰა-ვა ნა-გილა, ჰა-ვა ნერა-ნენა!” ეს, თუ არ ვცდები, თქვენს ენაზე: “მოდი. ვიმხიარულოთ და ვიმღეროთ”, არა? – ქუჩის მჩხიბავი მკერდის თამაშით მიუახლოვდა მოსანუსხ მსხვერპლს.

– გცოდნია. დალოცვილის შვილო. რაღა უნდა მითხრა ისეთი, რომ ხასიდი ქალი მწუხარებას მივეცე, სახე დავიხოკო და გლოვა გამოვაცხადო? – წააქეზა პაულამ.

– ღმერთი მაღალია, ყველაფერს ხედავს! იცის, არ მინდოდა, ორსულ პატარა გოგოს გული გტკენოდა, მაგრამ, რადგანაც დაჟინებით მთხოვ, და თანაც ჩემს ობლებს ორი ტალერი მაინცადამაინც არ აწყენთ, გეტყვი, რაც გელის. ჩემგან რა მიდის?! მით უფრო, მწუხარებას გულს თურმე ისედაც არ აკარებ.

ორსულობის ხსენებაზე პაულამ ქვემოთ დაიხედა. მხოლოდ მესამე თვეში იყო და მუცელი ჯერ არ ეტყობოდა. “აღბათ, რაღაც სხვა გარეგნული ნიშნები იციან ბოშებმა. ისინი ხომ ამით არიან ცნობილნი და უმეცარ ადამიანებს თავს გრძნეულებად აჩვენებენ” – გაიფიქრა პაულამ; ჯიბიდან ფული ამოიღო:

– აჰა, შენი ტალერი. მეორეს მკითხაობის შემდეგ მიიღებ!

– ო, როგორ გიჭირს ფულთან განშორება, ბარემ ბოლომდე გადაიხადე და მეც უფრო დიდი მონდომებით მოგიყვები ყველაფერს! – ტალერი გამოართვა და შემდეგის დაცინცვლა სცადა ბოშამ.

– ტალერი ხომ ისედაც არაფერში წამართვი? რატომ მთხოვ, მეორეც ტყუილად მოგცე? ფულს გამომუშავება უყვარს.

– პატარა, მაგრამ ასაკისთვის შეუფერებლად ბრძენი ხარ. მომაწოდე შენი ხელი. აი, ცხოვრების და სიყვარულის გზები გადაიკვეთა. საქმეები ყოველთვის ისე არ მიდის, როგორც შენ გინდა. აბა, შემომხედე, ხომ გამოვიცანი? – ბოშა თან ხელისგულზე ეფერებოდა,

– აბა მხოლოდ დალაგებული ცხოვრება ვის აქვს?! არც მე ვარ გამონაკლისი. ეგ შენი ბოშური ზღაპრები ჩემთან არ გაგივა.

– ნუ დეღავ, ღამაზო! მისმინე, რა გითხრა! უბედურება გელოდება, კარგ ამბებს ვხედავ, ქმარს არ უყვარხარ.

– არ იშლი, არა, შენსას? თუ უბედურება მელოდება, კარგ ამბებს როგორღა ხედავ? – გამოსტაცა ხელი პაულამ. – წამით მომეჩვენა, რომ წესიერი მკითხავი ხარ, მაგრამ, მგონი, შევცდი. წადი, თავი დამანებე, ალალი იყოს ის ტალერი შენი ობლებისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ისინი მართლა არსებობენ.

ბოშამ მოულოდნელად კვლავ გამოსტაცა მარჯვენა და ვერცხლის მონეტა ძალით ჩაუმუჭა:

– აჰა, დაგიბრუნე. რა ჯანდაბად მინდა დაწყევლილის ფული?! ისე გეტყვი სიმართლეს. ჯადოქარ დოქტორ ფაუსტის ამბავი თუ გსმენია? რამ გაგაოცა? გაგიკვირდა, გაუნათლებელი ბოშა ქალისგან? ეგ ფაუსტი, მეფისტოფელთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა რომ გაუვიდა, სასტუმროში იპოვეს საშინელი წამებით მოკლული. ეს სამასი წლის წინ მოხდა ბრესლაუს ერთ-ერთ სასტუმროში. ახლა

დადგა დრო, იგი კვლავ მოევლინოს ამ ქვეყანას, რა თქმა უნდა, ისევ იმ ადგილზე, სადაც დაიღუპა და მეფისტოფელს აქვე უნდა მიჰყიდოს სული. განა რა არის ამში უსამართლო? – პასუხის მოლოდინში თვალი თვალში გაუყარა ბოშა ქალმა.

– ვერა, ჩემო კარგო! ვერ მომნუსხე ვერც ხელის-გულზე ფერებით, ვერც შენი უსაზღვროდ ღრმა ლურჯი თვალების იდუმალებით და ვერც განსწავლულობით. ჯადოქარი, უფრო სწორად, თაღლითი დოქტორი ფაუსტი სამასი წლის წინ, შუადამისას სასტუმროს ოთახში დატრიალებული უბედურების შემდეგ, დილით მართლაც იპოვეს კისერმოტეხილი და მთელსხეულდაღურჯებული, მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა არა ბრესლაუში, არამედ – ბრეისგაუში, რომელიც აქედან საკმაოდ შორს მდებარეობს. აი ასე, ჩემო მშვენიერო! არ გაჭრა შენმა ბოშურმა ჯადომ. ბრეისგაუ სხვაა, ბრესლაუ – სხვა, – პაულამ დამამშვიდებელი კმაყოფილება იგრძნო. ახლა უკვე დარწმუნდა, რომ შესძლო საღი გონების შენარჩუნება. ერთადერთი, რაც არ სიამოვნებდა, დაირის უღარუნის შორეული ხმა იყო.

– რაო, პატარავ, მუსიკის ჰანგები ხომ არ გაწუხებს? შემომხედე, აქ შენსა და ჩემს გარდა არავინაა. რადგან ასეთი ჯიუტი ხარ და არ მემორჩილები, იქნებ მწარე სიმართლემ გაგხადოს თვინიერი. ის ფაუსტი შენგან იშვება, სატანას მიჰყიდის სულს და, ვიდრე ხელშეკრულების ვადა არ გაუვა, მისივე ბრძანებების აღმსრულებელი იქნება; სიცოცხლეს კი რომელიმე სასტუმროში ისევე დაასრულებს, როგორც მისი შორეული წინამორბედი და არავითარი მნიშვნელობა

არა აქვს, ეს ამბავი ბრეისგაუში მოხდება თუ ბრესლაუში, ბრიუსელში ან ბაზელში.

– ჯიუტი, მე კი არა, შენ ხარ! აბა, კარგად დაუფიქრდი, ეს თქვენი მეფისტოფელი ნუთუ მართლა ისეთი უსუსურია, რომ დამხმარედ ხორციელი ადამიანი სჭირდება ფაუსტის სახით?

– აი უკვე კარგი გოგო ხარ, ჭკვიანი და დამჯერი. ყოჩაღ! ნამდვილად დაიმსახურე, სრული სიმართლე იცოდე შენს მუცელში ჩასახული არსების შესახებ. მართალი ხარ, ის არ არის დოქტორი ფაუსტი. 12 დეკემბერს გვიან ღამე, მთვარის ოცდამეცხრე დღეს, მოაველენ ამ ქვეყანაზე განხორციელებულ სატანას. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. მშვიდობით! – ბოშამ ნელ-ნელა უკან დაიხია და მალე გაუჩინარდა კიდეც.

პაულა მუხის ტოტიდან წამოდგა; მზეს შეხედა. ბაღში სრული სიჩუმე იყო. ისეთი შეგარძნება დაეუფლა, თითქოს ჯადოსნური სამყაროდან დაბრუნდა დედამიწაზე. ჯერ ხორცის ჩანთა მოისაკლისა, უკვე მიხვდა, რომ სინამდვილეში ყველაფერი ისე კარგად არაა, როგორ ეჩვენებოდა. მაინც მოუხერხებია ბოშა ქალს მისი მონუსხვა. არასასიამოვნო სუნი შეიგარძნო. ტანზე დაიხედა, შავი ბარხატის კაბას მოწითალო ფერი დაჰკრავდა და ოფლის სუნით ყარდა. კარგად დააკვირდა: რატომღაც შინდისფერი კაბა ეცვა, რომლის ქვედა მესამედი კიდევე უფრო გაცვეთილი სტაფილოსფერი ფურჩალით ბოლოვდებოდა.

“ჩანთა წაიღო, მთელი – ფული, ტანსაცმელიც გამხადა, თავისი ძონძები ჩამაცვა და დიდი მადლობა, რომ ტიტველი არ დამაგდო”, – როგორც იქნა, სამყაროს რეალურად აღქმის უნარი დაუბრუნდა პაულას, – ”ხომ მეუბნებოდა დედაჩემი: შვილო, ბოშას ნურც თვალებს გაუსწორებ, ნურც ხელისგულს გაუწვდი, ნურც გამოეღაპარაკები, თორემ მოგნუსხავს და თავის ჭკუაზე გატარებსო. ახლა რაღას ვიზამ? როგორც წინაპრებმა დამიბარეს: ჰა-ვა ნა-გილა. ისე, რა სასაცილო სანახავი ვიქნები უხილაბანდო მოტველებილი თავით, ბინძურ ბოშურ სამოსში და ფეხშიშველი?! წარმომიდგენია, რამდენს იცინებს ჩემი ქმარი ზიგფრიდი!” – უკვე კარგ ხასიათზე დამდგარმა პაულამ გრძელი კაბის კალთა აიკრიფა და მხიარულად, ღიღინ-ღიღინით გააგრძელა სახლისკენ მომავალი გზა. ზუსტად ტაძრის ხიდის შუაში იყო, როდესაც მდინარიდან ყრუდ მოესმა ბოშა ქალის სიტყვები: “ქმარს არ უყვარხარ!” პაულა შეჩერდა, მოაჯირს მიუახლოვდა და მდორე ოდრს გადახედა. წელიწადის ამ დროს მდინარე ლამის იდგა და მისი ზედაპირი მზის შუქზე მწვანედ ლაპლაპებდა. პაულას გაახსენდა, რომ მან და ზიგფრიდმა მათი სიყვარულის ნამდვილობის დასამტკიცებლად სწორედ ამ ხიდს და ამ მდინარეს მიმართეს. მაშინ პაულა – ათი წლის, ხოლო ზიგფრიდი თერთმეტის იყო. ახლა არ აგონდება, ვის მოუვიდა აზრად ასე უცნაურად გამოეცადათ ბედი. თითო კენჭი აიღეს, აქ მოვიდნენ, მოაჯირთან ზურგით დადგნენ და ერთდროულად მოისროლეს ოდრში; მერე შემოტრიალდნენ და გულისფანცქალით დაელოდნენ, გადაკვეთდა თუ არა ერთმანეთს ნასროლი ქვების მიერ წარმოქმნილი წყლის რგოლები. მდინარემ მათი სიყვარული აკურთხა



და ბედნიერი წყვილი ხელჩაკიდებული დიდხანს დარბოდა ბოტანიკურ ბაღში.

პაულამ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი; კენჭები დაინახა, დაიხარა და ორი ცალი აიღო. ერთი მარჯვენაში, ხოლო მეორე მარცხენაში დაიჭირა, მოაჯირთან ზურგით შეტრიალდა და ქვები მდინარეში გადაყარა. ამჯერად წყლის ზედაპირზე წარმოქმნილმა რგოლებმა ერთმანეთი არ გადაკვეთა, მაგრამ ბავშვობის მოგონებით კმაყოფილმა პაულამ მაინც გახარებულმა განაგრძო გზა. უკვე ნათლად ესმოდა მისი ამგვარი ჩაცმულობის შემხედვარე ზიგფრიდის ხარხარის და მისი საპასუხო კისკისის ჰარმონიულად შერწყმული ხმები. “რა მშვენიერია ცხოვრება, გმადლობთ, უფალო!” – პაულას ყოველთვის ახსოვდა შემოქმედი და უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მისადმი მადლიერების გამოხატვა.



გუსტავ დორე. იობმა შეიტყო თავისი უბედურების შესახებ

ადგა იობი, შემოიხია მოსასხამი, გადაიპარსა თავი, დაეცა მიწაზე და თაყვანი სცა.

თქვა: შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ. უფალმა მომცა, უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი.

მანც არ შეუცოდავს იობს და ღვთის აუგი არ დასცდენია.

/იობი. 1. 20-21-22/

## თავი მეორე

უთხრა უფალმა სატანას: საიდან მოდიხარ?

მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან.

უთხრა უფალმა სატანას: არ შეგინიშნავს ემი მორ ილი იობი? ხომ არაეინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე? ალალი, წრფელი, ღვთისმომშიში კაცია, ბოროტებას განრიდებული. დღემდე სიალალით ინახავს თავს, შენ კი მაქეზებდი უმიზეზოდ დამელუპა იგი.

მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: ტყავი ტყავის წილ, მაგრამ სიცოცხლის წილ ყველაფერს გაიღებს კაცი.

აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე თავად მას - მის ძვალს და ხორცს, თუ პირში არ დაგიწყოს გამობა.

/იობი. 2. 2-5/

1868.12.12=11



თერთმეტის მაგიური სიმბოლო

1868 წლის 8 დეკემბერს, სადამოს, როგორც კი ჩამობნელდა, ზიგფრიდი იმ ოთახში შევიდა, სადაც პაულა იწვა და მაგიდაზე ხანუქას ერთი სანთელი აანთო. დღესასწაული დაიწყო. ახალგაზრდა ქალმა უკვე იცოდა, რომ ამ ღამეს გარდაიცვლებოდა; ქმართან გასაუბრება არ სურდა და თავი მოიმძინარა.

– ვიცი, გესმის. ძალიან გთხოვ, საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტები. ცოტაც მოითმინე და ყველაფერი კარგად დასრულდება.

– გილოცავ ხანუქას დაწვებას! გარეთ ძალიან ცივა? – მისუსტებული ხმა ამოიღო პაულამ.

– ყინავს; თოვს.

– თუ წერილი ფანტელებია, ზამთარი ხანგრძლივი და სუსხიანი იქნება.

– კუდიანივით ალაპარაკდი, ესე იგი უკეთ ხარ. ეზოს რომ მოგუახლოვდი, სახლის თავზე რაღაც ფრინველი დაფრინავდა. ჯერ ბელურა მეგონა, მაგრამ სამი წრე დაარტყა თუ არა, ლამის ცხვირწინ ჩამიქროლა, ნამდვილად დამურა იყო. აბა, ჩემო ლამაზო ჯადოქარო, ეგ რას უნდა ნიშნავდეს?

– დეკემბერში დამურების ფრენა ვის გაუგია? მაგათ ახლა ზამთრის ძილით სძინავთ.

– მეც ეგ არ მიკვირს?! შენ იცი ასეთი რამერუმეების ახსნა და ამიტომაც გეკითხები.

– ნუ დამცინი და მამასხარავებ! მგონი, მშობიარობის ჭინთვები მეწყება. მარტო დამტოვე. თუ დამჭირდები, მე თვითონ დაგიძახებ. ბებიაქალს ამ საზეიმო საღამოს ნაადრევად ნუ შევაწუხებთ, – არ მოისურვა ქმრისთვის ეთქვა, რომ იმ სახლში, რომელსაც დამურა თავზე სამ წრეს დაარტყამს, აუცილებლად ვიღაც გარდაიცვლება.

– ყურადღებით ვიქნები, კარებთან ახლოს წავეკითხავ მეოცე ფსალმუნს, – ზიგფრიდი მიუახლოვდა, შუბლზე აკოცა და ოთახიდან გავიდა.

\*\*\*

თვეზე მეტია, რაც პაულა საწოლს მიეჯახება. ექიმმა თქვა, რომ ასე ცუდად მიმდინარე ორსულობა მის პრაქტიკაში არასდროს ყოფილა. გულისრევებს ასე თუ ისე იტანდა, მაგრამ ნაყოფი სწრაფად იზრდებოდა და მეცხრე თვეში გადამდგარმა ქალმა სიარული ვეღარ შესძლო.

ბავშვის სქესი ჯერ მისმა ამხანაგმა იუტამ დაუდგინა. ამისთვის გამოცდილ ხალხურ მეთოდს მიმართა. ისინი ქუჩაში შეხვდნენ და ერთმანეთი მოიკითხეს. პაულას მუცელი უკვე ეტყობოდა. საუბრის დროს იუტამ მოულოდნელად შემოფოთებულმა შესძახა:

– ეგ რა მოგსვლია ხელზე? აბა მაჩვენე?

პაულამ ინსტიქტურად მარცხენა ხელი გაუწოდა. მეგობარმა დახედა, გადაიკისკისა და გაბრწყინებული სახით განუცხადა:

– ბიჭია, ნამდვილად ბიჭია. ამ საქმეს წყალი არ გაუვა. ბებომ მასწავლა, თუ ორსული ქალი ხელისგულს გადაგიშლის, ესე იგი გოგოს ელოდება, ხოლო თუ ხელისგულს მაღავეს, ესე იგი ბიჭის დედა გახდებაო.

– კარგი ერთი. ნუ იცი სისულელეების უცილობელ ჭეშმარიტებად გასაღება. თუ ეგ სიმართლეა, მარჯვენა-მარცხენასაც ექნება მნიშვნელობა.

– ამის შესახებ ბებოს არაფერი უთქვამს, მაგრამ თუ ორსულმა ორივე ხელი გამოგიწოდა, მაშინ აუცილებლად ტყუპებს შობსო.

– შენც იტყვი რა?! გამოდის რომ, შემთხვევით, დილის გამამხნევებელი ვარჯიშის დროს თუ წაუსწარი ხელფეხის მქნეველ ორსულ ქალს, იგი დედა ღორივით შვილების კოლტს უნდა ელოდოს!

– აი ასე იცი ყველაფრის გაბაიბურება, – ეწყინა იუტას.

დაქალს კი დასცინა, მაგრამ სახლში დაბრუნებულმა პაულამ სქესის დადგენის უკვე ბებიამისისეული მეთოდი გაიხსენა და საქმეს გულმოდგინედ შეუდგა. ზარდახშა გახსნა. ნემსი ჯერ შალის ნაჭერში რამდენჯერმე გაატარა, შემდეგ ყუნწში ძაფი გაუყარა და მარცხენა ხელით მარჯვენა ხელისგულზე დაკიდა. ნემსი თითქოს წრიულად ამოძრავდა, მაგრამ იმავე წამს საათის ქანქარასავით დაიწყო რხევა. “თუ ნემსი არ ამოძრავდება, ბავშვი მკვდარი დაიბადება; თუ დატრიალდება, გოგო გაჩნდება, ხოლო თუ აქანქარდება, ესე იგი ნამდვილად ბიჭია”, – გაახსენდა ბებოს სიტყვები. მერე, როდესაც მუცელი გამოეკვეთა და წვეტიანი გახდა, უკვე საბოლოოდ დაიჯერა, რომ ვაჟი დაატარებდა. ეს ამბავი ეამაყებოდა, უხაროდა და ახალისებდა. მიუხედავად მომწამვლელი ორსულობისა, მისი სახე გაღიმებული და მადლიერების გრძნობის გამომხატველი იყო.

სამი დღის წინ კი პაულა მოტყდა, მუდამ მხიარულს და სიცოცხლით სავსეს შიში შეეპარა. მიზეზი კი შემდეგი გარემოებები გახლდათ: ჯერ იყო და, მთელი დამე ვერ დაიძინა, წამდაუწუმ ლურჯი ფოსფორისებრი ნათება ეჩვენებოდა, გამთენიისას კი საწოლში მარცხენა მხარეს ვიღაც იგრძნო. ზიგფრიდი საწარმოში მორიგე იყო, მხოლოდ დილით უნდა დაბრუნებულყო. რადგანაც მას უყვარდა ჩუმიად შემოწოლა, პაულამ გაიფიქრა, რომ ჩასთვლიმა და ქმრის შემოსვლა გამოეპარა. გვერდზე მყოფი კი სიცივეს აფრქვევდა და არა და არ გათბა. გაკვირვებულმა პაულამ თვალები გაახილა, მენახეს შეხედა; შეცბუნებულმა ძალ-ღონე მოიკრიბა და საწოლიდან წამოდგა, რათა ამ არსებას, როგორმე, რაც შეიძლება სწრაფად, გაშორებოდა.

პაულას საწოლში პირადმა, გულზე ხელდაკრეფილი, თვალდახუჭული, ბოშის სამოსში გამოწყობილი მისი ორეული იწვა.

წამით დრო გაჩერდა; ტვინში სუსხი იგრძნო; “ყველაფერი დამთავრდა”, – გაუელვა ფიქრმა, მაგრამ, რადგან ორეული ისევე უცებ გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა, მიხვდა, რომ ეს ჯერ არ იყო დასასრული. უცნაურად კი მოეჩვენა, მაგრამ გონება სწრაფად დაუბრუნდა ნორმალურ მდგომარეობას. რაც მთავარია, ცოცხალი იყო, უკვდავი არავინაა და ამქვეყნიური ყოფა ცოტა ხანს კიდევ თუ გაგრძელდებოდა, ღმერთის უსაზღვროდ მაღლიერი იქნებოდა. “არც ისეთი საშიში ყოფილა სიკვდილი, თუკი მისი მოლოდინი ჯერ კიდევ არსებობს. რამდენიც არ უნდა ვიცოცხლო, ყოველი



წამი ჩემია” – შვება მოჰგვარა ამ აზრმა და რას იფიქრებდა, თუ მაშინვე მიიღებდა რიტორიკულ კითხვაზე პასუხს.

თითქოს ფანჯრის შუშას თოვლის დიდი გუნდა მოხვდა. პაულამ მიიხედა და ჯერ მინაზე გარედან აკრული ხელისგულები დაინახა, შემდეგ კი თანდათან გამოიკვეთა ცხვირმიჭყლეტილი ორეულის სახე, რომელიც რაღაცის თქმას ცდილობდა. ამჟამად აღარ შეშინებია. უცნობი სამყაროდან მოსული სტუმრის ტუჩების მოძრაობას დააკვირდა და გარკვევით წაიკითხა: “სამ დღეში!”

ეს უკვე საბოლოო განაჩენს ჰგავდა.

ორეულმა ხელისგულები მინაზე გააცურა, ერთმანეთს სახის წინ შეატყუა, თითქოს ადამიანმა ტაში ან ფრინველმა ფრთები შემოჰკრაო და გაუჩინარდა.

სამ დღეში 1868 წლის 9 დეკემბერი დაიწყო დადგომას.

თავისთავად ეს თარიღი განსხვავდებოდა ბოშა ქალის მიერ სატანის დაბადების დღედ ნაწინასწარმეტყველები 1868 წლის 12 დეკემბრისგან ანუ, თუ პაულა 9 დეკემბერს უნდა გარდაცვლილიყო, იგი სატანას 12 დეკემბერს ვერ შობდა. ასე რომ, ბოშა ქალის ვარაუდს განხორციელება არ ეწერა. ეს უკვე კარგი ახალი ამბავი გახლდათ.

\*\*\*

ზაფხულის იმ თბილ დღეს ბოტანიკური ბაღიდან შინ დაბრუნებულმა მკითხავის გაცვეთილი, ბოშური, სუნიანი ძონძებით შემოსილმა პაულამ და ტრადიციულ ხასიდურ ტანსაცმელში გამოწყობილმა ზიგფრიდმა თავიდან ბევრი იხალისეს. ბოშა ქალის მიერ შეთხზული ამბავი სატანის ხორციელად დაბადების შესახებ მეუღლეებისთვის სრულიად დაუჯერებელი რამ იყო. მათი რწმენით, სატანა მხოლოდ სულიერი სამყაროს ნაწილს შეადგენდა, რომელსაც ადამიანის ღვთის წინაშე წარდგენის დროს ბრალმდებლის როლი ეკისრებოდა და დამოუკიდებელ დაცემულ ანგელოზად ქრისტიანულ წარმოსახვაში და ამ ნიადაგზე შექმნილ ლეგენდებში არსებობდა. შემდეგ ბავშვის დაბადების თარიღად ბოშის მიერ დათქმულ 12 დეკემბერზე ანუ 12, მეთორმეტე თვეზე ისაუბრეს. ზიგფრიდმა გაიხსენა, რომ სოლომონის ტაძარი 12 ნაწილისგან შედგებოდა, იაკობის 12 ვაჟმა წარმოქმნა ებრაელთა 12 მოდგმა, დავითის ვარსკვლავს 12 კუთხე აქვს ანუ მეთორმეტე თვის მეთორმეტე დღე, წესით და კანონით, მხოლოდ სიკეთის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო.

– ბათ-მიცვაც 12 წლისას ამიტარდა, – თურმე თავისდაჭირად წამოსცდა პაულას.

– აი ეგ კი კანონზომიერებად ვერ ჩაითვლება. რადგანაც ბიჭებს ბარ-მიცვას, ერთი წლის შემდეგ, 13 წლის ასაკში უხდიან. ვითომ კაცები ქალებზე

ნაკლებები ვართ თუ რა? – პროტესტი გამოთქვა ზიგფრიდმა.

– საბოლოოდ დამნაშავე, რა თქმა უნდა, მე ვიქნები, მაგრამ, აჰა, დაიმახსოვრე, კონფლიქტი შენ დაიწყო. რა შუაშია აქ ბიჭების ბარ-მიცვის ასაკი? ვენ მხოლოდ 12–ის მნიშვნელობაზე ვსაუბრობდით და შენ შენი თარსი ცამეცით გააფუჭე ყველაფერი.

– პაულა, ძვირფასო!.. ნახე, რა სიყვარულით მოგმართავ?! შენთან კამათს როგორ გავბედავდი, მაგრამ, რადგანაც გამომიწვიე, კეთილი და პატიოსანი. მართალია, წინაპრებმა დაგვიბარეს: “მხოლოდ კარგზე იფიქრე და ყველაფერი კარგად იქნებაო”, მაგრამ მოვლენებს მხოლოდ ცალი თვალით უყურეთო, არ უთქვამთ. ციფრების სამყარო თავისთავად ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია.

– დაიწყება ახლა ცრურწმენების კორიანტელი.

– ცრურწმენები რა შუაშია? რიცხვებს და ციფრებს გარკვეული მყარი კანონზომიერება ახასიათებს. ეს თეორიები მეცნიერულად პითაგორას დროს ჩამოყალიბდა, მანამდე კი ჩვენებური კაბალით იყო განსაზღვრული. ასე რომ, ჩემო ძვირფასო და მშვენიერო, კაბალის ტრადიციით დადგენილ მოსაზრებებს ცრურწმენებად ნუ მოვხატლავთ.

– მიდი, მოყევი ზღაპრები.

– ნუ ხარ ასე განწყობილი, თორემ ხმას არ ამოვიღებ. ჩემთვის შენი ერთი ღიმილი უფრო მნიშვნელოვანია,

ვიდრე ადამიანების მიერ შეთხზული ციფრების კომბინაციების მთელი კიდობანი.

– ამიტომაც მიყვარხარ, ძვირფასო, – პაულა მიუახლოვდა და ლოყაზე ნაზად აკოცა.

– კეთილი, მაშინ მისმინე. დავიწყეთ 1868 წლის 12 დეკემბრით ანუ, რიცხვებით, 1868.12.12-ით. რადგანაც ცნობილია მხოლოდ მარტივი ციფრების მნიშვნელობები, ჩვენი ამოცანაა რიცხვების ერთობლიობის სწორედ ამგვარ ციფრამდე შემცირება. ეს მეთოდი კი პითაგორამ გვიანდერბა და, აი, ასეთია: ვიღებთ კონკრეტულ რიცხვს, ამ შემთხვევაში წლის აღმნიშვნელს 1868-ს და ვკრებთ ციფრების კომბინაციას:  $1+8+6+8=23$ , მიღებულ რიცხვს ვამატებთ თვის აღმნიშვნელი 12-ის ციფრების ჯამს:  $1+2=3$  და მიღებულ 26-ს ვამატებთ დღის აღმნიშვნელი 12-ის ციფრების ჯამს:  $1+2=3$ . საბოლოოდ მივიღეთ 29-ს. ახლა რიცხვ 29-ს ვამცირებთ კონკრეტულ ციფრამდე ანუ:  $2+9=11$ . თერთმეტი მისტიკური რიცხვია და ნუმეროლოგიაში მარტივი ციფრების ტოლ-სწორად მიიჩნევა. ეს თერთმეტი განსაზღვრავს 1868 წლის 12 დეკემბერს დაბადებულთა ბედ-იღბალს.

– ვთქვათ, დაგიჯერე. ახლა მითხარი, რა მაგიური ძალა აქვს ამ თერთმეტს.

– კაბალისტური ტრადიციის მიხედვით რიცხვი 11-ის ნიშნით დაბადებული ადამიანები, როგორც წესი, სიკეთისა და ბოროტების ზღვარზე არსებობენ. დიდია აღბათობა, რომ მათი ცხოვრების ვექტორი უფრო ბოროტების მხარეს გადაიხაროს.

– ეგ არ მომეწონა. მართლაც დეკემბრის შუაში უნდა ვიმშობიარო და უკვე არ მინდა, რომ ეს ამბავი 12 დეკემბერს მოხდეს. მაგრამ მოიცა!.. იცი, რა უნდა გითხრა? თუ ჩვენ კაბალისტურ ტრადიციებზე ვსაუბრობთ, მაშინ კეთილი ვინებოთ და ებრაული კალენდრის მიხედვით ვიანგარიშოთ. ალბათ სხვა შედეგს მივიღებთ და შენი ციფრების საკრალურ მნიშვნელობასაც, მგონი, წყალი შეუღებება.

– საიდან მოიტანე?

– შეგეშინდა, ყმაწვილო? – გათამამდა პაულა.

– კეთილი. მთლი ებრაული კალენდარიც ვნახოთ. 1868 წლის 12 დეკემბერი ჩვენებურად იქნება 5629 წლის 28 კისლევი, მეცხრე თვე ანუ რიცხოვრივად: 5629.28.09.  $5+6+2+9=22$ ;  $2+8=10$  და 9 ანუ შემცირების წესის მიხედვით  $22+1+9=32$ ,  $3+2=5$ . მივიღეთ 5.

– აჰა, ესეც შენი ციფრების საკრალურობის კრახი. ერთიდაიგივე დღე გრიგორიანული და ებრაული კალენდრის მიხედვით სხვადასხვა ციფრითაა დალდასმული. ახლა მითხარი, ეგ ხუთი რას ნიშნავს?

– ციფრი ხუთი, პენტაგრამა კაბალისტური ტრადიციით ცოდნის სიმბოლოა.

– ხოდა, ძალიან კარგი. დაიბადოს ჩვენი შვილი 12 დეკემბერს და თურმე ჭკვიანიც იქნება.

– იცი, რას გეტყვი? ციფრების მნიშვნელობის კაბალისტურად გააზრების გარდა, სხვა თეორიებიც

არსებობს. მაგალითად, პენრის კორნელიუსმა მთელი ნაშრომი მიუძღვნა ამ თემას

“ეჰ, რა ლალი დრო იყო და რა კარგად ვერთობოდით! ახლა კი ” – მოგონებებიდან რეალურ სამყაროში ჭინთვებმა დააბრუნა, თუმცა შეტყეობა ტკივილმა მაღე გაუარა და კვლავ ფიქრს მიეცა პაულა.

საათმა თორმეტჯერ დარეკა. ბრესლაუში 1868 წლის 9 დეკემბერი დადგა.

სიკვდილის მიზეზი ალბათ მშობიარობა იქნება, შესაბამისად პატარაც ამ დღეს გაჩნდება. პაულას დედის გული ჰკარნახობდა, რომ დაბადებდა ჯანმრთელ შვილს, რომელიც დიდხანს იცოცხლებდა და, რა თქმა უნდა, როგორც ზაფხულში ზიგფრიდთან ერთად დაადგინეს, აუცილებლად ჭკუის კოლოფი გაიზრდებოდა. მისი ცოდნისმოყვარეობა ციფრი 5-ის გაგების კაბალისტური ტრადიციით განისაზღვრა. თუმცა ამჟამად ხომ დაბადების თარიღი შეიცვლება? პაულამ უკვე დამდგარი თავისი მოსალოდნელი გარდაცვალების და შვილის დაბადების დღე ებრაულ კალენდარზე გადაიყვანა: 5629 წლის 25 კისლევი ანუ 5629,25.09. ამ რიცხვების შემცირებით აი რა გამოდის:  $5+6+2+9=22$ ,  $22+(2+5)+9=38$ . საბოლოო ციფრია  $3+8=11$ . ნუთუ ისევ ის წყეული თერთმეტი? “კაბალისტური ტრადიციის მიხედვით რიცხვი 11-ით აღნიშნული ადამიანები, როგორც წესი, სიკეთისა და ბოროტების ზღვარზე არსებობენ. დიდია ალბათობა, რომ მათი

ცხოვრების ვექტორი უფრო ბოროტების მხარეს გადაიხაროს”, – გაახსენდა ზიგფრიდის სიტყვები.

ტკივილისა და ჭინთვების მიუხედავად წყლის დაღვრა მაინც იგრძნო. ბებიაქალმა განაცხადა, რომ, რადგანაც წყალს საშოდან ბავშვის ხელიც გამოყვა, ესე იგი ნაყოფი არასწორადაა განლაგებული და მშობიარობა უფრო რთულად განვითარდება, ვიდრე ეს ჩვეულებრივად ხდება, მაგრამ საშიში არაფერიაო. მერე იყო მრავალჯერადი და ერთი ძალიან დიდი ტკივილი, რომელსაც თავიდან სიცივის, ხოლო მალე სითბოს შეგრძნება მოჰყვა. პაულას უკვე არაფერი სტკიოდა და არც არაფერი აწუხებდა. იგი მიხვდა: ისე გარდაიცვლებოდა, რომ შვილს ვეღარ ნახავდა. “უშვილოდ გამოვედი დედის მუცლიდან და უშვილოდ დავბრუნდები იქ, უფალმა მომცა სიცოცხლე და უფალმა წაიღოს, კურთხეულ იყოს უფლის სახელი”, – გაიფიქრა პაულამ; თვალები მიეღულა და დიდი განსაცდელის შემდეგ სხეული ნეტარებას მიეცა. ირგვლივ ყველაფერი გაბრწყინდა; მოულოდნელად შავი აჩრდილი გამოჩნდა; იგი თანდათან უახლოვდებოდა. პაულა მიხვდა, რომ ეს სიკედილის ანგელოზი იყო, მაგრამ არ შეშინებია. როგორც ჩანს, უკვე არც შიში არსებობდა და არც ტკივილი; ქალს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა: ეს ანგელოზი გაბრიელი იყო თუ სამუელი. პაულამ იცოდა, რომ ცოდვილთა სულის წასაყვანად უფალი სამუელს აგზავნის, რომელსაც ხელში კბილანებიანი დანა უჭირავს, ხოლო მართლებს გაბრიელი გამოეცხადება თანაბრად გაღვსილი ქაშერული სწორი დაშნით. ამიტომაც სტუმრის იარაღს დააკვირდა. როგორც ელოდა, ანგელოზის დანაზე რამდენიმე კბილანა

ათინათებს აფრქვევდა. პაულამ მორჩილად გააღო პირი, რათა მისი წილხვედრი სიკვდილის ანგელოზისგან მიეღო კუთვნილი სამი წვეთი: პირველი – სიცოცხლის შემწვევეტი, მეორე – სიკვდილის ნაღველი და მესამე – მოკვდინების შედეგის განმტკიცებელი. ანგელოზი მოუახლოვდა და დაშნა აღმართა. ახლოდან გარკვევით გამოჩნდა, რომ იარაღი სწორია და რაც პაულას კბილანები ეგონა, თურმე დანის პირზე განლაგებული ღვეთები ყოფილა.

– პირველი წვეთი დედის რძეა და ბავშვობას გაგახსენებს; მეორე წვეთი ქაშერული ღვინისაა და ბათ-მიცვის შემდეგ ცხოვრების ეპიზოდებს აღვიდგენს; მესამე წვეთი კი მადლია, რომელიც უფლის წინაშე წარსადგენად გაგასპეტაკებს, – სრულიად გასაგებ აქამდე უცნობ ენაზე ალაპარაკდა ანგელოზი გაბრიელი.

\*\*\*

იმ ღამეს ბრესლაუს ქვიშის კუნძულზე მდებარე პაულა და ზიგფრიდ ჰაბერების სახლში ბებიაქალი ერთდროულად ორ სიკვდილს უნდა შებრძოლებოდა.

ზიგფრიდმა ფრაუ სარა მეუღლის ოთახში შეაცილა. რადგანაც, ხასილური ტრადიციის მიხედვით, ცოლის მშობიარობის დროს ქმრის სახლში ყოფნა არ შეიძლებოდა, ქუჩაში გავიდა; თუმცა შორს არ წასულა; იქვე ტროტუარზე ბოლთას სცემდა და შიგადაშიგ ტუნებზე დამდნარ თოვლის ფანტელებს



ენით ილოკავდა, რომ ნერვიულობისგან გამომშრალი პირის ღრუ როგორმე დაენამა.

მიუხედავად იმისა, რომ პაულას წყალი უკვე დაეღვარა, სარა არ აჩქარებულა; თეთრი ხალათი კაბაზე გადაიცვა, ბრეზენტის წინსაფარი აიფარა და საჭირო ინსტრუმენტები საკვოიასიდან დინჯად ამოაღაგა. მენჯის საზომმა აჩვენა, რომ ნაყოფი ძალიან დიდი იყო და თანაც დაღვრილ წყალს საშოდან ჩვილის ხელიც გამოჰყოლოდა.

საქმეში საზარდულის კაუჭი და საჭიმები ჩართო: სამშობიარო მაშის მეშვეობით სცადა ნაყოფი გამოეყვანა, მაგრამ მისი არანორმალური მდებარეობის გამო ძალიან გაუჭირდა. სარა არჩევანის წინაშე დადგა: ნაყოფი ან გამოსაფხეკად მაკრატლით დაენაწვევებინა, ან ცდა არ დაეკლო და, თუნდაც საკმაოდ მძიმე ტრავმების მიყენებით, პატარისთვის სიცოცხლე შეენარ უნებინა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ბავშვი სერიოზულად დაზიანებულიყო და ინვალიდი დაბადებულიყო. გადაწყვეტილება მშობიარესთან შეთანხმებას საჭიროებდა. პაულა, უკვე აღარ კენესოდა და ისე იტყინებოდა, თითქოს შვებას გრძნობსო. მან შვილის მოკვდინებაზე კატეგორიული უარი თავის გაქნევით განაცხადა. გამოცდილი სარა მიხვდა, რომ დედის ორგანიზმი გაუსაძლისი ტკივილისგან თავის დასაცავად სრულ ეიფორიაში იმყოფებოდა და რეალურ სიტუაციას ვერ აცნობიერებდა. მიუხედავად ამისა ფორმალური პასუხი არსებობდა და ბებიაქალმა ძალ-ღონე მოიკრიბა ნაყოფის გამოსაყვანად.

\*\*\*

ჭიკლარი გადაჭრა, ბავშვი ზემოთ ასწია, რომ დედისთვის ეჩვენებინა; სარას არასოდეს მიუღია ასე დაზიანებული ნაყოფი, რომელსაც თითქმის მთელი სხეული ღურჯი ჰქმაცოძებით ჰქონდა დაფარული. ნამოქმედარის შერცხვა და დედისთვის ბოდიშის მოხდა დააპირა.

პაულას თავი უკან გადაეგდო და არ ინძრეოდა. შეშინებულმა სარამ ახალშობილს სასწრაფოდ თეთრ ნაჭერი შემოახვია, საწოლზე დააწვინა; სკალპელს დაავლო ხელი; პაულას კრიჭა გაუხსნა და სასულეში გადაცდენილი ენა ამოუღო. პაციენტმა ამოიხვნეშა და სუნთქვა დაიწყო. სარა ახლა პატარას ეცა. იგი ხმას არ იღებდა და თითქოს არც სუნთქავდა. ნაჭერი გახსნა, ციცქნა ხელებში ჩაავლო და ტაშისცემის იმიტაციით სცადა მისი მოსულიერება. პატარა დუმდა. სამაგიეროდ დედამისი ახროტინდა. მეანმა გახედა. პაულას მიტკლის ფერი ედო. სარა მიხვდა, რომ იგი საშვილოსნოს კედლის დახეთქვის შედეგად სისხლისგან დაცლილიყო და ეს ხროტინი სიკვდილის წინა აგონია იყო. სასოწარკვეთილმა ბებიაქალმა ფანჯარა გააღო და ზიგფრიდს გასძახა:

– მიშველევებეთ!

\*\*\*

როდესაც ზიგფრიდი ოთახში შემოვარდა, პაულა უკვე აღარ სუნთქავდა, მაგრამ ძალიან ლამაზი იყო. “კაცობრიობის ისტორიაში უმშვენიერესი ცოლი მყოლია და, რასაკვირველია, რომ ეს ბედნიერება

დიდხანს არ გაგრძელდა. ღმერთმა მიბოძა და მანვე წაიყვანა. კურთხეულ იყოს უფლის სახელი”, – გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა, გარდაცვლილს მიუახლოვდა, თვალები დაუხუჭა და ლოყაზე აკოცა. შემოტრიალდა, ფანჯარასთან იატაკზე გულწასული ბებიქალი ეგდო. ახლა კვლავ საწოლისკენ გაიხედა. იქ უმოძრაოდ იწვა შიშველი, ხელფეხგადაშლილი ლურჯი არსება და ხმას არ იღებდა.

– აი თურმე როგორი კაცი ყოფილა ჩვენი ფრიცი, ჩვენი ფრიც ჰაბერი, ჩემო პაულა, – მიუბრუნდა მეუღლეს ზიგფრიდი და უცებ მიხვდა, რომ ახლა რეალობის გრძნობა არ უნდა დაეკარგა და, მით უმეტეს, სასოწარკვეთა არაფრით შეიძლებოდა. პატარასთან მივიდა, ნაჭერში შეფუთა; ცხვირზე აკოცა. ცივი იყო. “აღბათ იმიტომ რომ, სარკმელია ღია”, – გაიფიქრა, ბებიქალს გადააბიჯა, ფანჯარა ჩარაზა.

– მაპატიეთ, ჰერ ზიგფრიდ! ვერ გადაგიჩინეთ ცოლ-შვილი, – ხმა ამოიღო სარამ.

კაცმა აღმაცერად შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა; მაგიდიდან სარკე აიღო და პატარას ცხვირთან მიუტანა.

– მიდი, პატარავ, მიდი! მომეცი სიცოცხლის ნიშანი. ოცამდე ვითვლი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი

სარკე დაიორთქლა

\*\*\*

## პაულა დაასაფლავეს

\*\*\*

ჰაბერების სახლში მხოლოდ მამა-შვილი დარჩნენ. უკვე ხანუქას ხუთი სანთელი ენთო. პატარა ფრიცის დაბადებიდან მეოთხე დღე იღეოდა. ამ ხნის განმავლობაში მას არც ხმა ამოუდია, არც რძე უჭამია; მხოლოდ გული უცემდა. ექიმებმა თქვეს: რამდენიმე საათიც და, თუ საკვებს არ მიიღებს, გამოფიტვისგან გარდაიცვლებაო.

ზიგფრიდმა ციფერბლატს შეხედა. მოლოდინში ისე დაოსტატდა, წუთების მაჩვენებელი ისრის მდებარეობით მიხვდა, რომ ათი საათის დადგომამდე ათი წამი რჩებოდა. თვლა დაიწყო:

– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა – მამას ბოლომდე არ დააცალა პატარამ და ისე დასჭექა, რომ ფანჯრები შეაზანზარა.

“1868 წელი, 12 დეკემბერი, 21 საათი, 59 წუთი და 59 წამი”, – ზიგფრიდი დიდხანს ელოდა ამ ბედნიერ დროს. იდლიდან რძის ბოთლი ამოიღო და საწოვარა ტუჩებთან მიუტანა.

მადა, იცოცხლე, კარგი აღმოაჩნდა, სულ თქვლეფათ-თქვლეფით მიირთვა საკვები. მერე ერთი ვაჟკაცურად დააბოყინა და კმაყოფილი სახით ძილს მიეცა.

ზიგფრიდი წიგნების კარადას მიუახლოვდა, ასტროლოგიური კალენდარი გამოაცურა და გადაშალა:


“1868 წლის 12 დეკემბერი.

10 საათი და 53 წუთი. დაიწება მთვარის 29-ე დღე, რომელიც განსაკუთრებით უბედურია ყველასა და ყველაფრისთვის. რაც არ უნდა გააკეთოთ, არაფერი გამოვა. ერთ-ერთი ყველაზე საშიში და საშინელი სატანისეული დღე.

21 საათი, 59 წუთი და 59 წამი, იწყება ახალმოვარობა.”

“არა უშავს, – გაიფიქრა ზიგფრიდმა, – რაც მთავარია, წლევეანდელი 9 დეკემბერი, ფრიცის ნამდვილი დაბადების დღე არ აღმოჩნდა მთვარის არც მეცხრე, არც მეთხუთმეტე, არც ოცდამესამე და არც ოცდამეცხრე დღე, რომლებიც ასტროლოგიაში სატანისეულად ითვლება,” – წიგნი დაკეცა და ნაღვლიანი თვალებით შვილს გახედა.

პატარა ფრიცს მშვიდად ეძინა. მან უკვე იცოდა, ტირილის ფასად საკვებს მიიღებდა. სამაგიეროდ დედამიწის ზურგზე ვერავინ იფიქრებდა, რომ 12 კუნძულზე გაშლილ ბრესლაუში 1868 წლის 12 დეკემბერს პირველად მიირთვა ვახშამი ფრიც ჰაბერმა, კაცმა რომელმაც მომავალში გვარჯილის მიღების მეთოდის გამოგონებით კაცობრიობა შიმშილით სიკვდილისგან უნდა იხსნას და პარალელურად თავის სამ მეგობართან ერთად საშინელ ცოდვაში ჩადგას ფეხი.



გუსტავ ღორე. იობი და მეგობრები.

**უთხრა ცოლმა: ახლაც ეჭიდები შენს სიალალეს? ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდი!**

**მიუგო: ერთი უგუნური დედაკაცივით ლაპარაკობ! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა! არც ახლა სცოდა იობმა თავისი ბაგეებით.**

**შეიტყო იობის სამმა მეგობარმა ყველა ეს უბედურება**

/იობი. 2. 9-10/

## თავი მესამე

უზომო ნაგაჭრმა აგავსო ძალადობით და სცოდნე; ამიტომაც მოგკვეთე ღვთიური მთიდან და გაგანადგურე, მფარველო ქერუბიმო, ცეცხლის ქვებს შორის.

გადიდგულდი შენი მშვენიერების გამო და წარყვენი შენი სიბრძნე სიამპარტავნით; ამიტომაც დაგამხე მეფეთა წინაშე და მათი საყურებელი გაგხადე.

/ეზეკ. 28. 16-17/

6 ძროხა, 6 თხა, 6 . . .

კავკასიის შავიზღვისპირეთში მდებარე უღლეურ ღლეზე გაჩენილ გურიის მხენელ-მთესველთა რესპუბლიკას რამდენიმე საათის არსებობადა რჩებოდა.

ხვალ 1906 წლის 10 იანვარს ამ პატარა მხარეში პოლკოვნიკი კრილოვი ისეთ სისხლისღვრას გააჩაღებს, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში.

დიფთერიის მამას, 1905 წლის ნოემბერში ამ ჯუჯა და უცნაური რესპუბლიკის შექმნამდე, ჰყავდა სამი ძროხა და ხუთი თხა. თხებიდან ერთი ვაცი იყო; მან თავის საქმე კარგად იცოდა, აი ძროხები კი ფურები იყვნენ და დამაკების დრო რომ დაუდგებოდათ, მეზობელ სოფელში სახელგავარდნილ ბუღა ჯოტოსთან გაიპარებოდნენ ხოლმე. საქონლის ნამატის ნაწილს ყიდიდნენ, ნაწილს დაჰკლავდნენ და დამამსხუდ ხორცს მთელი წლის მანძილზე მიირთმევდნენ. რძე, მაწონი, ყველი, ნაღული საკმარისზე მეტი ჰქონდათ.

რევოლუცია რუსეთის იმპერიის ამ მხარეში სხვებზე ადრე დაიწყო; მეზობლის კაცებიდან ზოგმა თოფი აიღო და ტყეში გაიჭრა, ზოგმა, ვისაც ჯირითობა ეხერხებოდა, ბათუმს მიაშურა, გემზე აიპარა და ამერიკაში გაემგზავრა. დიფთერიის მამა არსად წასულა; პატიოსნად უვლიდა სამ ძროხას, ხუთ თხას, თავისი ყოფით კმაყოფილი იყო და მეტი არა უნდოდა რა.

ოჯახში ცვლილებები მას შემდეგ დაიწყო, რაც ოზურგეთიდან ამბავი მოვიდა, რომ თურმე გურიის დამოუკიდებლობა გამოუცხადებიათ, ხოლო იქაურ მანდილოსნებს მაშინვე მანიფესტი მიუღიათ: ამიერიდან ქალები და კაცები თანასწორუფლებიანები არიანო. დედამ ეს ამბავი თავისებურად გაიგო. საღამოს ვახშად დამჯდარ ქმარს ტაბლასთან მიუცუცქდა და დაიწყო:



– ყველამ რაღაც მოიფიქრა! მეზობლებს ან თავადის, ან ამერიკელი ქალების ნაირფერი კაბები აცვიათ, მე კი, შემომხედე, ამ ძონძებით როდემდე ვიყო?

– რას ამბობ, ქალო? ის თავადის ქალების კაბები ნაძარცვი და ნაყაჩაღარია. მოჯირითე კაცების მიერ გამოგზავნილი ტანსაცმელი კი ამერიკელების მიერ სანაგვეზე გადაყრილი ყოფილა და თურმე იქაური ქეცი იცისო. როგორ გეკადრება! მოპარულს და სხვის გამონაცვალს ხომ არ ჩაგაცმევ?

– არა, ბიჭო, ეს დაკემსილი ჯვალო უკეთესია?! ახლა კარგად მომისმინე!

– რამდენს ბედავ, ქალო? რას ჰქვია, კარგად მომისმინე?! გველმა ხომ არ გიკბინა? – წამოხტა მამა.

– ხო, მიკბინა! წავიდა ძველი დრო. ახლა გურიაში ქალი და კაცი სწორი გამხდარა. გეყოთ, რაც ვენი სისხლი წოვეთ.

– გადარეულხარ, ქალო!

– ნუ ღრიალებ! მომისმინე. გურიის მთლად უფროსად – რაღაც უცნაურ სახელს ეძახიან?! – ხო, მგონი, პრეზიდენტი ჰქვია, ჩემი ნათესავი ბენია დაუნიშნავთ. წერილს გაგატან, მიხვალ იმ კაცთან და რაღაც სამსახურს მოგიხერხებს, იქნებ ჩვენც გვეშველოს რამე.

– რაღაც სამსახური, რას ნიშნავს? ვინ ბენია, ქალო?

– ვინ და ჩხიკვიშვილების!

- კაი, კაცო, მაგას ხომ მეც ვიცნობ?!
- ხოდა, რომ იცნობ, იმიტომ გეუბნები. უარს როგორ გვაკადრებს, რაც დელაჩემს მაგაზე ამაგი აქვს?
- რავა, წინდებს უკემსავდა თუ?
- ხმა ჩაიწყვიტე და მომისმინე. ამაღამ კეცის მჭადებს გამოვაცხოვრებ საგზლად და დილით ადრიანად წადი ოზურგეთში. ეს ჩვენი გლახაკი დიფთერიც წაიყვანე. ნახე, რას ჰგავს ეს უბედური. თერთმეტი წლისაა და ჯერ ქალაქი არ უნახავს ბავშვს. გაივლის, გამოივლის, თვალს წყალს დააღვინებს. სულ გამოლენ და აქაურობის ყურებით.

\*\*\*

ოზურგეთის მთავარ მოედანზე ზღვა ხალხი ირეოდა. დიფთერიისთვის აქ ყველაფერი უცხო იყო. ფაეტონებსა და ეტლებში შებმული ცხენები ფრუტუნებდნენ და ცქმუტავდნენ. ქალები და კაცები ერთმანეთში გაცხარებით კამათობდნენ; შეკრებილი საზოგადოების სხვადასხვა ფერის უცნაური სამოსისგან თვალები აუჭრელდა. აგურით ნაგებ შენობაზე გაკრულ წითელ ნაჭერზე პატარა ბიჭმა ასო-ასო წაიკითხა: ძ-მ-ო-ბ-ა, ე-რ-თ-ო-ბ-ა, თ-ა-ფ-ი-ს-უ-ფ-ლ-ე-ბ-ა!

- ვისია, ეს ბავშვი? ე, ბიჭო, მოკუმე პირი, თორემ ჩაგასკინტლავს ჩიტი! – ნიკაპზე მარჯვენა ხელის შუათითი ამოჰკრა დიფთერს უცნობმა, რომელიც აქაური პუბლიკისგან ეროვნული ჩაცმულობით გამოირჩეოდა: თავზე ბოხოსი ეხურა და მხრებზე თეთრი ნაბადი მოესხა.

– ჩემია, ბენია ბატონო! ვერ მიცანით, თუ? – სახე გაუბრწყინდა მამას.

– გიცანი, როგორ ვერ გიცანი! როგორაა ჩემი დაიკო? სადაა? აქ რატომ არაა? ჩაგრაგოთ ხომ მამა-შვილი?

– თქვენთან წერილი გამომატანა, აი მიირთვიო!

– მიტინგის მერე მოდი, ჩემთან სასახლეში.

ბენიას წინადადების დასრულება ხალხმა არ აცალა. იგი იცნეს თუ არა ატყდა, მაგრამ რა ატყდა. მოედანზე შეკრებილმა ბრბომ ერთხმად დაიწყო “ბენია-ბენიას” ხმამაღლა ძახილი. უცვებ საიდანღაც თოფიანი სამხედროები გაჩნდნენ, ხალხი მიყარ-მოყარეს, ბოხოხიან კაცს შემოეხვივნენ და წითელი ნაჭრის ქვეშ გამართული სახელდახელო ტრიბუნისკენ წაიყვანეს.

“ბენია, ბენია, ბენია, ბენია” – უსასრულოდ გუგუნებდა ბრბო.

– ვინაა ეს კაცი? – მიუბრუნდა მამას დიფთერი.

– ბენია ჩხიკვიშვილი, ჩვენი ნათესავი და გურიის პრეზიდენტი!

– პრეზიდენტი რას ნიშნავს, მამა?

– მერე გეტყვი, ახლა ამის დრო არ არის! ბენია, ბენია,  
– შეძახილებს ხმა მიაშველა მამამ, – თან დიფთერი ხელში აიტაცა და მხრებზე შემოისვა.



### გურიის პრეზიდენტი ბენია(ბენიამინ) ჩხიკვიშვილი

თეთრნაბდიანის უკან თორმეტი შავნაბდიანი კაცი მოეწყო და პრეზიდენტის სიდიადე კიდევ უფრო გამოიკვეთა; ბოხობი მოიხადა, მარჯვენა ხელი აღმართა. ხალხი გაიტრუნა:

– დებო და ძმებო! – დასჭექა ბენია ჩხიკვიშვილმა. – ემოციების გამოსატვის უფლება სხვა თავისუფლებებთან ერთად მოგანიჭათ ჩვენმა რევოლუციამ და გურიის რესპუბლიკამ. ხოდა, როგორ აგიკრძალოთ “ბენია-ბენიას” ძახილი?! მხოლოდ ერთ ამბავს მოგიყვებით. ჩემს ბავშვობაში უბანში ერთი კაცი ცხოვრობდა. იურა ერქვა. სახლში კი ჰყავდათ გამომწყვდელი, მაგრამ ზოგჯერ გამოიპარებოდა ხოლმე; თავზე ტირიფის გვირგვინს დაიდგამდა, ცოცხის ცხენზე შემოჯდებოდა და ასე დარბოდა

ქუჩაში. პატარებს გვიხაროდა მისი დანახვა, გამოვეკიდებოდით, კუდში ჩავუდგებოდით და "იურა-იურას" შეძახილებით ვამხნევებდით. ხოდა, ჩემო ძმებო და დებო! რა უნდა გითხრათ?! არც მე ვარ იურა და არც თქვენ ხართ მაინცადამაინც პატარები! ძალიან გთხოვთ, დღეისამასიქით, თქვენ თვითონ გადაწყვიტოთ, "ბენია-ბენიას" დამიძახებთ – "იურა-იურას" თუ აღიარებთ, რომ თავისუფალი გურიის ზრდასრული, გონიერი, შეგნებული მოქალაქეები ბრძანდებით!

ატყდა ხალხში სიცილ-ხარხარი.

– კოჭებში ვატყობდი, რომ დიდი კაცი გახდებოდა შენი ბენია ბიძია, შვილო! ნახე, რამდენი ადამიანი უჯჯრებს?! მგონი, სწორად მოვიქვეცით აქ რომ ამოვედით. წავიდეთ ახლა სასახლესთან და იქ დაველოდოთ.

სწორად მოიქცა თუ არა ადამიანი, ამას ყველაზე უკეთ დრო აჩვენებს. დიფთერიის მამას ეს დრო იმ ავადსახსენებელ 1906 წლის 9 იანვარს დაუდგა. იგი უკვე პრეზიდენტ ბენია ჩხიკვიშვილის სასახლის მწე იყო და დიდ კაცად ითვლებოდა. გურიის საზღვრებს მომდგარმა პოლკოვნიკმა კრილოვმა ულტიმატუმში შემოთვალა.

გურულმა მთავრობამ პასუხი კოლექტიურად მოამზადა.

მინისტრები და მრჩეველები რომ გაიკრიფნენ, ბენია ჩხიკვიშვილმა ღვინით სავსე ჭიქა ასწია და სუფრის ასაღაგებლად შესულ მნეს მიმართა:

– ჩემო სახლიკაცო, შარშან მარტში გენერალ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკის ათიათასიანი არმია აქედან ხელცარიელი გავეშვით; მერე, ოქტომბერში ნასაკირალთან ბრძოლა მოვიგეთ და ეს ვილაც ქეციანი პოლკოვნიკი კრილოვი რას მიქვია?! ჩხუბი მორევაზეა! ერთი კაცია იგი და ერთი ვარ მეც!



მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი

– ვიცოდი, ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას მიიღებდით. ან სიკვდილი, ან გამარჯვება, – ომასიანად დაეთანხმა დიფთერის მამა, რომელიც სულ რაღაც ერთ თვეში ისე გაიწაფა, რომ რევოლუციონერების ღოზუნგებს მოხერხებულად ჩაურთავდა ხოლმე საუბარში. თეფშები გობში ჩააღაგა და თან ფიქრებში განავრცო

აზრი: ”რა სულელური გამოთქმაა – ან სიკვდილი, ან გამარჯვება? – გამარჯვება ხომ სიცოცხლისთვისაა საჭირო?! იგი მკვდარს არად არგებს.”

შუალამე ახლოვდებოდა, როდესაც ღიფთერი მამამ გააღვიძა:

– ადექი, სწრაფად ჩაიცვი! მივდივართ!

– ამ ბნელში და ყინვაში სად ჯანდაბაში უნდა წავიდეთ?

– ნუ მსჯელობ! სწრაფად. მტერი კარზეა მომდგარი. ხვალ აქ ბევრი სისხლი დაიდვრება. რაც უფრო მალე წავალთ, მით უკეთესი ჩვენთვის. თანაც დიდი გზა გველის; სამეგრელოში, ტაბაკონის მთაზე უნდა ავიდეთ.

– რას ამბობ? ეგ ხომ ჯადოქარ როკაპის და მისი კუდიანების მთაა? იქ რა ოხრობა გვინდა?

– როკაპის და კუდიანების რომ არის, სწორედ ამიტომაც მივდივართ. იმ მთის ყველას ეშინია და იქ ძებნას არავინ დაგვიწყებს. ნუ აცახცახდი, შე მართლა გლახაკო; ახლა ტაბაკონზე ისე ცივა, ზურგზე ძუძუებგადაკიდებული, როდინზე შემომჯდარი, ეშვებიანი კუდიანი დედაბრები იქ გასაყინად არ მიფრინდებიან. ხომ იცი, ეგენი მთაზე ჭეჭეთობაზე, მარიობა ღამეს, იკრიბებიან?!

– კუდიანები კი, მაგრამ მათი მეთაური როკაპი ხომ იქ რკინის სოლზე მეორედ მოსვლამდე მიჯაჭვული?

– რამდენს ლაპარაკობ, შე მართლა ლენო? მოწიე, ბიჭო, ეგ გაბურძენული თავი. თმებზე, აი, სანთლის ანათალს მიგაწებებ და ავი სულები ვერაფერს დაგაკლებენ.

სამეგრელოსკენ მიმავლებმა გზად ოზურგეთის განაპირას მდებარე პრეზიდენტის სასახლის ფერმაში შეიარეს. მამამ დარაჯი დაითხოვა – მტერი მოგვადგა, წადი, ცოლ-შვილი გახიზნე, აქაურობას მე მივხედავო.

\*\*\*

გურიის მხვნელ-მთესველთა რესპუბლიკის დაცემის დღე – 1906 წლის 10 იანვარი – რომ დაიწყო, დიფთერი და მამამისი კაშკაშა სავსე მთვარის შუქზე ტაბაკონის მთისკენ მიერეკებოდნენ იმ უდღეური ქვეყნის ბოსლიდან წამოყვანილ: ექვს ძროხას, ექვს თხას და ექვს – ამ მხარეში ჯერ არნახულ უცნაურ ცხოველს – სირაქლემას.

იმ ღამეს გურიაში ასტროლოგიურად მთვარის მეთხუთმეტე ანუ სატანისეული დღე იყო.



## ჩრდილო კალთებზე

და რა არის საკვირველი, რადგან თვით სატანაც ხომ  
ნათლის ანგელოზის სახეს ღებულობს.

/ 2კორ. 11;14 /

გუშინ ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა  
ზემთო ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო  
მთაზე, ჩრდილო კალთებზე მადლა ღრუბლებში  
ავიჭრები, უზენაესს გაგუტოლდებიო.

/ესაია 14. 13/

ჭეჭეთობის წინა დილით, როდესაც იგი ტაბაკონის  
მთაზე ამოვიდა, იმდენად სხვანაირი იყო, რომ  
დიფთერმა ვერ იცნო. სტუმარს დუნიაზე ბევრი  
ესეტიალა, ხოლო ერთ დროს ოზურგეთის მთავარ  
მოედანზე პირდაუჩენილ ბიჭს, რომელიც უკვე ოცი  
წლის შესრულდა, ამ მხარიდან ფეხი არ მოუცვლია;  
მოსულს ქარტეხილები გამოეველო და უზარმაზარი  
გამოცდილება ჰქონდა, ბიჭი კი მეწისქვილესთან  
შეკრებილი ხალხის ნაყაყანართ იცნობდა გარე  
სამყაროს.

1914 წლის ზაფხულის მარიამობისთვის იყო. ტაბაკონის მთაზე მამა-შვილი ძველებურად ცხოვრობდა და უვლიდა: ექვს ძროხას, ექვს თხას და ექვს სირაქლემას. ძროხები ფურები იყვნენ, თხები და სირაქლემები – დედლები. კუდიანების მთის ბინადრებს კი გარშემო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა იმდენად უფრთხოდა, რომ თავის ბუდეებსა და ვაცებს უკრძალავდა იმათ შესაბამის ფურებთან და დედალ თხებთან შეჯვარებას. რაც შეეხება მამალ სირაქლემას?! მისი მსგავსი არსება ამ მხარეში მხოლოდ ფასკუნჯზე ლეგენდებში არსებობდა. ერთი შეხედვით ამ მარტივი მიზეზების გამო, მამა-შვილის შინაური ცხოველები ვერ მრავლდებოდნენ.

დედის დაღუპვის ამბავი სოფელში დარჩენილი სამი ძროხის და ხუთი თხის ამოსაყვანად წასულმა მამამ მოუტანა შვილს. გურიის მხნელ-მთესველთა რესპუბლიკასთან ომში გამარჯვებულ რუსეთის იმპერიის სტრაჟნიკებსა და სალდათებს ალაფად სოფელში დატოვებული საქონლის წაყვანა უცდიათ; დედა წინ გადაღობებია; ჯერ მე მომკალით და პირუტყვი მერე გაირეკეთო. სტრაჟნიკს სალდათისთვის გადაუთარგმნია ეს სიტყვები; იმას კიდევ, მერე მაგაზე ადვილი რა არისო, აუღია და, ტყვია შიგ გულში გაურტყამს ამაყი ქალისთვის. თვითონ მთხოვა და უარს როგორ ვეტყოდით, – სიცილით უყვებოდა თურმე ოზურგეთში ნაძარცვის გაყოფისას თავის ამხანაგებს.

უქალოდ დარჩენილმა ოჯახმა ტაბაკონზე დაიდო ბინა. ახლომახლო მცხოვრებლებში მალე გავარდა ხმა

– მთაზე ოჩოკონი და ჭინკა გაჩნდნენ და ჯადოქარი ცხოველებიც მოაშენესო. ამ ამბიდან პირველ მარიობის დამეს სოფლებმა ზემოთ ასვლა ვერ გაბედეს, მთის ძირას, მთელ გაყოლებაზე, ფიხი შემოაწვეეს და კოცონი გააჩადეს – არიქა, კუდიანები როკაპთან არ ავუშვათ და არც ტაბაკონზე დასახლებულ ჭინკას და ოჩოკონს მივცეთ ჩვენს სოფლებში შემოსვლის უფლებაო. გადმოცემით იცოდნენ, რომ ავ სულებს ცეცხლის ეშინიათ.

წლები გარბოდა, ამგვარი კოცონის გამართვა ტრადიციად იქცა, მაგრამ გვერდიგვერდ ცხოვრებამ თავისი ქნა და გაუცხოებულ მხარეებს შორის ურთიერთობის გზაც გამოინახა. ოჩოკონს და ჭინკას სიმინდის ფქვილი, ლობიო და ბოსტნეული სჭირდებოდათ, სოფლებებს – ყველი. კავშირს ჩასიძებული მეწისქვილე კოლია რიჟიკის მეშვეობით ამყარებდნენ. დაანთებდა ჭინკა მთის წვერზე კოცონს, მიხვდებოდა კოლია რიჟიკი, რომ რძე და ყველი მზად იყო გასაცვლელად და პასუხად კოცონითვე უპასუხებდა. აიტანდა ჭინკა-დიფთერი თავის ნაწარმს დათქმულ ადგილზე, აიღებდა მისთვის განკუთვნილ საკვებს და ამაზე შორს მათი ურთიერთობები არ მიდიოდა. კოლია მეწისქვილე ჭინკის მოტანილ პროდუქტს თანასოფლებებს არ აჭმევდა; ფოთის ბაზარში მიჰქონდა, ყიდიდა და მოგებულ იფულით იქვე გლეხებისგან სხვა ყველს ყიდულობდა. აბა, კუდიანების და ეშმაკების ამოყვანილ სულუგუნს ხომ არ ჩაახარშვინებდა ღომში თავის მოყვარე-ნათესავე-მეზობლებს?!

დიფთერი იმ დილით შორს გადაფურთხებაში ვარჯიშობდა; ნერწყვი ბლომად დაიგროვა, ღრმად აისუნთქა, მიწაზე სამიზნე ქვა შეარჩია, თავი ასწია, ნაფურთხს თვალი მიადევნა და ის უცხოდ გამოწეპილი ადამიანი პირველად სწორედ მაშინ დაინახა. ამ მხარეში კაცებს ჩვეულებრივად შინნაქსოვ გრძელ ბამბის პერანგზე თოკი ჰქონდათ შემოჭერილი, ფეხდათავშიშველი დადიოდნენ, ხოლო თუ აცივდებოდა, მხარზე ნაბადს მოისხამდნენ, ფეხზე შალის ნაქსოვ წინდებს და ძროხის ტყავის ნაოჭიან ქალამნებს მოირგებდნენ; დაუპატიუებელ სტუმარს კი შარვალი, ფეხსაცმელები და ჭრელი მაისური ეცვა.

დიფთერს უყვარდა ღამდამობით წისქვილთან ჩარბენა და იქ შეკრებილი გლეხების საუბრისთვის მიყურადება. ასე, კედლის ღრიჭოზე ყურმიდებულმა, წყლის შხუილის, დოლაბის შრაშუნის, სიმინდის მარცვლების ხრიალის ფონზე ისწავლა მეგრული და ცოტაოდენი რუსული. მორიგი ასეთი მოსმენის დროს გაიგო, რომ სოფელში, ერთ ოჯახში, საზიარო შარვალი, ჩოხა და ფეხსაცმელები ინახებოდა. ამ საზეიმო სამოსს აქაურები თურმე მხოლოდ საპატარძლოს გადასანახულებლად იცვამდნენ. ამიტომაც დიფთერი დარწმუნებული იყო, რომ თუ აქაურ კაცს შარვალი ეცვა, ესე იგი საცოლის დასანიშნად იყო გამოპრანჭული და ჩუმად ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც თვითონაც შესძლებდა იმ ტანსაცმლით სარგებლობას. ტაბაკონის მთაზე გასათხოვარი ქალი კი არა, კუდიანი დედაბერიც არ ეგულებოდა და ეს სასიძოსავით

გამოწყობილი კაცი, ნეტავი, ვისი ხელის სათხოვნელად ამოვიდაო?! – ერთი კი გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე ბავშვობაში ოზურგეთის მოედანზე ჭრელაჭრულად შემოსილი ადამიანების ბრბო გაახსენდა და მიხვდა, რომ სტუმარი, შესაძლოა, იქიდან ან უფრო შორიდან ყოფილიყო.

– საიდან მოდიხარ? – ხმამაღლა გასძახა მოახლოებულ უცნობს.

– ქვეყნად ხეტიალიდან ამ მთას მოვადექი. გლეხებმა თქვენთან მომასწავლეს.

– უშიშარი კაცი ყოფილხარ! ეს ტაბაკონის მთაა. აქ როკაპი ბინადრობს და ჭეჭეთობა ღამეს – ანუ ამაღამ – მთელი დუნის ეშვებიან კუდიან დედაბრებს მოუხმობს; ისინიც, ზოგი როდინზე, ზოგი ცოცხზე, ზოგი მგელზე ამხედრებულნი მოშლიგინდებიან, თან მათ მიერ დაღუპულ ადამიანთა გულებს მოიტანენ და წლის განმავლობაში ჩადენილი ბოროტი საქმეების შესახებ ამბებით იტრაბახებენ. ასე ამბობენ სოფელში, თორემ მე და მამაჩემი აგერ უკვე ცხრა წელია, აქ ვბინადრობთ და ჯერ მსგავსი არაფერი გვინახავს.

– ესე იგი, რომ ნახო, იცნობ?

– მაგათ ცნობას რაღა უნდა, ხომ გითხარით როგორები არიან? ბევრჯერ წარმომიდგენია და უფრო მეტჯერ დამსიზმრებია.

– ცხოვრება წანწალში გავატარე. ხანშიშესულ ქალებსაც გადავყრილვარ. უნდა გითხრა, რომ

ზოგიერთს წინა კბილები აკლია და მხოლოდ ეშვებოდა უჩანს. შენ რომ გისმინოს კაცმა, ისინი ბოროტი კუდიანები ყოფილან.

– ეშვების გარდა კუდიც უნდა ჰქონდეთ.

– წელზე შემორტყმული ქამრის ნაწილიც ხომ შეიძლება მთვარის შუქზე კუდად მოგეჩვენოს და უნებლიეთ ცილი დასწამო ასაკით შენზე ბევრად უფროს ქალბატონს? ერთი ეს მითხარი, რომელი ღმერთი გწამს?

– როგორ თუ რომელი? რა თქმა უნდა, ჩვენი – ქრისტიანული.

– შენ გინდა მითხრა, რომ ეს ჭინკების, კუდიანების და როკაპის საბოგინო მხარე ქრისტიანული ქვეყანაა?

– აბა, რა? დედა მიყვებოდა, ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანები ვართო.

– თქვენში რამდენ ადამიანს სწამს როკაპის არსებობა?

– ყველას.

– მერე შეიძლება, ყველა ერთდროულად ცდებოდეს? – ჩურჩულით თითქოს თავისთავს ჰკითხა უცნობმა და დიფთერს ომახიანად შესძახა, – საინტერესო კაცი ჩანხარ! – შემდეგ ხმას კვლავ დაუწია და მასპინძელს თავი შეაცოდა. – შორი გზიდან მოვდივარ, წუხელ არ მძინებია, დასვენება მჭირდება. მთის ჩრდილოეთი

კალთა რომელია, რომ იქ ცოტა ხნით თვალი მოვატყუო.

– თუ გვიკადრებ, აგერ მიწურში მობრძანდი და მოისვენე.

– არა, მხოლოდ ჩრდილოეთ ფერდობზე შევძლებ მშვიდად ძილს. იქ, სუფთა ჰაერზე, მაღლა ღრუბლებთან ახლოს ვიქნები და მზეც ნაკლებად შემაწუხებს.

– ამ მთის ფერდობებს თუ სახელებიც ერქვათ, არ ვიცოდი. წავალ, მამას ვკითხავ; იქნებ იმან მითხრას ჩრდილოეთის შესახებ რამე.

– არ გინდა, ნუ შეაწუხებ, – გაეცინა სტუმარს, მზისკენ პირით დადგა, მერე მარცხნივ მიბრუნდა, წინ გაწვდილი ხელი მაყვლის ბუჩქებს დაუმიზნა და იმ მიმართულებით წავიდა. – ბევრი რამ უნდა გასწავლო. გამოვიძინებ და მერე შენთან საუბარს რა ჯობს ან ვინ დამიშლის?! – თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა. მერე შემოტრიალდა და ისე, სხვათა შორის, იკითხა, – რაო, რა მითხარი, რამდენი წლის ვარო?

– ოცის გავხდი.

– ყოჩაღ! კარგია, კარგია! ესე იგი, ტყუილად არ მივლია ამდენი.

იმ ჭეჭეთობის ღამესაც ტაბაკონის მთის ირგვლივ კოცონები ენთო. ავი სულებისგან დასაცავად, უკლებლივ ყველას, თმებში სანთლის ნაჭრებიც ჰქონდა ჩაწებებული; სოფლის კაცები ქეიფობდნენ, ბავშვები ცეცხლს ფიხს უმატებდნენ და კოცონზე გადახტომაში ეჯობებოდნენ ერთმანეთს; ქალები კი ხან კაცების სუფრას ემსახურებოდნენ, ხანაც პატარებს აშოშმინებდნენ, რომ მათი ბავშვური კინკლაობა ჩხუბში არ გადაზრდილიყო.

სტუმრის ვინაობას ვერც მამა მიხვდა. მთის ძირას შეკრებილი საზოგადოების გაღიზიანება არ სურდათ და მიწურში ტაბლას უსხდნენ. ღვინის სიმუავეს არავინ იმჩნევდა. ძირითადად უცნობი ლაპარაკობდა; დიფთერი და მამამისი გაოგნებულები ისმენდნენ ამბებს უცხო ადამიანების განსაცდელზე, უმადურობაზე, ღალატზე, სიხარბეზე, ღორმუცელობაზე და კიდევ ბევრ სხვა უკეთურობაზე.

თენდებოდა, როდესაც ტაბაკონის სტუმარი მიწურიდან გამოვიდა, მთის ძირას მინავლებული კოცონების კვამლის პატარ-პატარა ღრუბლებს გადახედა, სოფლებს ჩამორჩენილ, ღასღასით მიმავალ მთვრალ კაცებს გააყოლა თვალი და თავისთვის ჩაიღუფლულა:

– ახლა ამათ სერიოზულად ჰგონიათ, რომ ქრისტიანი, ღვთისმოშიში ხალხის წარმომადგენლები არიან

დიფთერს თავისი მოვალეობა არ დავიწყებია; ადრე გაეღვიძა. ვარცლთან მივიდა, წყალი სახეზე შეისხა, მერე ორივე ხელის თითები თმებში გადასავარცხნად



შეიცურა. შეცბა. სანთლის ნაჭერი, რომელიც ცხრა წლის წინ ოზურგეთში ჩააწება მამამ და იმ ღამის შემდეგ არასოდეს მოუშორებია, ხელში არ მოყვა. “არა უშავს, ახალს გავიკეთებ”, – დაიმშვიდა გული. ქამარში გაყრილი თხის რქა მოიმარჯჯვა, საქონელს მოუხმო. პირუტყვი რომ დააწყურა, სტუმრის სანახავად მავკლის ბუჩქებისკენ წავიდა. იქ არავინ დახვდა.

იგი არც მეორე და შემდეგ დღეებში გამოჩნდა. მამა-შვილმა ვერ გაიგო, ცამ ჩაყლაპა თუ – მიწამ. სამაგიეროდ, დიფთერიის თავში ღრმად ჩაჯდა მისი მონათხრობი ამბები სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებლების ვნებების შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ უცნობის აღწერილ სამყაროში მხოლოდ ცუდი ამბები ხდებოდა, ახალგაზრდა კაცს იქაურობის ახლოს გაცნობის და იმ ადამიანებში გარევის გადაუღალახავი სურვილი თანდათან მოერიო.

გაუგონარი მოვლენა გვიან შემოდგომაზე მოხდა. ცხენებზე ამხედრებული ჩაფრები ამოვიდნენ ტაბაკონის მთაზე და ამით კუდიანების სამფლობელოზე რომანოვების ძალაუფლების გავრცელება დააკანონეს. მამა-შვილს დაუძახეს; ფურცელზე დაწერილი რაღაც ბრძანება რუსულ ენაზე წაუკითხეს. მერე დიფთერი გვერდზე გაიხმეს და ქართულად აუხსნეს – ჩიტმა მოგვიტანა თქვენი ამბავი; ხომ ხედავ, ხელმწიფეს ვერსად დაემალები; იგი ყველას და ყველაფერს ხედავს; ახლა დიდი ომი მიმდინარეობს, ისიც ვიცით, უკვე ოცი წლის ხარ, ჯარში სამსახურის დრო მოგივიდა; თუ ორ დღეში ოზურგეთში მაზრის უფროსთან არ გამოცხადდები,

დეხერტირად ჩაითვლები და საომარი დროის კანონების მიხედვით ჩამოგახრჩობთო.

ჩაფრები წავიდნენ.

მამამ დიფთერი მიწურთან დაგდებულ მორზე მოისვა და ასწავლა ყველა ხერხი, რომლითაც ადრე მისი თაობის კაცები ჯარში სამსახურისთვის თავის არიდებას ცდილობდნენ. თუმცა ახლა სხვა დროა, ალბათ სხვა კანონებია და ურჩია, ჭკუა ოზურგეთის განაპირას მცხოვრები ბიძია ზიფესთვის ეკითხა. რომ ნახავ, უთხარი, რომ ჩემი შვილი ხარ. მართალია იგი სხვანაირი კაცია, მაგრამ სწავლა-განათლება ქუთაისის გიმნაზიაში აქვს მიღებული და ბიძაშვილის შვილს ცუდ რჩევას ნამდვილად არ მოგცემსო. მერე დაწვრილებით უამბო ზიფეს უცნაური ქცევების შესახებაც. დიფთერი ყურადღებით უსმენდა; უცებ მიხვდა, რომ თურმე დღემდე მამას არ იცნობდა. გული დაწყდა; ვინ იცის, აწი როდის შეხვდებოდნენ ერთმანეთს?!

დარჩა ტაბაკონის მთაზე მოხუცი ექვსი ძროხის, ექვსი თხის და ექვსი სირაქლეშის ამარა.

დიფთერი გზას გაუდგა.

თენდებოდა, როდესაც მადლობზე ალვის ხეების კენწეროები დალანდა. მამა მართალი ყოფილა – სახლი ნამდვილად უცნაური იყო. ზიფემ თურმე დაიჩემა: ჩვენს წინაპრებს ადრე მიწაში კი არ ასაფლავებდნენ, არამედ ნაჭერში ახალშობილივით ახვევდნენ და ხეზე კიდებდნენ; მე კი მინდა სიცოცხლეშივე ჰაერში ვიკონწიალოო და თავისი

საცხოვრებლის საყრდენად კვადრატულად დარგული ოთხი ალვის ხე გამოიყენა. მყარად ფესვგადგმული დატოტილი მცენარეები, მიწიდან სამიდან ხუთი მეტრის სიმაღლემდე, გასხლა; ამ სივრცეში ოდა შეჭედა და ყავრით გადახურა. სახლს კარი არ ჰქონდა და მასში შესვლა მხოლოდ იატაკში გამოჭრილი ნახვრეტიდან ჩამოშვებული თოკის კიბით შეიძლებოდა. დროთა განმავლობაში ერთი ხე სხვებზე სწრაფად გაიზარდა და ზიფეს ისედაც უცხო ფიცრული კიდევ უფრო დაიჯღანა. ამ ხუხულას თურმე ძველების პატივსაცემად კოლხურ კოშკს ეძახდა.

“ქარი რომ ამოვარდებოდა, ჯერ ალვის ხეების გაუსხეპავ კენწეროებს გაეთამაშებოდა, ხოლო შემდეგ მთელს ამ ნაცოდვილარს ჭრიალსა და ნარნარს დააწყებინებდა”, – გაახსენდა მამის მონათხრობი.

დიფთერი ძალიან დაღლილი იყო, სიამოვნებით აძვრებოდა ბიძამისის კოლხურ კოშკში დასაძინებლად, მაგრამ ღამის დარაჯად აშვებულ ძაღლთან შესვედრის სურვილი ნამდვილად არ ჰქონდა. ამის შესახებ მამამ საგანგებოდ გააფრთხილა. ეზოს მცველი ავი რომ გაზრდილიყო, ზიფე თურმე ლეკვს ჯერ ყურებში ჩაავლებდა ხელს და იმდენ ხანს ატრიალებდა საცოდავ ცხოველს, ვიდრე არ აახევდა; ცოტა ხანში იგივე ხერხით კუდსაც მოაგლეჯდა; ყოველდღე ჯოხით სცემდა, მთელი სხეულს დანით უსერავდა და ახალ ნაიარევზე დანაყულ წიწაკას აყრიდა. მერე თითოთ ცალ თვალს ამოთხრიდა. დაბეჩავებული არსების ტანჯვა-წამებას ერთ დღეს იმით დაავიროვეს, რომ ზედა ტუჩს მოაჭრიდა, რათა მუღმივად ავადდაკრეჭილი ყოფილიყო. საშინელი

სანახავი და კიდევ უფრო ბოროტი ხდებოდა ცუგა. ამგვარი მოპყრობის შემდეგ ძალდი დარწმუნებული იყო, რომ ყველა ადამიანი მისი მტერია. უცნაურია, მაგრამ რატომღაც პატრონს არ ერჩოდა თურმე; უცხოს დანახვაზე კი გონება ეკეტებოდა, ცოფიანივით ყეფდა, დორბლი სდიოდა და მზად იყო მისი გამამწარებელი ადამის მოდგმის ძვლები დაეკეცნო. აი, ასეთი კაცთმოძულე არსების წარმომადგენელი დაძრწოდა, ალბათ, იმ ალიონზე ზიფეს ეზოში; ვიდრე მისი პატრონი არ გაიღვიძებდა და ცხოველს ბნელ მიწურში არ ჩააგდებდა, იქაურობას სათოფეზეც ვერავინ მიუახლოვდებოდა. დიფთერმა გზიდან გადაუხვია, თხმელნარში ადგილი შეარჩია, ნაბადი დაიფინა და დაღლილი მშვიდ ძილს მიეცა.

ბიძია ზიფემ კი იმ დილითაც ტრადიციულად გვიან გაიღვიძა; თვალები გაახილა თუ არა, მაშინვე საყვარელ საქმეს მიჰყო ხელი. საჩვენებელი თითით ჯერ მარცხენა ნესტო გამოიფხიკა, ნადავლი ცერის დახმარებით მარჯვენაში ლამის ტვინამდე შეაცურა, მერე არათითით ორივეგან მოპოვებული ბოტოტის ნაერთი ნეტარებით გამოიღო, შუათითით და ცერით დაამრგვალა და სარკმელში გაისროლა. შემდეგ კიდევ დიდხანს ცდილობდა ცხვირში მიმხმარი ჟღერის ნარჩენების პოვნას. უკვე შუადღე ახლოვდებოდა, როდესაც საწოლიდან წამოდგა, ჩოხა ჩაიცვა, სარკესთან ქოჩორი გადაივარცხნა, უღვაში აიპრისა და თოკის კობით სახლიდან ჩამოძვრა. ცუგა-ურჩხულს მოუხმო; ცხოველი ბნელ ორმოში წიხლისკვრით ჩააგდო.

ძაღლის ყმუილმა დაზაფრა არემარე და დიფთერიც გააღვიძა.

ზედმეტი ემოციების გარეშე შეხვდნენ ერთმანეთს ბიძა და ბიძაშვილისშვილი. საუბარი ოთხ ხეს შუა გაჭედილი კოშკის ქვეშ გაიმართა. ზიფემ მოხალული უნაბის კურკა, ქერი და ორიოდე ყავის ლებანი როდინში კარგად დანაყა; მიღებული მასა წყლიან პატარა ქვებში ჩაყარა, ცეცხლზე შემოდგა. უცნაური გამამხნევებელი სასმელი მოადულა, ჭიქაში ჩაისხა, მოხვრიპა, ჯორკოზე ჩამოჯდა და სერიოზული გამომეტყველებით დიდხანს ელაპარაკა პირდაღებულ დიფთერს, რომელმაც მხოლოდ ის გაიგო, რომ ევროპაში ვიღაც პრინციპს რომელიღაც პრინცი მოუკლავს. ამ სრულიად უმნიშვნელო ამბის გამო კი ომი გაჩაღებულა. დიდი ქვეყნების შეხლა-შემოხლიდან ქართველებმა ხეირი უნდა ვნახოთ, ამისთვის რუსის ჯარს მხარში ამოვუდგეთ, ოსმალებს ძველი საქართველოს მიწები წავართვათ. შესაბამისად, სიხარულით უნდა გამოცხადდე მაზრის უფროსთან და თურქების წინააღმდეგ ომში მიიღო მონაწილეობაო. ბიძა ლამაზად ლაპარაკობდა. ერთი პირობა დიფთერი მონიუსხა, მარცხენა მტევნის თითის სახსრები, მარჯვენა ხელის მეშვეობით, თანმიმდევრობით სიამოვნებით გაატკაცუნა და აღტაცებულმა:

– თუ ასე საჭიროა ეს საქმე, შენ სახლში რა გაჩერებს, მამასაც დაგუბახოთ და ერთად წავიდეთ რუსის ჯარში; მხარდამხარ ვიბრძოლოთ, დავიბრუნოთ ძველი მიწები.

– რა უბედურებაა ეს თითების ტკაცუნი, ნუთუ ასე ძნელია ამ მავნე ქცევას გადაეჩვიო? – გაბრაზდა ბიძია. – სიამოვნებით წამოვიდლოდი ომში, მაგრამ რუსებმა იციან, მათთვის ჩემი საქმიანობით საშიში

ვარ და ფრონტის წინა ხაზზე თვითონვე უმად მომკლავენ, ჩემს სიკვდილს კი მტერს დააბრალებენ. სამშობლოს აქ ვსჭირდები, მისი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას სხვა, საიდუმლო მეთოდებით განვაგრძობ. ეს საქმე კი მეტ ძალას, ენერგიას, გონებას და ვაჟკაცობას მოითხოვს. ხომ იცი? ყველას ჩვენი მძიმე ჯვარი გვაქვს სატარებელი! – უცნაური იყო ბიძია ზიფეს პასუხი;

დიფთერმა ვერ გაიგო, სხვა საქმიანობაში რა იგულისხმებოდა ან რით იყო იგი ომში მონაწილეობაზე მამაცური, თუმცა ამის შესახებ არაფერი უკითხავს, რადგან მიხვდა, რომ, თუ ჭკვიან ბიძიას ჯარისკენ გული მაინცადამაინც არ მიუწევდა, მასაც არ უნდა გამოედო თავი. ამჯერად კისრის მყესები გაატკაცუნა და საქმეს, მის ჭკუით, შორიდან მოუარა:

– მამამ შენზე მითხრა, ყველაფერი იცისო. მართალია თუ არა, რომ თითქოს რუსები ყოველ წამს ერთმანეთს დედას აგინებენ და ამის გამო არც კი ბრაზდებიანო?

– გინება მათთვის მხოლოდ სიტყვის მასალაა; აი ისეთი, როგორსაც ქართველების უმრავლესობა მეტყველების დაწყებამდე ან საჭირო სიტყვის მოფიქრების დროს პაუზის შესაესებად ხორხიდან გამოსცემს. ხომ შეგიძინევია ლაპარაკისას ზოგი ყმუის, ზოგი ზმუის დაახლოებით ასე: მდა, მუ, მწ, ყმ, ისა. მგონი, ეგ თვისება იმ დროიდან შემოგვრჩა, როდესაც ჯერ კიდევ დანაწევრებულად ვერ ვმეტყველებდით ანუ მაიმუნები ვიყავით. თუმცა ეგ რა

შუაშია, რატომ მეკითხები? – გულწრფელად გაუკვირდა ბიძია ზიფეს.

– კაცო, ომის იმდენად არ მეშინია, რამდენადაც – თანამებრძოლი რუსების მოკვლის. ეგენი თუ მართლა ასე წამდაუწუმ იგინებიან, ცხონებული დედაჩემის აუგად ხსენებას ვერ ვაპატიებ და პირველივე შეურაცხყოფელი უნდა მოვკლა. ქრისტიანის სისხლის დაღვრა კი არა და არ მინდა.

– ეგ ზღაპარი შენ თვითონ თუ გჯერა? რაო, ყმაწვილო, ყველაზე ჭკვიანი ვარო? სისულელე თავიდან ამოიგდე, არავისთან წამოგცდეს, თორემ ქვეყნის სამასხარაო გახდები. როგორ იფიქრე, რომ რუსის მთავრობის კაცებს იმის შეეშინდებათ, არიქა, დიფთერს ვინმემ დედა არ შეაგინოს, თორემ დაერევა ჩვენს ჯარისკაცებს, ერთიანად ამოგვიწყვიტავს, ომს წავაგებთ და ამიტომ, მოდი, ჯარში ნუ გავიწვევთო. ერთი კაცურად მითხარი, ვინ ბრიყვმა გირჩია დედის გინების გამო კაცის მოკვლის სულელური ტრადიციის მომიზეზება ჯარში არწასვლის საბაბად?

– კარგი, კაცო! როგორ უცებ მიხვდი? მართლა არ გაჭრის?

– გაჭრის კი არა, როგორც კი ამ თემაზე ხმას ამოიღებ, პირველივე რუსი ისე საინტერესოდ შეგაგინებს, გაგიკვირდება; გაროზგვასაც ვერ გადაურჩები. თანაც ამგვარად ცემა არამგონია მოგეწონოს და იმდენს გირტყამენ, ვიდრე არ მიხვდები, რომ რუსული დედის გინება იავნანასავით ტკბილი მოსასმენია.

– რაღაც გზა როგორ არ არსებობს? ხელი ან ფეხი რომ დავიზიანო?

– მაგას ესენი შეგნებულ ასოთდამშავებლობას ეძახიან და ამგვარი საქციელისთვის პირდაპირ ყველას თვალწინ, საჩვენებლად, ყოველგვარი სასამართლოსა და მიეთმოეთის გარეშე დაგხვრეტენ.

– აბა, არ ყოფილა საშველი და ეგაა!

– მაშ, რას გეუბნები? წადი ომში და გული იმით დაიმშვიდე, რომ საქვეყნო საქმესაც გააკეთებ!

დიფთერი ასე ადვილად დანებებას არ აპირებდა. მისი დედის მკვლელების ჯარში სხვების ასაწიოკებლად წასვლა და სიკვდილი არაფრით მოსწონდა. გონება გაცხარებით მუშაობდა, გადარჩენის საშუალებებს ეძებდა.

მეორე დღით, როდესაც ახალწვეულები მაზრის უფროსთან შესახვედრად ოზურგეთის ჰაუპტგახტის წინ იკრიბებოდნენ, დიფთერი ბათუმი-თბილისის მატარებლიდან მცხეთაში ჩამოხტა და საქართველოს სამხედრო გზას გაუყვა. მას უცნობის მიერ აღწერილი კავკასიის ჩრდილოეთი კალთებიდან უკიდებანოდ გადაშლილი ქვეყნის სიდრმეში, ათასი რჯულის ხალხში გათქვეფა იზიდავდა.

\*\*\*

ოთხი წელი მიივლია უცხო მხარეში ხეტიალსა და წვალებაში. მხოლოდ 1918 წლის ნოემბერში შემოადწია სამშობლოში, რომელიც უკვე დამოუკიდებელ



სახელმწიფოდ მიიჩნევა თავს. ტაბაკონზე არავინ დახვდა. მეწისქვილისგან გაიგო, რომ მთაზე მცხოვრებ კაცს და ცხოველებს, ღვთის რისხვად, არნახული ქეცი შეყრიათ და დაღუპულან.

გადაწყვიტა, ბიძია ზიფე მოეძებნა, იგი ხომ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ებრძოდა ნიკოლოზ მეორეს, ახლა ალბათ დიდი თანამდებობა ექნება და მეც ხელს გამიმართავსო.

ოზურგეთში დაუჯერებელი ამბავი გაიგო. ახალ ხელისუფლებას რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიციის აგენტების სია გამოუქვეყნებია და იქ საპატიო ადგილი ზიფესაც ჰქონია. ბიძია რუსეთში გადახვეწილა, მისი ძაღლი კი ტყეში გაქცეულა. საცოდავი ცხოველი თურმე დღემდე ყოველდამე ყმუილით ეძახის თავის პატრონს და ადამიანებს შურისძიებით ემუქრება.

ახლა მეორე ნათესავის, გურიის მხენელ-მთესველთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ბელით დაინტერესდა. გაირკა, რომ ბენია ჩხიკვიშვილი ამჟამად სოხუმის მხარის კომისრად დაუნიშნავთ და იქაური მთელი ძალაუფლება დროებით, ვიდრე აფხაზეთის ახალ სახალხო საბჭოს არ აირჩევდნენ, მის ხელში გადასულა.

კაცმა რესპუბლიკის პრეზიდენტობა ვერ შეიშნო და სადღაც დროებით დანიშნულმა რა ხელი უნდა გამიმართოს, ამიტომ, მოდი, ჩემს თავს მე თვითონ

მივხედავო, – დაასკვნა დიფთერმა და სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად ბათუმს მიაშურა.

მართალია, აქაურობა, რუსეთის დიდი ქალაქებთან შედარებით, ციცქნა იყო, მაგრამ არც სამშობლოში დაბრუნებული მაწანწალის გაქანება და თაღლითობის ნიჭი გახლდათ მასშტაბური. ერთი კვირა სიტუაციის გაცნობას მონადომა, ხეირის წყარო შეიგულა და პატარა შენობა აიღო იჯარით. ალიონზე დგებოდა, წვერ-ულვაშს იწებებდა, მეტი სოლიდურობისთვის ცხვირზე პენსნეს იმაგრებდა; ჭიათურელ მეურმეებს ქალაქის შესასვლელთან ხვდებოდა, ლაქლაქით თავგზას უბნევდა, საკვოიაში წინასწარ გამზადებულ თამასუქებზე გამყიდვლების გვარ-სახელი რუდუნებით გამოჰყავდა, ზედ მეღნის ბეჭედს უტყლაშუნებდა და, ერთ თვეში ორმაგი ფასის გადახდის შეპირებით, იბარებდა მარგანეცის მადანს, რომელსაც პორტში თავის საწყობში აგროვებდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ბათუმს რუსეთის დროშით მცურავი სატვირთო ხომალდი მოადგა. გემიდან გადმოსულ სოვდაგრებს შორის დიფთერმა ერთი მსუქანა შეარჩია. პუტკუნები ადვილად დასაყოლიებელი ხალხიაო, დაელაპარაკა და სხვებზე ბევრად იაფად შესთავაზა მარგანეცის დიდი რაოდენობა. საწყობში მივიდნენ, საქონელი დაათვალიერეს. რუსმა ნატეხები ნიმუშად წაიღო გემზე და იქ მყოფ ქიმიკოსს შეამოწმებინა. მადანი კარგი ხარისხის აღმოჩნდა. თითქოს გარიგებას ხელს არაფერი უშლიდა, მაგრამ სოვდაგარმა მარგანეცის შეუფუთაობა მოიმიზეხა. დიფთერმა თავი შეაცოდა, ამ საქმეში ახალბედა ვარ, არ ვიცოდი, თუ მარგანეცი ტომრებში უნდა ჩამეყარა და ისე შემეთავაზებინა მიყიდველისთვისო. დღეს მაპატიეთ, ხვალისთვის მთელ

ტვირთს ჩემი ხარჯით დავაფასოებ და გემზე მოგართმევთო. რუსმა ახლა უცნაური პირობა წამოაყენა: მადანს ვიყიდი, თუ ფოტოგრაფის თვალწინ ჩემს მიერ მოწოდებულ დროშას დახევე და ფეხებით გათელაეო.

დილით დიფთერის მიერ მთელი თვის ნაგროვები, უკვე ტომრებში თავგამოკრული, ჭიათურის საგანძური მუშებმა ურმებიდან გემის ტრიუმში ჩატვირთეს; გამყიდველმა ვაჭრის მიერ მოტანილი დროშა გააკირვებულმა დაათვალიერა. იგი დარწმუნებული იყო, რომ დემოკრატიული საქართველოს სამფეროვან დროშას შემოსთავაზებდნენ შეურაცხყოფის მისაყენებლად, მაგრამ ხელში რუსეთის წითელი ალაში შერჩა. კბილებით სიამოვნებით დაფხრიწა, ნაფლეთები მიწაზე დაყარა და ზედ დაველურიც დაუარა. კმაყოფილმა სოფდაგარმა მიცემული პირობა არ დაარღვია, გამყიდველს ანგარიში გაუსწორა და გემზე ავიდა.

საწყობში დაბრუნებულმა დიფთერმა მოგებული ფული კიდევ ერთხელ გადათვალა, იჯარის ქირა პატიოსნად გადაიხადა; შეეცოდა შენობის პატრონი, რადგან სწორედ მის კისერზე გადატყდებოდა მოტყუებული, ორმაგ მოგებას დახარბებული, ჭიათურელი მეურმეების კომბლები.

დიფთერს ადვილად მოპოვებული წარმატების გამო თავბრუ არ დახვევია, ორჯერ ერთსა და იმავე წყალში შესვლის შეუძლებლობის წესი არ დავიწყებია; სხვა საქმეზე დაიწყო ფიქრი. რაც მთავარია, წარმოიდგინა, რა სახე ექნებოდა რუსს, როდესაც ტომრებში,

მარგანეცთან სანახევროდ, კურსების გრანიტის ნამსხვრევებს აღმოაჩენდა. “სულ შენს ჯანშიო”, – წინასწარ დაიხდვია თავი.

\*\*\*

შემდეგ სარფიან საქმეზე ფიქრი დიდხანს არ დასჭირდა. იდეა მარგანეცის ტომრებმა უკარნახა. შავი ქვის ბიზნესში ჩართულ ადგილობრივ საზოგადოებაში პოპულარული იყო დასაფასოებელი მასალის თემა. სწრაფად და, რა თქმა უნდა, უწვალებლად გამდიდრების მსურველებს შორის მომრავლდნენ ადამიანები, რომელთაგან ერთნი ტომრების დიდ პარტიას ყიდიდნენ, ხოლო მეორენი ამ ტომრებს ყიდულობდნენ. ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი საბირჟო ყიდვა-გაყიდვის პროცედურა ამ მხარეში განსხვავებული იყო უცნაური გარემოების გამო. მას შემდეგ, რაც მყიდველნი და გამყიდველნი ფასზე და საქონლის რაოდენობაზე შეთანხმდებოდნენ, პირველნი მიდიოდნენ ფულიანი რეალური მყიდველის საპოვნელად, ხოლო მეორენი – რეალური ტომრების მოსაძებნად. ამგვარმა გარიგებებმა ადამიანთა ფართო წრე მოიცვა. უკვე ისეთი საქმოსნებიც გაჩნდნენ, რომლებიც ერთ სიტუაციაში მყიდველის როლს თამაშობდნენ, რამდენიმე წუთის შემდეგ კი სხვასთან გამყიდველის რანგში გვევლინებოდნენ და, რაც ყველაზე საინტერესოა, ვერ ხვდებოდნენ თავისი მოქმედებების აბსურდულობას. დიფთერმა გადაწყვიტა ტომრების ცრუ ყიდვა-გაყიდვის ბუმისთვის ახალი სიცოცხლე ჩაებერა და მარტივი გეგმა შეიმუშავა. სტამბას დიდი ტირაჟით შეუკვეთა განცხადება, რომლითაც მოსახლეობას აუწყებდა, რომ

გერმანელების მიერ საქართველოში დაფუძნებული, ადგილობრივი მწარმოებლების ხელშემწყობი, საქველმოქმედო ორგანიზაცია შემოდგომაზე, გლეხებისგან, განუზომელი რაოდენობით, შეიძინდა ტომრების შესაკერი ნაჭრის მოსაქსოვად საჭირო კანაფს, რომლის მაღალხარისხიანი თესლი იაფად გაიყიდებოდა მხოლოდ ბათუმის და ფოთის ბაზრებში მოწყობილ სპეციალურ დახლებზე. განცხადებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კანაფის მოყვანას დიდი შრომა არ სჭირდება, მისი თესლი დაუმუშავებელ მინდვრებში უნდა მიმოაბნियो, თავისით ამოვა და მოუვლელად გაიზრდება. მალე ამ სარფიან საქმეზე ბათუმის, ფოთის და მთელი სანაპიროს მოსახლეობა ალაპარაკდა.

\*\*\*

გაზაფხული ახლოვდებოდა, დიფთერმა კონსტანტინოპოლის ბაზარს მიაშურა, იქ კანაფის თესლის მცირე რაოდენობა შეიძინა, შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, ჭაობებსა და მინდვრებში სხვადასხვა ბალახის თესლი ბლომად შეაგროვა, შეურია ნამდვილი კანაფისას და სეზონიც კარს მოადგა.

უცნაურ პროდუქტზე მოთხოვნამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბათუმისა და ფოთის ბაზრებში გამართული დახლები მყიდველებს ვერ აუდიოდა. დიფთერმა ორი კვირის შემდეგ საქმეში ჩადებული დანახარჯები ერთითათასად ამოიღო და დროს სატარებლად თბილისს მიაშურა.

უბედურების მიზეზი აქაური ზაფხულის ხვატი გახდა. დიფთერი ივლისის შუა რიცხვებამდე ორთაჭალის ბაღებში ქეიფობდა, მაგრამ სიცხეები აუტანელი რომ გახდა, გადაწყვიტა ზღვაზე გაგრილებულიყო და ბათუმს დაუბრუნდა. იქ კი ამასობაში უცნაური ამბები დატრიალებულა.

კანაფით გამდიდრების მოყვარულებმა დიფთერის დახლებზე ნაყიდი თესლი ლამის მთელ დასავლეთში მიმოაბნინეს. ზოგმა იგი საკუთარ კარმიდამოში დათესა. სარეველა მცენარეებთან ერთად ნამდვილი ინდური კანაფის ბუჩქებიც გაიზარდა. ივლისის თვისთვის ბათუმის და ფოთის მოსახლეობის ეზოებში ხასხასა მწვანე კანაფის ფოთლებმა რამდენიმე გათვითცნობიერებული ადამიანის ყურადღება მიიქცია. ჯერ თვალებს არ უჯერებდნენ, მაგრამ რეალობა მათთვის ზღაპრული აღმოჩნდა. ცოტა ხანიც და ლამის მთელ დასავლეთ საქართველოში მხიარულებამ დაისადგურა. თამბაქოში შერეული გამხმარი კანაფის მწვეველი მამაკაცები დღეებს სიცილ-ხარხარში ატარებდნენ.

დიფთერი ბათუმში მაშინ ჩავიდა, როდესაც მოსახლეობის ამგვარი მხიარულების მიზეზით უკვე ადგილობრივი ხელისუფლება დაინტერესდა და მილიცია გამალებული დაეძებდა კანაფის გავრცელების წყაროს. მალე ყველაფერი გაირკვა. რამდენიმე დღეში ბათუმის სანაპიროზე დუქანში მოქეიფე დიფთერი უამრავი მოწმის ჩვენებით აღწერილ კაცს მიაბსგავსეს, მაზრის მილიციის შენობაში მიაბრძანეს, წვრილად გამოჰკითხეს ყველაფერი და

სასამართლომ ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდა-გავრცელებისთვის პატიმრობაც მიუსაჯა.

ქუთაისის ციხიდან 1921 წლის მარტში გაათავისუფლა წითელმა არმიამ. ვარსკვლავიან კომისარს დიფთერთან შეგონებითი საუბარი დიდხანს არ დასჭირდა. პატიმარი შეგნებული ადამიანი აღმოჩნდა და ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას პირველსავე შეხვედრაზე დათანხმდა. გურიის მთებში პატარა დასახლება შეუჩინეს, იქაურებს რუსულის მასწავლებლად წარუდგინეს და ბოლშევიკური პარტიის ხაზის ერთგულ გამტარებლად დაიგულეს. ახალ თანასოფლელებს ჯერ სკოლის შენობა ააგებინა და შემდეგ, მორჩენილი მასალით, თავისი ოდაც გაამართვინა. ცოლიც შეირთო და 1924 წელს ვაჟი რომ შეეძინა, იმის შიშით ახალი ომი არ დაიწყოს, ბავშვს ჯარმა არ მოუწიოსო, მცირედი ქრთამის ფასად, დაბადების მოწმობა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ აუღო. რატომღაც ეგონა, რომ თუ ომი მოხდებოდა, იგი ძველებურად ოთხ წელს გასტანდა და ამ საბუთის საშუალებით ააცილებდა შვილს მოქმედ არმიამში სიცოცხლისთვის საშიშ პერიოდში გაწვევას. თანაც უფრო მშვიდად რომ ყოფილიყო, ისე, გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევისთვის, ბიჭს დაბადებისთანავე ფეხებზე სპეციალური არტახები დაადო. ზევულის, ეს სახელი დაარქვა შვილს, მზარდმა თაღოვანმა ძველებმა სახვეველის ფორმა ადვილად მიიღო და პატარამ პირველი ნაბიჯები, მართალია, გვიან, სამაგიეროდ, ბრტყელტერფიანმა გადადგა. ეს ხერხი რუსეთში მომთაბარე ბოშებს მოუფიქრებიათ და ადგილობრივ

მოსახლეობას მცირედი გასამრჯელოს ფასად  
ასწავლიდნენ.

ბოლშევიკების მიერ დამყარებულმა წესრიგმა, თავისთავად, და წითელ კომისართან თანამშრომლობის ხელშეკრულებამ, კონკრეტულად, დიფთერი დათრგუნა, მხიარული ცხოვრების ხალისი დაუკარგა; უკვე თვითონაც დაიჯერა, რომ მართლა მასწავლებელი იყო. ნელ-ნელა ხელისუფლებისთვის გაწეული ფარული სამსახური დაუფასდა, პარტიის მანდატიც ჩაიღო გულისჯიბეში და სკოლის დირექტორადაც დანიშნეს. ოცდაჩვიდმეტში, ძალიან რომ აირია ყველაფერი, დიფთერი მეუღლესთან ერთად დაიჭირეს, თბილისში შინსახკომში მიაბრძანეს, ორივე ხალხის მტრად გამოაცხადეს. ნაცნობ საიდუმლო თანამშრომელთან შეხვედრა რომ მოითხოვა, აჰა, თქვენც მისნაირი გერმანიის აგენტი ყოფილხართო და ცოლ-ქმრის საქმე “ტროიკას” გადასცეს. ასე უსახელოდ დაასრულებდა თავის არსებობას, მაგრამ მოხდა სასწაული და მათი ბედის გადამწყვეტი სამი კაციდან ერთ-ერთი მისი სისხლიდახორცი, ბიძია ზიფე აღმოჩნდა, რომელიც სამშობლოში მეთერთმეტე წითელ არმიას შემოსძღოლია და ახლა შინსახკომის საიდუმლო განყოფილებაში მნიშვნელოვან თანამდებობაზე გაუმწესებიათ ბოლშევიკებს. ზიფემ მხოლოდ ის მოახერხა, რომ წაყენებული ბრალდებები ერთ-ერთისთვის მოეხსნა. ქალი დახვრიტეს. სოფელში მეუღლის გარეშე დაბრუნებულმა დიფთერმა უწყინარი ცხოვრება განაგრძო. იმ დღიდან მოყოლებული, კარგა ხანი, მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია. კაცის ერთადერთი საზრუნავი ზევული გახდა და მის აღზრდას დაუდო გული. ლუკმაპურის შოვნასა და



შვილის ბედზე ფიქრში ცდილობდა, წარსული არ გახსენებოდა.

დიფთერი ბოლო დროს ბოლშევიკების ლოზუნგებს და იდეებს ჩაუღრმავდა. თანდათან გასაგები, მისაღები და შეგებისმომგვრელი გახდა წითლების მოსაზრებები სამყაროზე. თუ ღმერთი არ არსებობდა, ესე იგი არც სინდისი იყო, არც – ნამუსი, არც – სინანული, არც – ცოდვები. აბა ჭინკები, კუდიანები და როკაპი რომ მოგონილი იყო, დიფთერმა ტაბაკონზე ცხოვრების დროსაც იცოდა. ამათ გარეშე ცხოვრება კი ძალიან ადვილი ყოფილა. ხალისი დაუბრუნდა და შვილის ხვალინდელი დღეც პარტიის ერთგულ მსახურებაში დაინახა. თუ პატარა ზევული მამამ არტახების მეშვეობით ბრტყელტერფიანი გახადა, ასაკი გაყალბებული დაბადების მოწმობით შეუცვალა, მის უწრთობ გონებაში უღმერთობის ჩანერგვას წინ რაღა დაუდგებოდა?!

დიფთერი პარტიის მანდატს აქამდე თავის გადასარჩენად და გამოსაკვებად უფრთხილდებოდა, ახლა კი, არიქა, შვილს ჩემს გამო კარიერაში ხელი არ შეეშალოსო, ხმალამოწვდილი იდეური კომუნისტი გახდა; აქტიურად ჩაება სააგიტაციო საქმიანობაში, ხშირად ესწრებოდა პარტიული ლიდერების ლექციებს.

ქუთაისში გამართულ ერთ-ერთ კონფერენციაზე საქართველოს გასაბჭოების შესახებ საუბრისას დვაწლმოსილ რუს ბოლშევიკს დარბაზიდან ვიდაც ცხვირმოუხოცავმა აგიტატორმა თხოვნით მიმართა.

– ამხანაგო, ზოგჯერ არასაიმედო ელემენტები გვეკითხებიან, თუ რატომ დაარღვიეს ბოლშევიკებმა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულება. ჩვენ კი დამაჯერებელ პასუხს ვერ ვცემთ ამგვარ გამოხტომებს. ძალიან გთხოვთ, მოგვახსენეთ თქვენი მოსაზრებები, – ბლუჟუნით წაიკითხა ქაღალდის ნაგლეჯზე წინასწარ გამზადებული ტექსტი.


დიფთერისთვის პასუხი არ იყო საინტერესო, რადგან მის აგიტმრეველში ვერავინ გაბედავდა მსგავსი კითხვის დასმას და ამიტომაც რუსი ბოლშევიკის საუბარს მაინცადამაინც ყურადღებით არ უსმენდა. უცებ ისეთი რამ გაიგონა, რომ ყურები ცქვიტა. თურმე რუსეთს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დადებული ოფიციალური საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლად, რამდენიმე სხვა მიზეზთან ერთად, ბათუმის პორტში რუსეთის დროშის შეურაცხყოფაც დაუსახელებია და ამ ფაქტის დოკუმენტური მტკიცებულებებიც არსებობსო. მომხსენებელმა საქაღალდეში რაღაც მოქექა და დარბაზს დროშაზე წიხლებით შემდგარი კაცის ფოტო აუფრიალა. დიფთერს ელდა ეცა, ორატორს დააკვირდა. ნამდვილად ჰგავდა რუს მსუქანა ვაჭარს, ვისაც ღორღშერეული მარგანეცი მიასადა. ესე იგი, რა გამოდის?! რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის მაისში ხელშეკრულებას რომ დებდა, მის გასაბათილებლად მიზეზ-საბაბებს ბევრად უფრო ადრე 1918 წლის დეკემბერიდან აგროვებდა? ეს რუსები უფრო ეშმაკები ყოფილან, ვიდრე ჩვენ გვეგონიაო, – გაიფიქრა და ყოველი

შემთხვევისთვის, რა იცო, რა ხდება, ფოტოზე არავინ მოცნოსო, თავი ჩაქინდრა.

ლექცია დამთავრდა; დიფთერი პარტიულ ამხანაგებს არ გამომშვიდობებია, უმად გაიპარა დარბაზიდან; ქუჩაში სამშვიდობოს გაადწია თუ არა, პარტილეთიან ჯიბეზე ხელი მიითათუნა.

გული საგულეში ჰქონდა, კომპარტიის მანდატი – გულისჯიბეში.

პარტიის ბილეთი და გული დიფთერს თავისი პატარა ზევულის ფეხზე დასაყენებლად სჭირდებოდა.



გუსტავ დორე. სატანა

გადიდგული შენი მშვენების გამო და წარყვენი შენი  
სიბრძნე სიამპარტავნით; ამიტომაც დაგამხე მიწაზე  
მეფეთა წინაშე და მათი საყურებელი გაგხადე.

/ეზეკ. 28:17/

თავი მეოთხე

კიდევ გაუჩინა მას ღმერთმა მტერი, რეზონი, ელიადაყის ძე, რომელიც გაექცა ჰადადყეზერს, ცობის მეფეს, თავის პატრონს.

/3მეფეთა 11. 23/

ბრძანება №227

227=11



ვიქტორ აბაკუმოვი

ისეთი პირი უჩანდა, 1946 წლის პირველი აგვისტო სახელმწიფო უშიშროების თბილისის სამმართველოს კაპიტან რეზონ ელიადაყიძისთვის მხოლოდ იმით იქნებოდა გამორჩეული, რომ მნემ აღირსა და მოუტანა საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელის ვიქტორ აბაკუშოვის პორტრეტი.

ოფიცერმა კედლიდან ფრთხილად ჩამოხსნა მერკულოვის სურათი, ცოლის მიერ დილით საგულდაგულოდ გაუთოებული ცხვირსახოცით ჩარჩოს თავზე დაგროვილი მტვერი მოწმინდა, კარადასთან მივიდა, კარი გამოაღო და ყოფილი, მაგრამ სხვა დიდ თანამდებობაზე გადაყვანილი, უფროსის გამოსახულება საქალაქეებს შორის შეჩურთა. ამ საქმეს რომ მორჩა, მაგიდიდან აბაკუშოვის ფოტო აიღო, რატომღაც ცხვირსახოცი მასაც გადაუსვა და გათავისუფლებულ კაუჭზე დაჰკიდა; ნაბიჯი უკან გადადგა, თავის ნამოქმედარს შეხედა; ოღნავი გადახრა გაასწორა და, ახლა უკვე ვალმოხდილმა, მოწიწებით გაიხედა უცნობი ავტორის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული ბერიას პორტრეტისკენ. ლავრენტი პავლეს ძის პენსნეს ამოფარებულმა თვალებმა ყველაფერი დაინახეს. ბელადს სახეზე კმაყოფილება გამოეხატა.

რეზონ ელიადაყიძე სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა. ერთი პირობა, შეყოყმანდა, მაგრამ, ჯანდაბას, იქნებ ამ დიდი კაცების მაღლი ჩემზეც გადმოვიდეს, ამათი წყალი გადმომესხასო, და ფოტოების წმენდაში დამტკვერილი ცხვირსახოცით შუბლზე გამოსული ოფლის წვეთები შეიშრო.


წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ჰიტლერთან ომი დამთავრდა. გამარჯვებულ საბჭოთა კავშირს ვინ ოხერი შინაგანი მტერი გაუბედავდა შერკინებას?! ქვეყანაში ბოლშევიკების პარტიასა და ხალხს შორის სრული თანხმობა სუფევდა. რეზონმა ისიც კი იფიქრა, რომ სამსახურს საერთოდ გაუუქმებდნენ, მაგრამ 1946 წლის 15 მარტის ბრძანებამ, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ, მომავლის იმედით აღავსო.

ქვეყანაში ცვლილებები კარგად ჰქონდა დაცდილი. ჯერ სტალინგრადის ფრონტზე, როდესაც ჰიტლერის ხორცის საკეპ მანქანაში მოყვა და გადარჩენის შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა, ბედად წითელ არმიაში დაიწყო გადამღობავი რაზმების ფორმირება. თავდაცვის სახალხო კომისრის 1942 წლის 28 ივლისის ბრძანება №227-ის თანახმად უნდა შექმნილიყო კარგად შეიარაღებული ქვედანაყოფი, რომელიც არმიის ზურგში განლაგდებოდა და ფრონტის ხაზიდან გამოქცეულ მეომრებს უკან ცეცხლითა და მახვილით მიაბრუნებდა.



რეზონმა უცებ აუღო ალღო სიახლეს და მაშინვე მიხვდა, რომ ამ ქვედანაყოფში შეძრომით გადარჩენის მეტი შანსი ექნებოდა. რაც სხვა მებრძოლებისთვის საძრახისი ჩანდა, ელიადაყიძემ იკადრა. გადამლობავ რაზმში სამსახური თავიდან ძნელი აღმოჩნდა. საბჭოთა არმია გერმანელებს ვერ უშეკლავებოდა, ცუდად შეიარაღებული მეომრები სანგრებს სტოვებდნენ და გაქცევით ცდილობდნენ სიცოცხლის შენარჩუნებას; სწორედ აქ ხვდებოდნენ უახლესი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით და სხვა იარაღით კარგად შეიარაღებული რეზონი და მისი ამხანაგები. იმ პერიოდის გახსენება არ უყვარდა ოფიცერს. სამაგიეროდ, ბრძოლის ველზე სიტუაცია სტალინის სასარგებლოდ რომ შეიცვალა, შეტევაზე გადასულმა წითელი არმიის მებრძოლებმა უკვე კარგად იცოდნენ გადამლობავი რაზმების ძალა და, მშობლიურს, გერმანელების ტყვიას ამჯობინებდნენ. ფრონტზე საქმე კიდევ უფრო გაუმჯობესდა, ხელმძღვანელობა თანდათან მიხვდა ამ ქვედანაყოფების ზედმეტობას და რეზონს ისევ მოქმედ არმიაში ფრონტის წინა ხაზზე მოუწვევდა გამწესება, როდესაც მოუსწრო 1943 წლის 21 აპრილის ბრძანებამ ეგრეთ წოდებული “СМЕРШ-ის” (смерть шпионам – სიკვდილი ჯაშუშებს) შექმნის შესახებ და უკვე ამ სტრუქტურის თანამშრომელმა წითელი არმიის რიგებში ჯაშუშებზე, ტერორისტებზე, დივერსანტებზე და ანტისაბჭოთა ელემენტებზე დაიწყო ნადირობა.





გერმანიის ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის შესვლის შემდეგ "СМЕРШ-ის" ის ქვედანაყოფი, რომლის წევრიც რეზონ ელიადაყიძე იყო, გააძლიერეს საბჭოთა მკვლევარებით და დაიწყო გერმანელი მეცნიერების ძებნა. ზოგი ტყვეთა ბანაკში, ზოგი სახლის სარდაფში, ზოგი ლაბორატორიაში აღმოაჩინეს. ერთი კაცი თავისი ფეხით გამოცხადდა კომენდატურაში. ის ადამიანი რეზონ ელიადაყიძეს იმიტომაც დაამახსოვრდა, რომ გასაუბრებაზე განაცხადა ნობელის პრემიის ღაურეატი ჰერცი ვარ და საბჭოთა ფიზიკოსებთან თანამშრომლობის სურვილი ჯერ კიდევ ომამდე 1939 წელს გამოვთქვიო. მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ელექტროდინამიკის ფუძემდებელი ჰაინრიხ ჰერცი სკოლიდან ბევრს მწარედ ახსოვდა და მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში გამოცხადებულ მის აჩრდილს სიცილი დააყარეს.

ერთ მშვენიერ დღეს კაიზერ ვილჰელმის ინსტიტუტიდან: ციკლოტრონები, ოსცილოგრაფები, ელექტრონული მიკროსკოპები – გამოიტანეს,

ვაგონებში ჩატვირთეს და მოელს გერმანიაში ‘СМЕРШ-ის’ მიერ სათუთად ნაგროვებ მეცნიერებთან ერთად საბჭოთა კავშირის გზას გაუყენეს. ეშელონის გამცილებელთა შორის იყო რეზონ ელიადაყიძეც, რომელმაც გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ იმ უცნაური ჰერცისთვის განსაკუთრებული ვაგონი იყო გამოყოფილი, ჰერ გუსტავს ეძახდნენ და დიდ პატივში ჰყავდათ. ბოლო გაჩერება სოსუმში გამოდგა. ტყვეების და ტვირთის ნაწილი სანატორიუმ ‘სინოპში’, ხოლო მერე ნაწილი სანატორიუმ “აგუძერაში” გაანაწილეს. პირველ პუნქტს დაარქვეს “ობიექტი ა”, ხოლო მეორეს – “ობიექტი გ”.

ასე მშვიდობით, ნაკაწრის გარეშე და ხონთქრის საკადრის მდიდრულ ალაფთან ერთად დაბრუნდა ომიდან სამშობლოში რეზონ ელიადაყიძე, რომელიც ორიოდე თვეში სოსუმიდან თბილისში МГБ-ს საქალაქო განყოფილებაში გადაიყვანეს.

\*\*\*

იჯდა ახლა აქაურ ხვატში თავის კაბინეტში და თუნდაც უმნიშვნელო სახელმწიფო დამნაშავეს დაჭერაზე ოცნებობდა. იცოდა რეზონმა, როგორ გამოემერწა პატარა ბუზის განავლისგან დიდი სპილო. თანაც როდესაც მუშაობდა, წარსულზე ფიქრისთვის არ ეცალა და იქაური აჩრდილებიც არ აწუხებდნენ.

თბილისში ხომ არაფერი ხდებოდა და ეს თურქეთის ფრონტიც არა და არ იხსნებოდა. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, ვერ შეთანხმდნენ სომხეთის და საქართველოს კომუნისტები, ვის უნდა დარჩენოდა ოლთისი. მოსკოვს კი უფრო შორს მიმავალი გეგმები

ჰქონდა და შავ ზღვაში შემოსასვლელი სრუტეების გაკონტროლებაზე ოცნებობდა. “აი რატომ არის ბუმბერაზი სტალინი” – უყვარდა დიდ ბელადზე ამ ფრაზის გაფიქრება რეზონს.

კარებზე მორიდებული კაკუნი გაისმა.

– შემოდი, დუსია დეიდა! – ხმამაღლა მოუხმო კაპიტანმა ელიადაყიძემ დამლაგებელს, რომელიც სულ ცდილობდა უშიშროების სამმართველოს ოთახები სამუშაო დროის დამთავრებამდე დაესუფთავებინა, რომ მერე გაქცეულიყო და მეორე სამსახურშიც მოესწრო თავისი მოვალეობის შესრულება.

– შეიძლება, ამხანაგო კაპიტანო? – კარებში თავი შემოჰყო სრულიად უცხო ყმაწვილმა.

რეზონმა ოთახში შემოსული და ამაყად მდგარი მოულოდნელი სტუმარი კარგად აწონ-დაწონა. ახალგაზრდა კაცს ნაცრისფერი შარვალ-კოსტიუმი, თეთრი პერანგი და საგანგებოდ გაპრიალებული მუქი ფეხსაცმელები ეცვა; ყელს თეთრწინწკლებიანი შავი ჰალსტუხი უმშვენებდა; საქმიანი გამომეტყველებით იღიმოდა. მის მწვანე თვალებში ეშმაკები ხანჯლურს ცეკვავდნენ და ნაპერწკლებს აფრქვევდნენ.



### ცეკვა ხანჯღური

- რა გქვია, შვილო, შენ?
- ზევული, ამხანაგო კაპიტანო.
- მამაშენს რას ეძახიან?
- დიფთერს, ამხანაგო კაპიტანო.
- სახელი და მამის სახელი გადასარევი გქონია. შე კარგიდედმამის შვილო, სათეატროდ რომ გამოწყობილხარ, დავიჯერო, არ გცხელა?
- ჩემთვის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შენობაში შემოსვლა უდიდესი პატივია. აქ საკინძეშესნიღმა და ბულვარში სასეირნოდ გამოწყობილმა ვერ მოვბედე, ამხანაგო კაპიტანო, - სერიოზული და თავდაჯერებული იყო უცნობი.
- კარგად მოქოქილი ჩანხარ. მოდი მაგიდასთან ახლოს; დაჯექი; დიდი კაცივით კი ლაპარაკობ, მაგრამ, დედას გაფიცებ, არ მომატყუო, რამდენი წლის ხარ?
- თვრამეტის, ამხანაგო კაპიტანო!

- უჰ, აბა საჯარე ყოფილხარ, კაცო!
- ჯარის ასაკმა კი მიწია, მაგრამ, რას იზამ, არ ვარგივარ სამხედრო სამსახურისთვის, ამხანაგო კაპიტანო; გამაკომისიავეს.
- როგორ, გიყი ხარ თუ?
- თქვენ ხუმრობთ, ამხანაგო კაპიტანო, მე კი სირცხვილით რა გავაკეთო, არ ვიცი. ბრტყელტერფიანი ვარ და ყველა სამედიცინო კომისიამ დამიწუნა. იქნებ ამიყვანოთ სამსახურში და ამგვარად მომცეთ სამშობლოსთვის პატრიოტული ვალის გადახდის საშუალება.
- ჩვენთან რა უნდა აკეთო, ბიჭო?
- ვიშპიონო! - ნერვი არ შეტოკებია ახალგაზრდა კაცს.
- ვის უნდა უშპიონო, ყმაწვილო?
- ვისზეც დამავალებთ, ყველას ამბავს გაგიგებთ და მოგახსენებთ.
- კომკავშირელი ხარ?
- დიას!
- მერე თუ კომკავშირელი ბრძანდები, უნდა იცოდე, რომ ჩვენმა პარტიამ და ხალხმა დიდ სამამულო ომში არა მარტო გარეშე მტერი დაამარცხა, არამედ შინაურ ანტისაბჭოთა ელემენტებსაც მოუღო ბოლო. ასეა, ბიძია, ეს საქმე უშენოდ უკვე გავაკეთეთ. სად გვყავს ჩვენ შენი საშპიონო ხალხი? - ხმას აუწია რეზონ

ელიადაყიძემ, მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო, სკამიდან წამოიმართა და გამჭოლი მხერით მიაშტერდა ახალგაზრდა კაცს. ბევრი ადამიანი დაუფრთხია ამგვარი საქციელით და იგივე შედეგს ელოდა ახლაც.

– მე, ამხანაგო კაპიტანო, ჩემი გეგმით გეახელით. ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ, – უკვე კეთილგანწყობას და სერიოზულობას გამოხატავდნენ მისი თვალები.

რეზონს მოეჩვენა, რომ ეს ყმაწვილი რაღაც აკვიტებული იდეითაა შეპყრობილი და დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე არაფერს შეეპუებოდა. საკუთარი ახალგაზრდობა გაახსენდა; ახლა საქმე მაინც არაფერი ჰქონდა და გადაწყვიტა, ბოლომდე მოესმინა:

– აბა, რა გეგმა გაქვს ასეთი?! წვრილად და აუჩქარებლად მომიყევი.

– მოკლედ მოგახსენებთ. ნაციონალისტები, კულაკები, ბურჟუაზიული გადმონაშთები, ხალხის მტრები, იმპერიალიზმის აგენტები უკვე გავანადგურეთ. ანუ თქვენს და თქვენზე უფროსი თაობის ადამიანებს შორის ანტისაბჭოთა ელემენტები აღარ დარჩნენ. ეს თაობები დრომ გამოსცადა და დღეს ქარცეცხლგამოვლილების რეპუტაცია უმწიკვლოა. აი ჩემი ასაკის და ჩემზე ახალგაზრდებს კი ყურადღება სჭირდება. ეგენი ახლა არ აშავებენ, რადგანაც საბჭოთა სახელმწიფოს ყველა სიკეთით სარგებლობენ და განცხრომაში არიან. აქვთ: უფასო განათლება, უფრო მეტი – უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიასაც იღებენ, უფასო ექიმი, პურის ტალონები,

უიაფესი კეების პროდუქტები, ტრანსპორტი იორდა, პროფკავშირული საგზურები, საპატიო სიგელები, გარდამავალი დროშები, სამკერდე ნიშნები, მედლები და ორდენები, რჩეულებისთვის კომკავშირული, ხოლო უფრო უკეთესებისთვის პარტიის ბილეთები. ამდენ სიკეთეს იღებენ სახელმწიფოსგან და ამიტომაც არიან მისი ერთგულნი, თორემ მათ პირად კეთილდღეობას საფრთხე თუ შეექმნება ან იდეოლოგიურად საშიშ ცოტუნებას გადაეყრებიან, განა მაშინაც შეინარჩუნებენ ბოლშევიკურ სიმტკიცეს? მოგესხენებათ, ამ ასაკში ადამიანი შეიძლება ადვილად წამოეგოს მსოფლიოში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბურჟუაზიის მომხუსხველ ანკესს. ეს საფრთხე მანამადე იარსებებს, ვიდრე სოციალისტური რევოლუცია მთელს დედამიწაზე არ გაიმარჯვებს.

– რაო, რას გვთავაზობ? პატარა ბავშვებს დავერიოთ?

– რატომ დავერიოთ? უბრალოდ მათ რიგებში ახლავე გამოვავლინოთ მერყევი ელემენტები და ჩავუტაროთ შესაბამისი აღმზრდელობითი საქმიანობა. მე მგონია, რომ ამ ადამიანებზე კონტროლი კომკავშირული ასაკიდან უნდა დავაწესოთ. ხელოვნურად შევუქმნით მათ მაცდუნებელ პირობებს და თუ უნებისყოფობას გამოავლენენ, ზემოქმედების ზომებსაც მივიღებთ. მაკომპრომეტირებელი მასალები თქვენთან სპეციალურ კარტოთეკაში შეინახება; როცა გაიზრდებიან, მათზე გავლენის მოხდენას უფრო ადვილად შესძლებთ. მზად ვარ ამ საქმეში უანგაროდ გემსახუროთ.

– ყმაწვილო, მეფის რუსეთის ოხრანკისეულ პროვოკატორობას სთავაზობთ მუშურ-გლეხურ უშიშროების სამსახურს?

– თუ მიზანი დიადია, პროვოკატორობით, არამგონია, რაზე დავაშავოთ.

“ეს ბიჭი მოგზავნილს ჰგავს”, – ეჭვი გაუხნდა რეზონ ელიადაყიძეს და, თავის დაზღვევის მიზნით, გადაწყვიტა, ინსტრუქციის სრული დაცვით ემოქმედა. სხვა შემთხვევაში აქედან სულ კუდიტ ქვას ასროლინებდა არამკითხე ჩეკისტობანას მოთამაშეს, ახლა კი ფურცელი და ქიმიური ფანქარი გაუწოდა:

– ინებეთ, ამხანაგო! დაწერეთ თქვენი მოკლე ავტობიოგრაფია და მისამართი. თუ საჭიროდ ჩავთვლით, დაგიკავშირდებით. თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, რომ ამ საუბრის შესახებ დედამიწის ზურგზე არავინ უნდა გაიგოს.

ზევულ დიფთერიჩმა პირველი დავალება შეასრულა, ნაწერი რეზონს მიაწოდა, მოწიწებით გამოემშვიდობა და დინჯი ნაბიჯებით გავიდა კაბინეტიდან.

“გიჟია, ოხერი!” – გაიფიქრა კაპიტანმა. ფურცელი აიღო და შპიონობაზე მეოცნებე კაცის ნაჯღაბნის კითხვა დაიწყო.

კარი უცერემონიოდ გაიღო. ოთახში რეზონ ელიადაყიძის უფროსი, მაიორი ჰადად ელომიძე შემოვიდა.

– გისმენთ, ამხანგო მაიორო! – ფეხზე წამოხტა კაპიტანი.

– რა გავყირებს, შე შეჩვენებულო! ვინ იყო ის ბავშვი, ბედნიერი სახით რომ მიდიოდა? ასეთი რით გაახარე?



– მე მგონი, პროვოკატორია! ა, ნახე, მისი მონაცემები. პატარა ბავშვებში გამამწესეთ შპიონადო!

– მაგ სისულელის კითხვადა მაკლია, დაიკიდე ფეხებზე და გულზე მოგეშეება. დღეს თათბირი არ გვაქვს. სიდედრმა წარაფი რომ გამოგიგზვნა, დროზე მიეხედოთ, თორემ დაგიმარდება ამ სიცხეში.

იმ საღამოს ვინ იფიქრებდა, რომ ზუსტად ერთ კვირაში ახალგაზრდა კაცის მიერ შეთავაზებული სამსახური ასეთი საჭირო გახდებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთვის?!

\*\*\*

1946 წლის 7 აგვისტოც გათენდა. თურქეთში სსრკ-ს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა პაველ ერშოვმა ადგილობრივ საგარეო საქმეთა მინისტრს ნოტა გადასცა.

სტალინი აგრესიულ, მაგრამ ჯერ კიდევ დიპლომატიის ჩარჩოებში, მოითხოვდა სრუტეების “ერთობლივ თავდაცვას”, რის საფუძველზეც შავი ზღვა გამოცხადდებოდა მხოლოდ მის ნაპირებზე განლაგებული ქვეყნების შიდა სივრცედ.

ცხადზე უცხადესი იყო, რომ თურქეთი რუსების წინადადებას არ დათანხმდებოდა და სტალინი საომარი მოქმედებებით შეეცდებოდა ჩანაფიქრის განხორციელებას. საბჭოური დიპლომატიის მხარდასაჭერად სსრკ-თურქეთის საზღვრისკენ

დაიდრნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილი წითელი არმიის დივიზიები.


მთელი მსოფლიო გულის ფანცქალით ელოდა მოვლენების შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებული მღელვარება და მოლოდინი სუფევდა სომხეთსა და საქართველოში. ამ ორი წითელი რესპუბლიკის ბოლშევიკური ხელისუფლება, ლომის ნასუფრაღიდან ღეში ხომ ჩვენ დაგვრჩებაო, აცუნდრუკებული ტურასავით ელოდა თურქეთის ტერიტორიის ოდესღაც მათი მიწებით პირის ჩატკბარუნებას და დორბლს ვერ იკაავებდა. წითლების მიერ დარაზმული სომეხი და ქართველი მუშები მიტინგებს მიტინგებზე მართავდნენ; ინტერნაციონალისტ პროლეტარ მწერლებში, ცეკას ინსტრუქტორების მითითებით, პატრიოტულმა გრძნობებმა გაიღვიძა და ისინიც, მათივე ყაიდის უურნალისტებთან ერთად, ჩაერთნენ ომის გაჩაღებისკენ მიმართულ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

“ბოსფორი და დარდანელი, ბოსფორი და დარდანელი”: – ბოდავდა წითელი სიმსივნე, რომელსაც ნახევარი ვეროპა უკვე შთაენთქა და ახლა მთელს დედამიწაზე ცდილობდა გავრცელებას.

საბჭოთა იმპერიამ აივნებზე ახალი ლოზუნგი გადმოჰკიდა: “წინ სტამბულისკენ!”

ხელებს იფშენებდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო. რატომღაც ასე დამკვიდრდა, რომ ერთი ქვეყნის მიერ მეორისთვის ომის გამოცხადებას

აუცილებლად საბაბი სჭირდებოდა და სწორედ “МГБ-ეს” დაევალა პროვოკაციის მომზადება.



მძღოლმა შავი ლაპლაპა “M-11” დაამუხრუჭა თუ არა, მაიორი ჰადად ედომიძე ძლივს გამოეცია უკანა კარიდან და ძუნძულით გაიქცა შენობისკენ. ბოლო დროს საგრძნობლად მოკუტკუნდა; ქოშინით გაიარა ბნელი დერეფანიც და კაპიტან რეზონ ელიადაყიძეს კაბინეტში შეეჭრა:

– სადაა შენი პროვოკატორი? სასწრაფოდ აქ მომგვარე?

– ახლავე, ამხანაგო მაიორო! – წამოხტა რეზონი. წამით დაფიქრდა და: – რომელი პროვოკატორი, ამხანაგო მაიორო?

– როგორ თუ რომელი? აქ რომ იყო ერთი კვირის წინ პატარა ბიჭი?

– ა-ა-ა! ფერშალი?

– შენ ხომ არ გადაირიე, ვინ ფერშალი, რა მედლა? ბიჭი-მეთქი ხომ გითხარი, შპიონობა რომ უნდოდა, რამ გამოგაშტერა?

– სწორედ მაგაზე მოგახსენებთ, ამხანაგო უფროსო. ფერშალია ის ბიჭი.

– კაი, კაცო! მერე რა? საფერშლო ჰქონდა სერგო ორჯონიკიძესაც დამთავრებული და ამის გამო სახალხო კომისარი ვერ გახდა თუ? სადაა, რომელ საავადმყოფოში მუშაობს? მიწიდან ამოთხარე და აქ გააჩინე;

– მაგის პოენა არაა ძნელი საქმე. ეტყობა ამხანაგი სერგო უყვარს ძალიან და კომკავშირის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში მუშაობს ინსტრუქტორად.

– გადასარევი. არ ყოფილა ეგ ბიჭი მთლად ხელწამოსაკრავი. მაშინ, მოდი, ასე ვქნათ. ჩვენ აგენტის სახელი რომ არ გაუვარდეს, სამსახურში ნუ მიაკითხავ, ტელეფონით დაუკავშირდი და კონსპირაციულ ბინაზე დაიბარე. მე გვერდზე ოთახში ვიქნები. ფორმალბებს მორჩები თუ არა, პირდაპირ საქმეში ჩავრთოთ.

– მაგ ბიჭზე არ მიმუშავია, მისი მაკომპრომეტირებელი მასალა არაფერი გვაქვს. ვინ იცის, როდის რა მოეპრიანება? რომ დაჰკრას ფეხი და გაგვექცეს, რით გავაჩერებთ?

– პატარა ბავშვივით ლაპარაკობ. თუ კომპრომატი არ გვაქვს, გვექნება. შე კაი კაცო, რაღაცას როგორ ვერ ვუპოვით. გარდა ამისა, შენთან თავისი ფეხით არ მოვიდა? ეგეთები კი არსად გარბიან და მაგათგან

კარგი წყარო დგება ხოლმე. იცი შენ და ახლა  
ტყუილად მალაპარაკებ. დროზე დაურეკე

\*\*\*

გასაუბრების ფორმალური ნაწილი საიდუმლო  
თანამშრომლობის გაუთქმელობის შესახებ  
ვალდებულებაზე ხელმოწერით დასრულდა. ზევულ  
დიფთერიის უკვე სახელმწიფო უშიშროების  
სამინისტროს ოფიციალური წყარო ანუ, როგორც  
ხალხში ამბობდნენ, “შპიონი” გახდა. კონსპირაციულ  
ბინაში, კაპიტანთან საუბრის დროს, მხოლოდ  
ერთხელ, და ისიც სულ ორიოდ წამით, დაეუფლა  
უსიამოვნო შეგრძნება. ეს მაშინ მოხდა, როდესაც  
რეზონ ელიადაყიძემ ხელმოწერილი დოკუმენტი  
საქადალდეში ჩადო, ზონრები განასკვა, სკამიდან  
წამოხტა და თვალების ბრიალით იღრიალა:

– ამის დარღვევისთვის ოფიციალურად დასასჯელთა  
სიაში მოხვდები და სამსახურში დაწინაურებაზე არც  
იფიქრო, სინამდვილეში კი ერთადერთი სასჯელი  
არსებობს! შუბლში ტყვია! გაიგე, ბიჭო? დალატისთვის  
სულს ამოგხდი, იცოდუ!

– ვიცი, ამხანაგო კაპიტანო, – თვალები დახარა, მერე  
გაიღიმა და სრულიად უწყინარი მზერა შეაგება  
რეზონის ცოფიან თვალებს.

კაპიტანი ყოველი გადმობირებისას გამარჯვების  
ნეტარებას გრძნობდა. ახლა კი, პირველად მის  
პრაქტიკაში, პროცედურის დასრულების შემდეგ  
სიამოვნება არ განუცდია. ტვინის შორეული  
საცეცებით მიხვდა, რომ ეს კაცი უშიშროებაში

იმიტომ კი არ გაწვევრიანდა, რომ სისტემის სამსახური სურდა, არამედ პირიქით, იგი ეცდებოდა ამგვარი თანამშრომლობა პირადი მიზნებისთვის გამოეყენებინა.

– არ იმსახურებს ეს ახალგაზრდა კაცი ყვირილს და მუქარას. გამარჯობა, ყმაწვილო, – კედელთან მდგარი კარადიდან შემოაბიჯა ჰადად ედომიძემ. – არ გაგიკვირდეს, ეს მეორე ოთახთან დამაკავშირებელი კარის ფუნქციას ასრულებს, როცა საჭიროა. დღეიდან ჩვენი კაცი ხარ და ამისთანა ეშმაკობებს კიდევ ბევრს ნახავ.

– გაგიმარჯოს ამხანაგო, – ფეხზე წამოდგა ზეველ დიფთერიჩი.

– მაიორო, – დაასრულა ფრაზა ჰადადმა.

– ახლა პირდაპირ საქმეზე. დაჯექი, საუბარი სერიოზული გველის. დიდი ნდობა უნდა გამოგიცხადოთ, – სკამი გამოსწია; მაგიდას მესამე კაცად მიუჯდა ედომიძე. ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, გახსნა და რეზონს შესთავაზა. – ჰერცეგოვინა ფლორია, აიღე, არ მოგერიდოს, კარგად იმუშავე, ნამდვილად იმსახურებ დიდი ბელადის საყვარელ თამბაქოს. ასეთი კარგი კაცი შემოგვმატე. წადი ახლა შენს ცოლ-შვილთან, ჩვენ აქ ორნი უფრო კარგად მოვილაპარაკებთ. ხომ იცი, მესამე ყოველთვის ზედმეტია.



რეზონმა ერთი პაპიროსი მოწიწებით ამოიღო, სამუნდშტუკე მუყაოს ნაწილი თითებით ჩაკეცა, კბილებში გაირჭო, მაგრამ არ მოუკიდა. მერე უცებ საქალაქდღე ილლიაში ამოიხარა და გასასვლელისკენ წავიდა.

– ამას ნავახშმევს მოვწევ. უფრო შემერგება. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ.

– თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, – რეზონ ელიადაყიძე ოთახიდან გავიდა თუ არა, მაიორს მიმართა ზევულმა.

– მიკიბულ-მოკიბული საუბარი ეშმაკის მოგონილია. ერთი სიტყვით, სიტუაცია ასეთია: დღე-დღეზე თურქეთთან ომი უნდა დაიწყოს. ჩვენში დარჩეს, სტალინს უნდა საბჭოთა საქართველოს დაკარგული ტერიტორიები დაუბრუნოს და ამ საქმეში შეგიძლია დიდი წვლილი შეიტანო. თუ დავალებას კარგად შეასრულებ, დაწინაურება ჯიბეში გიდევეს. მაქსიმუმ ერთ კვირაში თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ბიჭებისგან უნდა შეჰქმნა ოთხკაციანი ჯგუფი. სასურველია იყვნენ კომკავშირლები და, ხუთოსნები თუ არა, ოთხოსნები

მაინც. მათი ამოცანაა, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე წყურწყამის ტაძარში დათქმულ დროს ჩუმიად შეღწევა და იქ დაბანაკება. საზღვრის უსაფრთხო გადაკვეთას ვალეს მიდამოებში ჩვენ უზრუნველყოფთ. იმ პატრიოტებს ეტყვი, რომ დაბომბვა დაიწყება თუ არა, წყურწყამის გუმბათზე კოცონი დაანთონ, რათა არტილერიისტებმა ორიენტირები მოინიშნონ და ყუმბარებით ძეგლი შემთხვევით არ დააზიანონ. შენთან დასამალი რა მაქვს, ოპერაციის ნამდვილ მიზანსაც გაგიმხელ. სინამდვილეში, დაზვერვის უტყუარი მონაცემებით, წყურწყამის ეკლესიის მიდამოებში განლაგებულია თურქეთის არმიის სამხედრო ბაზა. არტილერიისტებს სიბნელეში ორიენტირი სჭირდებათ და აბა, შენ იცი და შენმა ვაჟუაცობამ, შეგვირჩიე საქართველოს წარსულზე შეყვარებული ბიჭები. რუკა, ზედ მოხაზული მარშრუტით, ჩვენზეა. სხვა დეტალებს მერე გაიგებ. მიხვდი, რამხელა საპატიო დავალებას გენდობით?

– მივხვდი, ამხანაგო მაიორო, – მშვიდად დაიწყო ზევეულმა. – ყველაფერს მივხვდი. დიდი მადლობა ნდობისთვის. ამიტომაც თავს მოვალედ მივიჩნევ, გულწრფელი ვიყო. თქვენი წინადადება მაფიქრებინებს, რომ ვალდებული ვარ ჩემი საიდუმლოც გაგიმხილოთ. ამ სამი დღის წინ სამსახურში მივედი თუ არა, კარისკაცმა მითხრა, კადრებში გიბარებენო. სულ ცოდილო, მაშინვე გავიფიქრე, რომ კადრების განყოფილების გამგე ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ტყუილად არ დამიძახებდა, ალბათ უშიშროებაში მოეწონათ ჩემი წინადადება და კაპიტანი რეზონ ელიადაყიძესთან მიხმობენ-მეთქი.



- უშიშროებასთან თქვენი კადრების განყოფილების უფროსს, რა თქვი, რა ჰქვიაო?..
- ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე.
- სახელი კარგი რქმევია. ხო, მაგ შევარდნაძეს ჩვენთან ვითომ რა კავშირი აქვს?
- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გამიგია, რომ კადრების განყოფილების უფროსები უშიშროების ხალხიაო.
- მეორეჯერ ეგ სისულელე არ გავიგონო. ახლა გააგრძელე, რისი თქმა გინდოდა.
- როგორც თქვენ ბრძანეთ, მიკიბულ-მოკიბული საუბარი ეშმაკის მოგონილია და პირდაპირ არსებითზე გადავალ. ერთი სიტყვით, კადრების განყოფილების უფროსის კაბინეტში სრულიად უცნობი ადამიანი დამხვდა, რომელმაც მითხრა, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელია და დავალებული აქვს გადმომცეს საიდუმლო ბრძანება ჩემი არდაღანის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანად დანიშნვის შესახებ.
- როგორ, კაცო, ჯერ არ დაგვიბრუნებია და უკვე კადრებით ვაკომპლექტებთ?
- ასეა, ამხანაგო მაიორო! როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს: “კადრები წყვეტენ ყველაფერს!” გარდა ამისა, ცენტრალურ კომიტეტში დეტალურად გამაცნეს მომავალი საქმიანობის გეგმა. ასე რომ, თქვენ ამჟამად ელაპარაკებით თურქების მიერ დროებით ოკუპირებული არდაღანის რაიონის კომკავშირის

კომიტეტის მეორე მდივანს. ალბათ გასაგებია, რომ ამ საუბრის შესახებ სხვამ არ უნდა გაიგოს?

– კაი, კაცო?! აქეთ მარიგებ ჭკუას?

– ამხანაგო მაიორო, უნდა გითხრათ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე თქვენი უწყების მიერ დაგეგმილ ოპერაციაში უშუალო მონაწილეობას სამწუხაროდ ვერ შევძლებ, რადგანაც კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის მითითებით, უფრო ფართომასშტაბიანი და სერიოზული დავალება მომცა. იმედი მაქვს, ჩემდამი რწმუნებულ რაიონში კოორდინირებულად ვიმოქმედებთ. თქვენთან თანამშრომლობისთვის ყოველთვის მზად ვარ და გვერდით მიგულეთ.

– უჰ, დიდი კაცი ყოფილხარ და ამ პატარა საქმეზე როგორ მოგაცდენ?! ისე, თუ რამე საჩვენოს მოიფიქრებ, არ მოგერიდოს. ხო, მართლა, გახსოვდეს, დღეიდან ერთ უღელში ვართ შებმულები. ახლა ჯერ შენ გადი ბინიდან და ცოტა ხანში მეც წავალ. არაა სასურველი, ვინმემ ერთად დაგეინახოს: უფ, რომ იცოდეთ, კიდევ რამდენი საქმე მაქვს დღეს?!

– ნახვამდის, ამხანაგო მაიორო. მომავალ შეხვედრამდე.

ახსოვდა ზეველს, ახსოვდა კი არა, აქ სწორედ უშიშროების სამინისტროსთან ერთ უღელში შესაბამელად მოვიდა. მაგრამ არ შეეპასუხა მაიორს, რომ თურქეთის საზღვართან გადმოსროლილი საბჭოთა არმიის საარტილერიო ქვედანაყოფების განლაგების ადგილიდან წყურწყამი, თუნდაც მის

გუმბათზე ათმეტრიანი კოცონი დაანთე, მაინც არ გამოჩნდება – ეს ერთი. მეორე: ეკლესია საზღვრიდან იმ მანძილზე მდებარეობს, რომ წითელი არმიის შეიარაღებაში ამჟამად არსებული ყველაზე შორსმსროლელი გერმანული ალაფი, 210 მილიმეტრიანი ქვემეხი, ჭურვს მაინც ვერ მიაწვდენს.

ზეეული მიხვდა, მაიორი ატყუებდა და ოთხბიჭიანი ოპერაციის მიზანი სულ სხვა რამ გახლდათ, მაგრამ რა? ამას ფიქრი და განსჯა სჭირდებოდა.



გუსტავ დორე. იუდას კონა

ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა, რომ, აჰა, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად ხალხი, მახვილებით და კეტებით – მღვდელმთავართაგან, მწიგნობართაგან და უსუცესთაგან.

ხოლო მისმა გამცემმა მისცა მათ ნიშანი და უთხრა: “ვისაც მე ვეამბოროები, ის არის იგი, შეიპყარით და ფრთხილად წაიყვანეთ.”

მიეჭრა მას და უთხრა: “რაბი!” და ეამბორა მას.

/მარკ. 14. 43-45/

## თავი მეხუთე

გაუჩინა უფალმა მტერი სოლომონს: ედომელი ჰადადი, ედომის მეფეთა შთამომავალი.

/3 მეფეთა. 11. 14/

### მარტინი-მაუზერის შაშხანა



1946 წლის 10 სექტემბრის დაბინდებისას თბილისში, ტრიბუნალის ქუჩაზე მდებარე სასამართლოს შენობის კარებთან მდგარმა რეზონ ელიადაყიძემ საათს დახედა. უფროსი იგვიანებდა; ტუალეტში წამით შევირბენო, – დაუბარა და მას შემდეგ ათ წუთზე მეტი გასულა. ის იყო გაიფიქრა: რაღაც ვერ იყო კარგად, მივაკითხავ, რამე ხომ არ დაემართაო, – რომ ჰადად ედომიძე გამოჩნდა და რუსთაველის გამზირისკენ დადმართს ერთად დაუყვნენ. სასამართლოში მომხდარი ამბების გამო დანა პირს არ უხსნიდათ. კონსერვატორიის

შენობაში ვიღაც ხმას ავარჯიშებდა; ლადიძის წყლების წინ პროსპექტი გადაკვეთეს, ოპერის თეატრს ჩაუარეს და ლუნაჩარსკის ქუჩის ბოლოში მდებარე რეზონ ელიადაყიძის სახლისკენ მღუმარედ განაგრძეს სვლა. ნავთის წერტთან ხალხი ირეოდა. სადარბაზოში, წარწერა **SALVE**-ს დაადგა ფეხი თუ არა, რეზონი შეჩერდა, გვერდზე გადავა და ჰადადს გზა დაუთმო.

ლუნაჩარსკის რვა ნომერი საინტერესო შენობა გახლდათ; აქ მშვიდობიანად თანაარსებობდნენ: ბავშვთა პოლიკლინიკა, საქთევზმრეწვის ტრესტი, სტომატოლოგიური სადღეღამისო კაბინეტი და კომუნალურ ბინებში მცხოვრები მოქალაქეები.

– სადამო მშვიდობისა, ძია რეზონ! – წკრიალა ხმით მიესალმა მარჯვენა მხარეს, პოლიკლინიკის კარებთან მდგარი, თეთრ ხალათში გამოპრანჭული, ვარდისფერბაფთებიანი პატარა გოგონა.

– გაგიმარჯოს, შვილო, – გაჭირვებით ამოდერდა ელიადაყიძემ. ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და, რადგანაც საბაბი მიეცა, ჰადადს უჩურჩულა: – მეზობლის ბავშვია, მედიკო ქარცივაძე. უცნაურობა სჭირს, კაცო. ამოიჩემა, რომ გავიზრდები, ამ პოლიკლინიკის მთავარი ექიმი უნდა გავხდეთ და ყოველ სადამოს სანიტრებს ეხმარება.

მეორე სართულზე ეზოს მხარეს აივანზე ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ აუხვიეს და მესამე კარებთან გაჩერდნენ. რეზონმა შარველის ჯიბიდან გასაღებების ასხმა ამოიღო და ხელში შეათამაშა:

– ეს ხომ არ შემოვიამხანაგოთ? – თვალით ანიშნა გვერდით კარზე.

– კარგი ხმა კი აქვს მაგ დალოცვილიშვილს. რას უბერავდა იმ დღეს?! რა ჰქვია, გამახსენე?

– ნოკო, ნოკო ხურცია. კარგი კი არა, გადასარევი ტენორია. დავუძახოთ, იქნებ სუფრა დაგვიმშვენოს და როგორმე ხასიათი გამოგვიკეთოს.

– არა, დღეს არ გვინდა. ბევრი რამ გვაქვს სალაპარაკო და უცხო კაცი არ გამოგვადგება. ისე, იცის, სად მუშაობ?

– რას ამბობ? მაგან რომ ეგ გაიგოს, სათოფეზე არ გამეკარება.

– რატომ ვითომ? რაო, ანტისაბჭოთა ელემენტია?

– არა, კაცო! ახლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მომდერაღთა გუნდის ლოტბარია; ხელოვანი კაცია. ხომ იცი, ეგენი თავისებური ხალხია. – კარი შეაღო და სტუმარი შინ შეიპატიჟა: – მიბრძანდით, ჩემო ბატონო, ხუთ წუთში სუფრა გაშლილი იქნება.

\*\*\*

– დიდი სტალინის ნაამაგარ მშვიდობას გაუმარჯოს! – ომახიანად შესძახა რეზონმა, ღვინის ჭიქა ნელ-ნელა ბოლომდე გამოწრუპა და ჩანგლით გუდის ყველის მოზრდილ ნაჭერს მისწვდა.

– მშვიდობა, ხვათი და ბარაქა არ მოშლოდეს ამ ოჯახს, – ჩაიბურტყუნა ჰადადმა; ღვინო მოსვა, დააგემოვნა, მოწონება მარცხენა ხელის ცერა თითის

ზემოთ აწევით დაადასტურა და ჭიქა დასცალა. – რას გვერჩოდა ის მოსამართლე, რატომ არია-დარია ყველაფერი? რა კაცი დაგკარგეთ, ბიჭო?! – წითელი ბოლოკი მარულში ჩააწო და სრაშუნით ჩაღეჭა ჰადადმა.

– ვითომ რატომ დაგკარგეთ? ხომ შეიძლება შეწყალება შეეხოს და გადარჩეს?

– ისე გადარჩა ჩვენი მტერი და დამაწყევარი. მაგი უკვე ცოცხალი აღარაა.

– როგორ, კაცო? ომი ხომ დამთავრდა, საგანგებო მდგომარეობა გაუქმებულია. დავიჯერო, ერთი-ორი დღე არ მოიცდიან? გუბერნსკის ციხეში ხომ უნდა გადაიყვანონ, სიკვდილმისჯილების საკანში დააბინაონ, ჯალათი და საგანგებო კომისია შეკრიბონ? ყველაფერს დრო უნდა. იქნებ ამასობაში შეიცვალოს რამე?!

– ნეტავი შენ! რა ნეტარი ხარ?! მაგას აქვე სასამართლოს შენობის სარდაფში ჩაიყვანდნენ; ჩვენი კაცი თვალს ჩაუკრავდა, ნუ გეშინია აქ ვარო, ეტყოდა და სეფისკვერს ჩუმად შეაპარებდა ხელში. ბოლოს რომ ვნახე, ეგ მთხოვა: არაფერი ისე არ მენატრება, როგორც სეფისკვერიო. მერე იმ გასახმობი მარჯვენით შუბლში მაუხერს დაახლიდა. უყვარს იმ ჯალათ-მამაძაღლს მაუხერი და რა უნდა უყო, ზნეს ვერ შეაცვლევიანებ. არადა, რომ შეხედავ, იფიქრებ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზიაო. ორ პატარა ბიჭს და იმ გოგოს კი მანამადე არ დახვრეტენ, ვიდრე შეწყალების ვადა არ გაუვათ. მიხვდი ხომ: შეწყალების ვადა, თორემ მაგათი შემწყალებელი არავინაა.



– ეგ ბავშვები არ მეცოდებიან. მაგათ არჩევანი თვითონ გააკეთეს. მე აგენტი მელაკუდა მადარდებს. ეს ზედმეტსახელი, ჩვენში დარჩეს, კი უხდებოდა, მაგრამ არ გამოადგა. კაცს დავალება მივეცი, თავისი ნაწილი პირნათლად შეასრულა: ოთხი ყმაწვილი იპოვა, დაიყოლია, მოამზადა; 27 აგვისტოს ვალეში აიყვანა, დეტალურად აუხსნა, უსაფრთხოდ სად უნდა გადაეკვეთათ სსრკ-თურქეთის საზღვარი.

– ცრუ საზღვარი! – დააზუსტა ჰადადმა.

– საზღვარი რომ ცრუ იყო, ეს არც მელაკუდამ იცოდა.

– ეგრე ნუ იტყვი. მაგას ისეთი სხარტი გონება ჰქონდა, დარწმუნებული ვარ, გუმანით გრძნობდა.

– ეჰ, იმას უნდა მიმხვდარიყო, რომ ის ოთხი ლაწირაკი კიდევ ოთხ მათნაირს წამოიყვანდა და თან პლუს ერთ-ერთის შეყვარებულ გოგოს. ან ამდენი “ტეტე” სად იშოვეს, კაცო?!

– მიდი, ჩემო რეზონ, დაასხი ღვინო. რაც მოხდა, მოხდა. რას შეეცვლით რო? ბედი ჰქონია ჩვენს მელაკუდას ასეთი. სიტუაცია ხომ რამდენიმე საათში შეიცვალა. ვინ იფიქრებდა, რომ ამხელა ომის დასაწყებად წკიპზე შემდგარი არმია, უცებ უკან დახვევის ბრძანებას მიიღებდა. დაგეგმილი კი ასე იყო, თვითონ გენერალმა მიაბზო: 27 აგვისტოს, გვიან ღამე, ის ოთხი ბიჭი გადაკვეთდა ცრუ საზღვარს; ნამდვილ საზღვართან МГБ-ეს სპეციალური რაზმი ერთიანად ამოწვევტდა მათ. პატარა ბავშვების დასახირობულ გვამებს ფოტოებს გადაუღლებდით და 28 აგვისტოს

გაზეთებით მთელ მსოფლიოს ვაცნობებდით, რომ თურქმა ასკერებმა შეიღებო ამოგვიწყვიტეს; ამის მოთმენას საბჭოთა ხალხი ვეღარ შესძლებდა. ომის დასაწყებად უკეთესი საბაბი რა გინდა?! 29 აგვისტოს დილით კი ქვეითი არმია საზღვარს გადაკვეთდა, ავიაცია იერიშს მიიტანდა თურქეთის დიდ ქალაქებზე, ხოლო ჩვენი ფლოტი შავი ზღვის სანაპიროზე გადასხამდა დესანტს. პარალელურად ირანის აზერბაიჯანი და ქურთისტანი მეორე ფრონტს გახსნიდა და რამდენიმე დღეში ბოსფორი და დარდანელი ჩვენი გახდებოდა.

– მერე რა ჯანდაბა მოხდა ასეთი. თავს ვიმტვრევ და ვერ გამოიგია, – რეზონმა იქვე კედელზე გაკრულ ხალიჩაზე ჩამოკიდებული ლიტრიანი ყანწი ჩამოხსნა, პირამდე გაავსო, დოქი დადგა: – დიდ ბეღადს, იოსებ ბესარიონის ძე სტალინს დიდება! – შესძახა; სასმისი ბოლომდე სულმოუთქმელად დაცალა, მწვანე ხახვს მიწვდა, მარილში ამოავლო და პირში გაიქანა. ჩანთქმული ღვინო კუჭში რომ დაიგულა, ახლა ყანწი თავიდან გაავსო და ჰადადს გადასცა.

– პიტლერს გადავურჩი და შენ მკლავ? – ყანწი გამოართვა: – სტალინს გაუმარჯოს. – ჩაიდუღუნა; იმანაც ერთ ამოსუნთქვაზე დალია ერების მამის სადღეგრძელო.

– ხომ დამთავრდა ეს ამბავი. ახლა მაინც მითხარი, რა ოხრობა და ჯანდაბა მოხდა ისეთი, რომ ამხელა გერმანიის დამმარცხებელ არმიას ქვეშაფსია თურქი ასკერების შეეშინდა? – ღვინომ სითამამე შეჰმატა რეზონს.

– ე. ბიჭო, მაცალე, ჩავიდეს ეს ბარაქიანი სითხე მუცელში და გეტყვი, აბა რას ვიზამ?!

– ა, ბატონო, ახალდამწნილებული კიტრი მიაყოლე, ცხარეა, გესიამოვნება.

ჰადადმა მჟავე კიტრი სულ ხრაშუნ-ხრაშუნით დაღეჭა:

– რა მოხდა, ჩემო რეზონ, და, 27 აგვისტოს მოლოტოვს სტალინისთვის გადაუცია დიპლომატიური არხებით მოპოვებული მასალები. თურქეთის საზღვართან ჩვენი ჯარების აქტიურობის გამო ამერიკელებს სასწრაფოდ შეუმუშავებიათ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმა, სადაც გადამწყვეტი როლი ეკისრება ატომურ იარაღს.

– ეგ რომელი ბომბებია, იაპონიის ხიროსიმასა და ნაგასაკში რომ ჩამოყარეს?

– ხო, ეგენია და ამას პლუს ყველა ჩვენი ყოფილი მოკავშირე: ინგლისი, საფრანგეთის ჩათვლით ერთად შემოგვიტევენ. მოლოტოვს წაუხსინია, დროზე თუ არ გაეჩერდებოდა, მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ მოგვიწევს ომიო.

– მერე სტალინმა რაო? ეგ უკან არ დაიხევდა.

– არც დაუხევია. უთქვამს, დაველოდოთ, სანამ ამხანაგი ბერია საბჭოთა ატომურ ბომბს გააკეთებს და მერე გავაგრძელოთ ეგ საქმეო. შემდეგ ყველა მინისტრისთვის შეუთვლიათ საომარი ოპერაციის შეჩერება. აბაკუმოვისგან საზღვარზე პროვოკაციის დაწყების ბრძანება უკვე მოსული იყო. სანამ

თბილისში მისი გაუქმების შესახებ დეპეშა მიიღეს, სანამ ჩვენ დაგვიკავშირდნენ, უკვე სადამოფლებოდა. მე და შენ კი გავექანდით ვალეში, მაგრამ რად გინდა?! იქ ოპერაცია რა ეტაპზეც იყო, ერთად არ ვნახეთ?! რაც მანამადე მომხდარა, МГБ-ეს სპეცრაზმის უფროსის მოხსენებით ბარათში წერია და შენც წაგაკითხე.

იმ დოკუმენტის გახსენებაზე რეზონ ელიადაყიძეს გააქროლა.

*სრულიად  
საიდუმლოდ*

### *რაზმის მეთაურის პატაკი*

*დავალების მოსამზადებელ ეტაპზე საგანგებოდ შევარჩიე ოთხი გამოცდილი მებრძოლი. ლეგენდის შესაბამისად, მათ ვწვრთნიდი საზღვრის გადაძვეული ბოროტმოქმედების გასანადგურებლად.*

*ყველაფერი ისე უნდა მოგვეწყო, რომ დამნაშავეებად ოსმალოები წარმოგვედგინა. ამიტომაც დამრღვევების ლიკვიდაცია თურქეთის არმიის იარაღით უნდა მომხდარიყო. მათ შეიარაღებაში გერმანული წარმოების ავტომატები აქვთ. ეს იარაღი, ალაფის სახით, ჩვენც დიდი რაოდენობით მოგვეპოვება. უცხოელი დიპლომატებისთვის ეჭვის საბაბი რომ არ მიგვეცა, გადავწყვიტეთ, ოპერაცია ჩავვეტარებინა უადრესად სპეციფიკური შაშხანებით, რომლებიც მხოლოდ თურქეთში მოიპოვება. ეს გახლავთ პიბოლდი-მარტინის 11.43 მილიმეტრიანი შაშხანის გადაკეთებული ვარიანტი – მარტინი-მაუზერის 7.65 მილიმეტრიანი 1908 წლის მოდელი. თბილისის არსენალში*

მართლაც ვიპოვეთ რამდენიმე ამ ტიპის შაშხანა. ეს იარაღი თავის დროზე მენშევიკური საქართველოს ჯარს მოუპოვებია თურქებთან ომში და საბრძოლო მდგომარეობაში იყო.



მარტინი-მაუზერის შაშხანა

მარტინი-მაუზერის შაშხანაში გამოიყენება 7.65 მილიმეტრიანი მაუზერის ვაზნები. ისინი MFB –ს საწყოებში აღმოჩნდა, ოღონდ პოდოლსკში წარმოებული. წვრთნის დროს სწორედ სამამულო ვაზნებს ვიყენებდით. ოპერაციის შემდეგ ნივთმტკიცებებად დაგვჭირდებოდა მასრები, რომლებზეც არ უნდა ყოფილიყო პოდოლსკის ფაბრიკის ნიშნები. საბედნიეროდ თავის დროზე ესპანეთში მოხალისედ მებრძოლ ერთ–ერთ მეგობარს თან ჩამოუტანია 1940 წელს იქ დამზადებული 7.65 მილიმეტრიანი ვაზნების ერთი კოლოფი, სულ ოცდახუთი ცალი.



ესპანეთში დამზადებული 7.65 მილიმეტრიანი ვაზნები

ყველაფერი მზად გვქონდა ოპერაციის წარმატებით ჩასატარებლად.

1946 წლის 27 აგვისტოს, საღამოს რაზმი გავიყვანე საბრძოლო პოზიციაზე. დავალება მარტივი გახლდათ: ერთ ჯარისკაცზე ერთი დამრღვევი მოდიოდა. საფარი კარგად იყო მოწყობილი და მხოლოდ მათ გამოჩენას ველოდით.

დაღამდა. ოთხი ჩრდილი დავთვალე და სროლის ბრძანება გავეცი. ოთხივე წაიქცა. მოულოდნელად გამალებული ცეცხლი გაიხსნა ჩვენი მიმართულებით; ცეცხლითვე ვუპასუხეთ, მაგრამ მალე ორი შაშხანა გაიჭედა. რაც შემედლო ვითმინე და ჩემი ავტომატიდან არ გამისვრია. ბედად, საზღვრის დამრღვევები გამოუცდელები იყვნენ, უთავბოლოდ ისროდნენ და მალე ვაზნები გაუთავდათ. ნაბრძანები მქონდა ბოროტმოქმედთა სრული ლიკვიდაცია, მერე რა რომ ისინი ოთხზე მეტნი აღმოჩნდნენ?! რაზმი მზად იყო ტყვია-წამლის გარეშე დარჩენილი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, მაგრამ ამ დროს საქმეში ჩაერთვნენ მესაზღვრეები, რომლებმაც გადმომცეს მაიორ ჰადად ედომიძის ბრძანება ოპერაციის შეჩერების შესახებ. მე და ჩემი მეგობრები ამ ბრძანებას დავემორჩილეთ.

სპეციალური დანიშნულების რაზმის მოქმედების შედეგად ადგილზე მოკლულია ექვსი ბოროტმოქმედი, დაჭრილია ერთი; უვნებლადაა აყვანილი ერთი ემაწვილი და ერთი ვოგონა. ამოღებულია ექვსი “ტეტეს” ტიპის იარაღი, ადვილმდებარეობის რუკა, ერთი ჩანთა ორცხობილა, წიგნები: იაკობ

გოგებაშვილის “დედა ენა” 4 ცალი, შოთა  
რუსთველის “ვეფხისტყაოსანი” 6 ცალი.

ვალე. 1946 წლის 28  
აგვისტო.

– იმ ჩვენს მელაკუდას რაღას ერჩოდნენ, რატომ  
მიგვაცემინეს თავიდან ხელშეუხებლობის პირობა? –  
რეზონმა, მადა ჭამაში მოდისო, გადაწყვიტა ყველა  
კითხვაზე მიელო პასუხი.

– ეგ რაში განადვლებს?

– მეცოდება, ეგ უბედური.

– ამ ბოლო დროს ღვინო ცუდად მოქმედებს შენზე.  
ცოტას დაღვევ და მგრძნობიარე ხდები. ჰა, სიბერე ხომ  
არ შემოგეპარა, ყაძახო? რა ჩვენი სადარღებელია, ამ  
ქვეყანას ერთი დამსმენით მეტი ეყოლება თუ ნაკლები?  
დახვრიტეს? ესე იგი დაიმსახურა! თავიდან მეც  
მითხრეს იქ, ზემოთ: თავისთავზე აიღოს თქვენმა  
მელაკუდამ სამშობლოს მოღალატეთა ჯგუფის  
ორგანიზატორობა, იძახოს, ჩემი ბრალია ყველაფერი,  
ეს ბავშვები მე წავაქეზეო; ჩაჯდეს იმ ბიჭებთან  
საკანში, დაიმსახუროს მეტი ნდობა და დაცინცლოს,  
იქნებ კიდევ არიან მაგათნაირი ხორცმეტები სადმეო.  
მერე რა მოხდა, რა ვიცი, თუ ძმა ხარ. პატარა ხალხი  
ვართ მე და შენ, პატარა საქმე გვავალია და პატარა  
ჭკუაც მოგვეკითხება. წავიდა შენი ღვინო, მგონი,  
ჯანში. გამივსე, განსხვავებული უნდა დავლიო, თორემ  
გამიხმა სტომაქი! – სალათის ჯამს დაავლო ხელი  
ჰადადმა.

– მოიცა, შე კაი კაცო, გასარეცხია; შიგ ხახვის, ოხრახუშის, მწვანე წიწაკის და პომიდვრის ნარჩენები ყრია. აგერ, კარადაში სხვა სასმისს ვიპოვი რამეს.

– არა, თავისი ზაკუსკით უნდა დავლიო, დაასხი ნუ გენანება

ჰადად ედომიძეს გარეგნულად მართლაც არაფერი ეტყობოდა; მისი ფართო, დანამული ცისფერი თვალები სიკეთეს და სიყვარულს აფრქვევდა; მოსაუბრეს თავისი ქათქათა კბილებით ყოველთვის სათნოდ უღიმოდა;. შინაგანადაც მტკიცე სულის კაცი იყო; ადრე ასეთი რამ არ ემართებოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს შეამჩნია, რომ გულჩვილობა შემოეპარა და, საზოგადოებისაგან დაფარული პროფესიული მოვალეობის შესრულების შემდეგ, ღვინოც ადვილად ერეოდა. ის კი არა, ამ სადამოს სასამართლოს სარდაფში მელაკუდას შუბლში პირველი ტყვია ვაჟკაცურად დაახალა, მაგრამ კეფაში საკონტროლოს რომ ესროდა, ხელი აუკანკალდა. როგორც ჩანს, ბერდებოდა შინსახკომის სკოლაგამოვლილი მაიორი ჰადად ედომიძე.





გუსტავ დორე. საულის სიკვდილი

მოკვდა საული თავისი ორგულობის გამო, რადგანაც  
ღალატობდა უფალს, უფლის სიტყვას არ იცავდა და  
გამოსაკითხად მესულთანეს მიმართავდა.

/ 1 ნეშტ. 10. 13/

## თავი მეექვსე

ბევრი დანაშაულით და უსამართლო მოხვეჭით შელახე შენი საწმიდარები, ამიტომაც გამოვიყვან შენგან ცეცხლს და შეგჭამს ის, და ნაცრად გაქცევ მიწაზე ყოველი მხილველის წინ.

ყოველი შენი მცნობელი ხალხებში შეძრწუნდება შენს გამო, არარაობად იქცევი და აღარ იქნები უკუნისამდე.

/ეზეკ. 28. 18-19/

ის კაცის მკვლეელი იყო თავიდან და ჭეშმარიტებაში ვერ დადგა.

/იოან. 8. 44/

## საიდუმლო ობიექტი-გ



გულრიფშის ილია წინასწარმეტყველის ეკლესია

ცხრა წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც 1945-ის გაზაფხულზე გერმანიიდან სანატორიუმ “აგუძერას” მიდამოებში ამოიყვანეს ნობელის პრემიის მფლობელი გუსტავ ჰერცი. მაშინ აქ მხოლოდ რამდენიმე ნაგებობა და თანამემამულე ტყვეთა ბანაკი დახვდა; ახლა კი “ობიექტი გ”-დ წოდებული გასაიდუმლოებული სამეცნიერო ცენტრი და პატარა დაბა იყო. ცხრა წელზე მეტია, ყოველ დღით სოხუმში მდებარე თავისი სახლიდან მანქანით აქეთკენ მოიხქაროდა და გზატკეცილიდან მარცხენა მხარეს მდებარე ილია წინასწარმეტყველის ჯვარხამოგდებულ ეკლესიასთან მარჯვნივ უხვევდა. სწორედ აქ იწყებოდა “ობიექტი გ”, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელიც თავად გახლდათ.

ნესტიანი შემოდგომის იმ დილას ტაძრისკენ გაიხედა; სამრეკლოს თავზე ჯვარი დაინახა. მძღოლს “პობედა” დაამუხრუჭებინა და მანქანიდან გადმოვიდა. ღრუბელი წვიმას წვრილად ცრიდა; წითელი აგურით ნაგები ეკლესიის სამრეკლოს თუნუქით გადახურულ

გუმბათზე სინამდვილეში ჯვრის ფუძის პატარა ფრაგმენტიდა ჩანდა. ქარმა დაუბერა, ევკალიპტები ააშრიალა, მერე წვიმის წვეთების მოზრდილი ტალღა აიტაცა და შხუილით მიანარცხა ტაძარს. გუსტავ ჰერცმა თავი დახარა, ლაბადის დილები ბოლომდე შეიკრა, საყელო აიწია, შლაპა მაგრად ჩამოიფხატა; მზერა კვლავ გუმბათისკენ გაექცა. ამ ჯერზე თითქოს ჯვარი თავის ადგილს დაბრუნებოდა; ქუთუთოები დაახამხამა; ახლა მოეჩვენა, რომ ჯვარი ნელ-ნელა გადმოიზნიქა და გუმბათზე უკუღმა დაეკიდა. სველი სათვალე მოიხსნა, შუშები ლაბადის სახელოს შეაწმინდა და კვლავ გაიკეთა; ოპტიკური ილუზია გაქრა, მაგრამ ჯვრის გარეშე დარჩენილი ეკლესია თავის სიდიადეს მაინც ინარჩუნებდა. ჰერცი მანქანაში ჩაჯდა და “ობიექტ გ”-ს განსაკუთრებულად დაცულ ტერიტორიაზე შესასვლელში საგანგებო შლაგბაუმი გაიარეს თუ არა, ეკლესია და უკუღმა დაკიდებული ჯვარი უკვე აღარ ახსოვდა.

თურმე სწორედ იმ დილით ელოდა ნობელის პრემიის დაურეატს საოცარი ახალი ამბები.

მისაღების კარი, როგორც ყოველთვის, ღია იყო. მდივანს მისაღების ნიშნად თავი დაუკრა და ლაბადაზე დილების შეხსნა დაიწყო.

– დილა მშვიდობისა, ჰერ გუსტავ. კომენდატურიდან დარეკეს; გთხოვეს, ჩვენთან მობრძანდესო, – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა წელში გამოყვანილ ნაცრისფერ კოსტიუმში, ბარძაყებზე შემოტმასნილ შავ ქვედაბოლოში და საკინძეშეხსნილ თეთრ პერანგში

ელეგანტურად გამოწყობილმა მკაცრი  
გამომეტყველების ქალბატონმა.

გუსტავ ჰერცმა ლაბადის დიღები კვლავ შეიკრა და  
უხმოდ გავიდა დერეფანში. სამხედრო ადმინისტრაციის  
შენობა მოშორებით მდებარეობდა და იქამდე  
კარგადაც გაიღუმპებოდა.

\*\*\*

პეტრე ჭელიძე ხელგაშლილი მიეგება სტუმარს:

– მობრძანდით, აი აქ დაბრძანდით, ამხანაგო  
სტალინის პრემიის ლაურეატო!

– გამარჯობა, ამხანაგო პეტრე. როგორ ბრძანდებით?  
მეუღლე როგორაა? ჩემმა შარლოტამ შემომჩივლა,  
პეტრეს და ნინას რამე ხომ არ ვაწყენინეთ, სტუმრად  
რომ არ მოდიანო? – წლების განმავლობაში  
ადგილობრივი ყოფითი სარიტუალო წინადადებები  
ზედმიწევნით კარგად აითვისა გუსტავ ჰერცმა. იმასაც  
მიეჩვია, რომ ნობელის პრემიის მფლობელს სტალინის  
პრემიის ლაურეატს ეძახდნენ.

– დაგვიძველდა პურმარილი, ჰერ გუსტავ,  
დაგვიძველდა. რას იზამ? საქმეები, საქმეები. ახლა  
გაგეცინებათ და, სწორედ გუშინ სადამოს მეუბნებოდა  
ნინა: ამ დღეებში ჰაბერები პიკნიკზე მოვიწვიოთ, ჩვენი  
ადესის მაჭარი გავასინჯოთო.

– ახლა ჩემი და შარლოტას ჯერია, ჩვენთან უნდა  
მობრძანდეთ. ადესის გლინტვეინსა და შავი ზღვის  
ქამბალაზე გეპატიუებით.

– მოვალთ, აუცილებლად მოვალთ. თქვენთან სტუმრობას რა ჯობს?! თანაც, ვინ იცის, როგორ მოგვენატრებით?! – სევდა შეაპარა ხმაში პეტრემ.

– რაო, ხომ არ გაწინაურებენ, ჩემო პეტრე? სად გადაყავხართ? – ისე შეიცხადა სამოცდაშვიდი წლის გერმანელმა გუსტავ ჰერცმა, რომ მისი ცეცხლოვანი ემოციები ბევრ გაწკეპილ იმერელს შემურდებოდა.

– მე არა, ჰერ გუსტავ. აი თქვენ კი?!

– ნუთუ კვლავ “სვერდლოვსკა-44”?

– არა, ძვირფასო გუსტავ! ჩვენგან უფრო შორს – თქვენს სამშობლოში; ლაიფციგში უკვე გელოდებიან.

– ნუთუ მივლინებით გერმანიაში მიშვებთ?

– მივლინებით რატომ? თქვენი ვალი საბჭოთა კავშირის წინაშე პირნათლად მოიხადეთ. ჩვენ სიტყვის ხალხი ვართ და სამშობლოში გაბრუნებთ. ახლა იქ უნდა უხელმძღვანელოთ მშვიდობიანი ატომის პროექტს, – ამგვარი საზეიმო პათეტიკა უკვე ადგილობრივი კი არა, არამედ ზოგადსაბჭოური ორნამენტული მეტყველების ნიმუში იყო.

– დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ხდება და სიმართლეა, – დაასრულა წინადადება და გაეცინა, რადგანაც მიხვდა, რომ თავისი ყველა სამეცნიერო მოხსენების პირველი ფრაზა ამ საზეიმო წამებშიც წამოსცდა.

– ვიცოდი, ველოდი პროფესორ ჰაბერის საყვარელ წინადადებას. დიახ, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ყველა თქვენი გენიალური აღმოჩენა. ინებეთ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ბრძანება.

– არც კი ვიცი, ვიტყვით თუ ვიცეკვო?!


– უნდა იცეკვოთ, ჰერ ჰაბერ! აი, კიდევ ერთი წერილი მაქვს. აქ თქვენს მეგობრებზე მოპოვებული ინფორმაციაა.

ჰერცს ყოველთვის აინტერესებდა, თუ რა ბედი ეწიათ ომის შემდეგ ძველ მეგობრებსა და მათი ოჯახის წევრებს; არაერთხელ მიმართა თხოვნით განსაკუთრებულ განყოფილებას, მაგრამ პასუხი არ აღირსეს. ახლა კი, თავისუფლებასთან ერთად, ნანატრი ინფორმაციის შემცველი კონვერტიც მიიღო. რატომღაც აიკვიატა, რომ წერილის შინაარსის მიხედვით შესძლებდა თავისი მომავლის განჭვრეტას.

ისინი ოთხნი იყვნენ: ფრიც ჰაბერი, ოტო ჰანი, ჯემს ფრანკი და თვითონ გუსტავ ჰერცი.



ფრიც ჰაბერი ოტო ჰანი



ჯეიმს ფრანკი

გუსტავ ჰერცი

ოთხივე ნობელის პრემიის მფლობელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანის დაჯილდოებას წინ 1915 წლის გაზაფხულის ტრაგიკული ამბები უძლოდა. ფრიც ჰაბერის დაჟინებული მოთხოვნით, ისინი ფრონტის წინა ხაზზე იყვნენ ქალაქ იპრთან და იქ უხელმძღვანელებს კაცობრიობის ისტორიაში ქიმიური იარაღის პირველად გამოყენებას.

შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა. მხოლოდ ამ ბელგიურ პატარა ქალაქთან, 1915 წლის 22 აპრილს, ასტროლოგიურად მთვარის მეცხრე ანუ სატანისეულ დღეს ჰაბერის ხელმძღვანელობით შექმნილი ქლორინით, თხუთმეტი ათასი ჯარისკაცი მოიწამლა; მათ შორის ხუთი ათასი დაიღუპა საშინელ კრუნხსვებში. მაშინ განაცხადა გერმანიაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ფრიც ჰაბერმა, რომ *მშვიდობიან დროს მეცნიერის სიცოცხლე ეკუთვნის კაცობრიობას, ხოლო ომის დროს – მის სამშობლოს. სიკვდილი არის სიკვდილი და რა მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მოვა იგი.* მისმა ცოლმა კლარა იმერვარმა ქმარს იპრის ტრაგედია ვერ აპატია და პროტესტის



ნიშნად 1915 წლის 15 მაისს მეუღლის თვალწინ  
პისტოლეტის ტყვია გულში სასიკვდილოდ დაიხალა.



კლარა იმერვარი

პიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფრიც  
ჰაბერს ებრაული წარმოშობა გაუხსნეს, მის  
ნათესაებს დაერივნენ. ნობელის პრემიის მფლობელმა  
ლონდონს შეაფარა თავი; იქაური მეცნიერები ქიმიური  
იარაღის შემქმნელს ამრეზით დახედნენ; ერნესტ  
რეზერფორმა ხელიც კი არ ამოართვა; მხოლოდ ხაიმ  
აზრიელ ვეიცმანმა დაინდო და 1934 წელს რესობოთის  
კვლევით ინსტიტუტში გაგზავნა სამუშაოდ. ფრიც  
ჰაბერი პალესტინის იმ პატარა ქალაქისკენ მიმავალ  
მარადიულ მგზავრად იქცა; 12 კუნძულზე გაშენებულ  
ბრესლაუში დაბადებული შვეიცარიის ბაზელში

გულის შეტევით გარდაიცვალა. ისრაელის მიწამ არ მოისურვა მასთან შეხვედრა. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს კი გუსტავ ჰერცის ყურამდე მოვიდა გამაოგნებელი ამბავი იმის შესახებ, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში ფაშისტები იუდეველების მოსაკვდინებლად იყენებდნენ ებრაული წარმოშობის ფრიც ჰებერის მიერ შექმნილ გაზ “ციკლონ ბ“-ს. ჰერცმა ეს მოვლენები შეაჯამა და გაიფიქრა, რომ ჰაბერს განგება სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ან მწარედ დასცინოდა, ან მასზე წამებით სულამოხდილი ადამიანის შეჩვენებამ გაჭრა. გუსტავ ჰერცი ჯერ დაფრთხა, ხოლო ნიურბერგის პროცესზე ფაშისტების მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დეტალები რომ გამოვლინდა, ქიმიური იარაღის შექმნასა და გამოცდაში მონაწილეობის გამო სასჯელის მოლოდინი გაუჩნდა. სულ ცდილობდა, არავის გაეგო 1915 წელს იბრთან ბრძოლაში მისი წვლილის შესახებ.

დრო მიდიოდა, ბოლშევიკები მისი საქმიანობით კმაყოფილები იყვნენ, სტალინური პრემიაც კი მიანიჭეს და ჰერცს გასამართლების შიშის გრძნობა დაუჩლუნგდა. თუმცა სრული სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვა. ასაკთან ერთად ცრურწმენებიც შემოეპარა. თავისუფალ დროს ფოტოგრაფიით და ადგილობრივი ადათ-წესების შესწავლით ერთობოდა. განსაკუთრებით გაიტაცა აქაურმა ქრისტიანობამ. ეკლესიები წითლებს საწყობებად, ბიბლიოთეკებად, კულტურის სახლებად გადაეკეთებინათ. მღვდელმსახურება არ წარმოებდა, მაგრამ ადამიანები გარკვეულ რელიგიურ რიტუალებს მაინც ატარებდნენ. საადღეომოდ კვერცხებს ღებავდნენ, საშობაოდ ღორს კლავდნენ, გიორგობას

მაისში პომპეზური მსხვერპლშეწირვით აღნიშნავდნენ, მირონს საგანგებო ჭურებში შენახულ ღვინოს ეძახდნენ. ზოგიერთს თავის ეზოში პატარა ფიცრულში ფარული სალოცავი ჰქონდა მოწყობილი და მღვდლის ფუნქციას ოჯახის უფროსი მამაკაცი ასრულებდა. ჰერცს ხშირად გასჩენია კითხვები: ნუთუ ამათი ღმერთისთვის სულერთია, ღოცვა კიოლნის დიდებულ ტაძარში აღევლინება თუ ამ სახელდახელოდ ნაგებ შენიღბულ ხუხულებში, რელიგიურ რიტუალს კურთხეული მღვდელი ატარებს თუ თვითმარქვია მოხალისე?

აქაურ ქრისტიანებს დიდად სწამდათ წყევლის ძალა. ბევრი გამოსალოცი ლექსი და წესი იცოდნენ. სპეციალურად მიდიოდნენ დრანდის მონასტერში ან ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში და იქ მათ მტერს და დამაწყევარს ანათემას გადასცემდნენ. ზღაპრები, თქმულებები ძირითადად წყევლის მაგიურ სიძლიერეზე იყო. ეს ხალხი ეშმაკს მაზაკვალს ანუ მწყევლელს ეძახდა. წყევლის კულტის ქვეყანამ ჰაბერზეც იქონია გავლენა და ნელ-ნელა ისიც მოიწამლა ამ შხამით. სავარცხლის კბილანებში ჩარჩენილ თმის ღერებს და დაჭრილ ფრჩხილებს საგანგებოდ უფრთხილდებოდა, რომ ისინი მაზაკვალს არ ჩავარდნოდა ხელში. ადამიანის სხეულის ნაწილებზე ატარებულ ჯადოქრულ მანიპულაციებს თურმე უფრო დიდი ეფექტი ჰქონია. ყოველ 28 აგვისტოს ღამეს თმებში სანთლის პატარა ნაჭერს იმაგრებდა და სახლის კარზე სანთლის ჯვარს აწებებდა. ზოგჯერ ღამდამობით, უძილობის დროს, ქიმიური იარაღით დაღუპულთა და მათი ნათესავების წყევლის ძალის შიშიც შემოეპარებოდა ხოლმე. მერე

და მერე შეამჩნია, რომ იპრის ტრაგედიის შემოქმედების: ჯეიმს ფრანკის, ოტო ჰანის, ფრიც ჰაბერის – ოჯახების წევრების ბედით დაინტერესდა. თუ მათ რაიმე ცუდი დაემართებოდათ, ესე იგი წყევლა ამოქმედდა და გუსტავ ჰერციც ფრთხილად იქნებოდა.

და აი ახლა, როგორც იქნა, ასრულდა მისი დიდი ხნის ოცნება; ხელში ეჭირა პაკეტი, სადაც ძველი მეგობრების ბედი უნდა ყოფილიყო აღწერილი. აღელვებულმა გახსნა კონვერტი და სწრაფად გადაავლო თვალი მის შინაარსს.

ჯეიმს ფრანკი საღ-საღამათია, წარმატებული მეცნიერია და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს. 1945 წელს თხოვნით მიუმართავს ხელისუფლებისთვის, არ გამოეყენებინათ ატომური ბომბები იაპონიის ქალაქების გასანადგურებლად. მას ჰქონია იდეა, ამ საშინელი იარაღის ასაფეთქებლად აერჩიათ უკაცრიელი ადგილი, სადაც შეიყრებოდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, ნახავდნენ ბომბის დამანგრეველ ძალას და მიხვდებოდნენ, რა ჯოჯოხეთის მახვილი აღიმართა კაცობრიობის თავზე.

ვინ დაუჯერებდა?!

ქიმიური იარაღის პირველად გამოყენების მეორე თანამონაწილე ოტო ჰანი ამჟამად დასავლეთ გერმანიაში მოღვაწეობს. თურმე ძალიან განიცდის, რომ ატომური ბომბის დამზადებას გზა გაეხსნა მის მიერ აღმოჩენილი ატომის ბირთვის გახლეჩის

თეორიის შედეგად და აქტიურად იბრძვის ატომური იარაღის არგავრცელებისთვის.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, ვისი გრიფითაც იყო წერილი, თვალი ფრანც ჰაბერის ოჯახის წევრების ცხოვრებისთვისაც მიუდევნებია და გაურკვევია, რომ მის ვაჟ ჰერმანს მამისთვის ქიმიური იარაღის გამოყენება ვერ უპატიებია და 1946 წელს ამერიკაში თავი მოუკლავს.

როგორც ჩანს, წყევლა, ჯერჯერობით, მხოლოდ ფრიც ჰაბერსა და მისი ოჯახის წევრებზე ჭრიდა. წესით, ეს სამართლიანიც იყო. ქიმიური იარაღის მამად ხომ იგი ითვლებოდა.

\*\*\*

გუსტავ ჰერცმა იმ დღის დარჩენილი ნაწილი კაბინეტში გაატარა. აქ მუშაობის დიდი ხნის მანძილზე პირველად არც თანამშრომლები მიუღია და ტელეფონითაც არავის შეხშიანებია. სავარძელში იჯდა, ოთახს ათვალიერებდა და გერმანიაში წასაღები ნივთების სიას ადგენდა.


\*\*\*

ის ბედნიერი დღეც მოახლოვდა.

გუსტავ ჰერცი “ობიექტ გ”-ს სასადილოში გერმანელ მეცნიერებთან გამოსამშვიდობებლად გამართული საზეიმო ბანკეტიდან ადრე წამოვიდა და ზღვის ნაპირზე განმარტოვდა. სრულ სიჩუმესა და ღრუბლებით დაფარული ცის სიბნელეში

ემშვიდობებოდა უცხო მხარეს, სადაც თავდაუზოგავ შრომაში ბევრი წელი გასულა. რამდენიმე საათში, ტყვეობაში მყოფ ყველა გერმანელთან ერთად, სამშობლოში გაემგზავრებოდა. რატომღაც გაახსენდა აგუძერის ტყვეთა ბანაკიდან დიდი ხნის წინ გაქცეული თანამემამულე და პირველად დაფიქრდა მის ბედზე. “აღბათ, მკვდარია. დარჩენილიყო ჩვენთან ერთად, დღეს ხომ თავისუფალი იქნებოდა”.

ნოვოროსიისკის ქარმა დაუბერა, რამდენიმე წამით მთვარეს დრუბლები ჩამოეცალა და სოხუმის მხრიდან ყურეში ჩამოწოლილი თეთრი ნისლი გაანათა. ბნელი ცის ქვეშ, მუქი ზღვის ზედაპირზე დაფენილმა ღია ფერის დრუბლებმა შორეული იპრი გაახსენა. სწორედ ასე გაიშალა 1915 წლის 22 აპრილს ათასობით გაზის ბალონიდან ამოფრქვეული ქლორინი და ანტანტის არმიის სანგრებისკენ დაიძრა.



1915 წლის 22 აპრილი. გაზის შეტევა იპრთან

რა ზუსტად გათვალეს ქარის მიმართულება და სი ქარე?! ჰერცს მაშინ არ მოუსმენია მოწინააღმდეგის ჯარისკაცების ხველა, ბრონქების ხიხინი და ასფიქციით გამოწვეული სიკვდილისწინა ხროტინის შემზარავი ხმები; არც იმის წარმოდგენა უცდია, თუ როგორ წვაგდა ქლორინი გაოგნებულ მეომრებს თვალებს, ნესტოებს, ხორხს; ხრჩობის დროს როგორ უღურჯდებოდათ კანი, უფართოვდებოდათ და უსკდებოდათ გული. ყოველივე ამის შესახებ მხოლოდ წარმატებული ოპერაციის შედეგების შემაჯამებელ დასკვნაში ეწერა. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ის იყო, რომ გაზი მიწაზე განერთხო, სანგრებში ფსკერზე ჩავიდა და იქ უსუსურ მდგომარეობაში მყოფ დაჭრილებს საშინელი წამებით ამოხადა სული.



სანგარი გაზის შეტევის შემდეგ

მაშინ სხვა დრო იყო, სხვა გარემოებები, სხვა იდეალები. ის ბრძოლები და მსხვერპლი, მეორე მსოფლიო ომთან შედარებით, რა მოსატანია?

ყველაფერი უკვე ისტორიას ჩაბარდა. სამშობლოს შეცდომები ტყვეობაში მრავალწლიანი შრომით გამოისყიდა და ახლა შავი ზღვის ნაპირზე მჯდომს წარსულის გახსენება არ სურდა. არადა, ადამიანი ისეა მოწყობილი, ზოგჯერ ჯინაზე, სწორედ ცუდი ფიქრები აეკვიტება ხოლმე.

საბჭოთა მესაზღვრეებმა პროექტორი ჩართეს და მისი სხივი სოხუმის ყურეზე გადაატარეს. ცუდი მოგონებების აღმძვრელი თეთრი ღრუბელი “ობიექტ “გ”-ს ნაპირზე გადმოსულიყო. ჰერცმა ნისლში მისკენ მოძრავი ადამიანის კონტურის მქონე მანათობელი სხივები შენიშნა. ეს ხომ პროექტორის თვალისმომჭრელი ნათების შედეგად გამოწვეული ილუზია იყო. გუსტავ ჰერცი, ვიდრე ატომური ბომბის დასამზადებლად საჭირო გამდიდრებული ურანის მწარმოებელი დანადგარის შექმნით დაინტერესდებოდა, სპექტრს, სპექტრალურ ხაზებს იკვლევდა. ამიტომაც მოჩვენებისთვის განსაკუთრებული ყურადღება, რა თქმა უნდა, არ მიუქცევია. ეს მოვლენა მეცნიერისთვის მარტივად ახსნადი და გასაგები რამ იყო. არც ის გააკვირვებია, აჩრდილი რომ მიუახლოვდა და თითქმის ერთ მეტრში გაჩერდა. მაგრამ ფიზიკური მოვლენა თავანკარა გერმანულით ალაპარაკდა თუ არა, გუსტავ ჰერცი იძულებული გახდა, ფრთხილად ყოფილიყო.

– დამე მშვიდობისა, ჩემო საყვარელო მეგობარო, – მკაფიოდ წარმოსთქვა მოჩვენებამ.

უცნობის ცისფრად მოკაშკაშე პენსნე ერთ დიდ რგოლად აღიქმებოდა, გრძელი თეთრი წვერი აშკარად წლების წინ მიეშვათ თავის ნებაზე და ახლა მუხლებს



ჩასცდენოდა. საშინელ სიმყრალეს აფრქვევდა. ლურჯი და ღია ფერების შერწყმამ, ნიშადურის სუნმა ჰერცში ამიაკის ატომის ასოციაცია გამოიწვია. ამ ქიმიურმა ელემენტმა კი ჰაბერი გაახსენა. აზოტისა და წყალბადისგან მიიღო ფრიც ჰაბერმა ამიაკი, რისგანაც შემდეგ შეჰქმნა გვარჯილა.

– ჰერ ჰაბერ, ნუთუ მართლა თქვენ ბრძანდებით! – ჰერცი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ჩასძინებოდა და ამიტომაც მშვიდად ალაპარაკდა. მეცნიერი მოჩვენებებს მხოლოდ სიზმარში აღიარებდა.

– ჰაერისგან – საჭმელი, წყლისგან – ოქრო! – ლაკონიური იყო მოციმციმე ობიექტი. ეს ფრიც ჰაბერის საყვარელი გამონათქვამი გახლდათ და ჰერცი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ძველი მეგობრის აჩრდილი გამოეცხადა.

– თავს რატომ არ უვლით? წვერი მოგიშვიათ, როგორც ჩანს, აბაზანაც, დიდი ხანია, არ მიგიღიათ, ცუდი სუნი აგლით. არ გეკადრებათ, პროფესორო.

– ჯერ ერთი, პროფესორის წოდება ჰიტლერს 1933 წელს ჩავაბარე. მეორე: არ ვუვლი კი არა, – ვერ ვუვლი. ადამიანი სიკვდილის შემდეგ გარკვეულ შესაძლებლობებს კარგავს, მათ შორის პირადი პიგიენაცაა, – აღელდა ჰაბერი. შემდეგ წამით დაფიქრდა, ემოციებს მოერიდა და ხელოვნური სიყოფილით განაგრძო. – თუმცა განსაკუთრებული უფლებებიც მომენიჭა.

- განსაკუთრებულობით ამ ქვეყანაზეც გამოირჩეოდით. თქვენი მოღვაწეობით სამყარო შეიცვალა.
- რას გულისხმობთ? იქნებ შემახსენოთ, - ჰაბერს თითქოს რაღაცის შეეშინდა.
- თუნდაც გვარჯილას. რომ არა ამ სასუქის მიღების თქვენს მიერ აღმოჩენილი ხერხი, დღეს დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შიმშილით ამოხდებოდა სული.
- ჰაერისგან, ანუ აზოტისა და წყალბადისგან, სასუქი მე მივიღე. ამას ვეძახდი: ჰაერისგან საჭმელს. ზღვის წყლისგან ოქროს წარმოების წესიც განვსაზღვრე. გულით მინდოდა ჩემს საყვარელ გერმანიას სწრაფად გადაეხადა წაგებული ომის ხარკი. ამას ვუწოდე: წყლისგან ოქრო. პრაქტიკულად ალქიმისტების საუკუნოვანი ოცნება აღვასრულე. მაგრამ “მადლიერი” პიტლერი ჩემს ნათესაებს დაერია. მწარედ დამსაჯა მიწიერმა მბრძანებელმა. მეგონა, ორივე აღმოჩენით გერმანიას ვემსახურებოდი, ჯილდოდ კი ფაშისტური პანდური მივიღე.
- ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი. მარადიულ სოფელში ხომ ნამდვილად არის სამართლიანობის ზეიმი?
- გვარჯილამ მცენარეების მოსავლიანობა გაზარდა, მაგრამ ადამიანებში ამ სახის საკვების მიღების გამო დაავადებების რაოდენობამ იმატა. მაღლე კაცობრიობას სიმსუქნის და მისგან გამომდინარე ავადმყოფობების პრობლემა გაუჩნდება. გვარჯილა სოფლის

მეურნეობის გარდა ასაფეთქებელ ნივთიერებადაც გამოიყენება ჭურვებში და უამრავი ადამიანის დაღუპვის მიზეზიც გახდა. ზღვის წყლისგან ოქრო კი მივიღე, მაგრამ იგი ძალიან ძვირი დაჯდა. არ ვიცი, რა ვთქვა. მხოლოდ აქ მომეცა ამ საკითხებზე დაფიქრების საშუალება. ორივე პროექტი წარუმატებელი მეჩვენა, მაგრამ უკვე გვიანაა. ტყუილად მიშრომია, – ჰაბერის სიყონადე მხოლოდ წამები გაგრძელდა; იგი თვალასა და ხელს შუა დათრგუნული და გულგატეხილი გახდა.

– ესე იგი მიწიერი შრომა ზეცაში არ დაგიფასდათ?

– დამიფასდა, რომელია? უსასრულო ხარისხში დამიფასდა, რაც წუთისოფელში ცოდვები ჩამიდენია. ვერ ხედავთ, როგორ დამიფასდა?

– ვერ მიგიხვდით, ჰერ ჰაბერ!

– თქვენ ხომ გგონიათ, ცოდვილები ჯოჯოხეთში ხვდებიან? მხოლოდ ბაზელში გულის გასკდომის შემდეგ, სიცოცხლის ბოლო წამებზე გამახსენდა დაშვებული შეცდომები. მათი ერთობლიობა იმდენად მძიმე გამოდგა, რომ ვიფიქრე, მოდი, ჯერ განსაწმენდელს მოვივლი, ხოლო შემდეგ რაც მოხდება

– მოხდეს, უკვე აღარ ვიდარდებ-მეთქი. მეგონა, ყველაფრისთვის მზად ვიყავი. თურმე სად ხარ? რა განსაწმენდელი, რის განწმენდა!

– ნუთუ პირდაპირ სამოთხეში მოხვდით? მე კი მეგონა, ქიმიური იარაღის გამოგონების გამო, გაგიჭირდებოდათ. თუმცა საკვირველი რა არის? აქაც

ხომ ასე იყო. 1915-ში იპრში მომწამვლელი გაზის გამოყენების მიუხედავად, 1918 წელს ნობელის პრემია მიიღეთ. ალბათ ამაშიც ღვთის ხელი ერია.

– ვგავარ ახლა სამოთხის ანგელოზს? სამოთხე კი არა, უფალმა ჯოჯოხეთიც კი არ მარგუნა.

– ეგ როგორ?

– ხასიდეების ოჯახში დავიბადე და მკაცრად ვიცავდი ადათ-წესებს. ზრდასრული, ოცდაოთხი წლის ადამიანი ვიყავი, როდესაც შეგნებულად ვთქვი უარი იუდაიზმზე და ქრისტიანობა მივიღე.

– ნუთუ ჩვენი, ებრაული სარწმუნოებაა მხოლოდ ჭეშმარიტი და მისი ღალატისთვის დაისაჯეთ?

– სასჯელი ქრისტიანთა ღმერთმა განმისაზღვრა.

– ის რაღას გერჩოდათ? ქიმიური იარაღის გამო? ალბათ, ჩემი ღმერთიც ასევე დამსჯის, მეც ხომ გეხმარებოდით. სულ მეშინოდა, რომ იპრის შემდეგ, ადრე თუ გვიან, ცნობილი გახდებოდა ქიმიური იარაღის შექმნაში ჩემი წვლილის შესახებ და ციხეში ამომალპობდნენ. საფრთხე კი თურმე სხვაგან ყოფილა ჩასაფრებული. მითხარით, ჩემო მეგობარო, როგორი სასჯელი მეღის?

– თქვენს შესახებ არაფერი ვიცი. ჩემს ამბებს მოგიყვებით და იქნებ დასკვნები თავად გააკეთოთ. თანაც ჯერ ცოცხალი ბრძანდებით. ცოცხლებს კი გადარჩენის შანსი და შესაძლებლობა გაქვთ. გახსოვთ, გოლგოთის მთისკენ ზურგზე მოკიდებული

თავისი მძიმე ჯვრით მიმავალი ქრისტე ებრაელი მეწადის ქოხის კედელს მიეყრდნო სულის მოსათქმელად? ხარაზმა ნება არ დართო და ხელი ჰკრა:

– “გაიარე, ნუ ზოზინობ!”

– “მე შემოიძლია დაყოვნება. აი შენ კი ჩემს ღოდინში დაიდლები!” – უთქვამს ქრისტეს. ხარაზი თავისი საქციელის გამო მეორედ მოსვლამდე დედამიწაზე ხეტიალით დაისაჯა.

– მარადიული ებრაელის შესახებ ლეგენდა ბავშვობიდან ჩამრჩა გონებაში. ნუთუ იგივე ბედი გეწიათ. მაგრამ რატომ? თქვენ ხომ, იმ მეწადისგან განსხვავებით, ქრისტიანთა ღმერთს არა თუ ხელი ჰკარით, არამედ, პირიქით, აღიარეთ იგი? – გუსტავ ჰერცს სეხნია დორეს ნახატი “მოხეტიალე ებრაელი” გაახსენდა; შეადარა; ჰაბერს უფრო გრძელი წვერი ჰქონდა.



გუსტავ დორე. მოხეტიალე ებრაელი

– აბა, რა გითხრათ?! ამ საკითხზე საერთოდ არ ვფიქრობდი. დღე და ღამე სხვადასხვა აღმოჩენებზე ვზრუნავდი. კლარამ მეცნიერი კაცი გერმანიის არმიის კაპიტნის ფორმაში რომ დამინახა, მიხვდა, ქიმიური იარაღის შემდგომ სრულყოფასა და გამოყენებაზე ადვილად ხელს ვერ ამადებინებდა. აზრზე რომ მოვეყვანე, უკიდურესი ნაბიჯი გადადგა: ჩემს თვალწინ მოიკლა თავი. მის დასაფლავებაზეც კი არ დავრჩი და მეორე დღესვე ფრონტზე გავემგზავრე. თურმე მაშინ წყდებოდა ჩემი ბედი. მე კი სამშობლოს და მეცნიერების სამსახურის იღვით ვიყავი შეპყრობილი. მასხენდება, თავიდან მთლად უგულო არ ვყოფილვარ. იპრში ქლორინის გამოყენების შემდეგ, რაღაც შინაგანმა ხმამ გამაფრთხილა: “ჰეი, ფრიც! დაფიქრდი!” მაშინვე თვალნათლად დაეინახე გაზით მოწამლული ადამიანების ტანჯვით სიკვდილის სცენები და იცით, რა გავაკეთე? უსიამოვნო შეგრძნების ასაცილებლად თვალეები დავხუჭე, შემდეგ გავახილე და ქიმიური იარაღის სრულყოფაზე განვაგრძე ფიქრი. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მივხვდი, რომ ის შინაგანი ხმა ღვთის უდიდესი საჩუქარია, იგი ფიზიკურად არსებობს და მას სინდისი ჰქვია. სანამ ცოცხალი ხარ, ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ მიძინებულის სინდისი გაადვილო.

– ნუთუ სინდისის გაღვიძებაც შესაძლებელია?

– როდესაც ღვთის დარად შექმნილი მოქმედებს, იგი სინდისისთვის ვერ იცლის. მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი ცოდვა ჩადენილია და ადამიანს სხვა საქმე არ აქვს, მას სინდისი შეახსენებს თავს. ეს ძირითადად დამით ხდება ხოლმე. სინდისი ქენჯნის ადამიანს და

აიძულებს გამოასწოროს ნამოქმედარი და მონიანი. თუ ადამიანი უგულებელყოფს ამ განგაშის ზარის წკრიალს, იგი მოადუნებს სინდისის ძალას და უკვე ვეღარ იგრძნობს მის წუხილს. თუმცა ღმერთი თავის ქმნილებას მაშინვე არ მიატოვებს და მომავალშიც შიგადაშიგ გააგონებს თანდათან მინავლებად სინდისის ხმას. თუ ეს შესვენებებიც უშედეგო აღმოჩნდება, სინდისი მოკვდება და ადამიანის შინაგან სამყაროს დაემართება კატასტროფა, რაც მოსდის ატომს ბირთვის გახლეჩვის შემთხვევაში. ანუ იწყება უსასრულო ჯაჭვური რეაქცია და იგი ნადგურდება; აი სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს ახლა ჩემში.

– ჰერ ჰაბერ, მე კიდევ მგონია, რომ თქვენ ამ წუთას სწორედ სინდისი გაწუხებთ და გალაპარაკებთ. ესე იგი, სინანულის გრძნობა შენარჩუნებული გაქვთ.

– არა, მეგობარო, სინდისი არ მაწუხებს, იგი მტკივა და ეს ტკივილი სინანული კი არა, არამედ სულის მარადიული სასჯელია; მას ხსნა არ მოჰყვება. ეს სწორედ ის არის, რასაც ცოდვილი სული განიცდის ჯოჯოხეთში. თანაც ჩემი მდგომარეობა იმითაცაა დამძიმებული, რომ სინდისის ტკივილს ფიზიკური ტანჯვაც ემატება. თუ ჯოჯოხეთში სულის განკითხვა ჩვეულებრივი ცოდვილისთვის მეორედ მოსვლამდე გრძელდება და მხოლოდ საშინელი სასამართლოს შემდეგ ხდება ამ გათანგული სულის ფიზიკურ სხეულში დაბრუნება, რათა იმ დროიდან დაეწყოს ერთდროულად სულიერი და ფიზიკური ტკივილები, მე ეს “სიამოვნება” მეორედ მოსვლამდე დედამიწაზე

ხეტიალის დროს მომენიჭა და, რა თქმა უნდა, შემდეგაც გაგრძელდება.

– რატომ? რა დააშავეთ ასეთი?

– ვაი, რომ ვიცი, რაც დავაშავე. ყოველი ცოდვის პროცესს და შედეგს დაუსრულებელი თანმიმდევრობით ჯერ ნათლად ვხედავ, მერე თვალს ვხუჭავ, თითქოს ეს შველოდეს საქმეს, და აუტანელ სულიერ ტკივილს განვიცდი. მახსოვს, კლარამ თავი რომ მოიკლა, სული ამტკივდა. მაშინ ვიფიქრე, თუ სხეულის რომელიმე ნაწილს ვიდრძობდი, ფიზიკურით სულიერ ტკივილს გადავფარავდი. მუშტი მაგრად მივარტყი კედელს და შვება მართლაც ვიგრძენი. ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობაში კი ფიზიკური ტკივილი არათუ არ ხსნის სულიერ ტანჯვას, არამედ აძლიერებს მას. ამ სინთეზის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია. ისიც ვიცი, რომ განსაკუთრებული სასჯელი ცოდვების გამო კი არა, არამედ სწორედ მათი მოუნანიებლობის შედეგად მივიღე. სინდისისთვის ერთხელ მაინც რომ მომესმინა, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი. ყველაფერი ბრესლაუში ჩემი დაბადებით იწყება; ვხედავ, მშობიარობის ტკივილებით გათანგულ დედას სისხლდენას ვერ უჩერებს ბებიაცალი. გაჩენისთანავე მოვიტანე უბედურება; იპრში ქლორინით მოწამლული ყმაწვილების სიკვდილის სცენები, ქიმიური იარაღის სრულყოფის ექსპერიმენტებში დაღუპული ცხოველების განცდები, ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებში ვითომ ბადლინჯოების საწინააღმდეგოდ გამოგონილ პრეპარატ “ციკლონ ბ”-თი მოწამლული ჩემივე ნათესავების, მეგობრების სიკვდილისწინა აგონიები,



ნიტრატების გამოყენებით დამზადებული გერმანული ჭურვების მსხვერპლი ბავშვები და მოხუცები, წითელ რუსეთში ქიმიური იარაღის წარმოების დანერგვით გაძლიერებული ბოლშევიკების მიერ მილიონობით ადამიანისთვის წამებაში ამოხდილი სულები, საყვარელი მეუღლის კლარას თვითმკვლელობა, შვილი ჰერმანის თვითმკვლელობა ... ყველაფერში თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რაც აუტანელ სულიერ ტკივილს მგერის, ხოლო დაღუპულთა მტანჯველი ფიზიკური შეგრძნებები სრულად გადმომეცემა და კიდევ უფრო მიმძიმებს მარადიულ ხეტიალს.

გუსტავ ჰერცი ჩაფიქრდა. მესხიერება სწრაფად ამუშავდა. ეს ქრისტიანების ღმერთია ასეთი ღმობიერი და სინდისის მეშვეობით რამდენჯერმე შეახსენებს ადამიანს სულიერ მოვალეობებს, ხოლო იუდეველების შემოქმედი ბევრად მკაცრია. ჰერცს თემის რაბინი გაახსენდა; მას უყვარდა ლეგენდებით შევონებები.



გუსტავ დორე. დავითი ნაჭერს უჩვენებს მეფე საულს

– დავითის მღევარი მეფე საული ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოქვაბულში შევიდა. მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ იქ დავითი და მისი ამაღლა იმყოფებოდნენ, – დაიწყო სინდისზე შემოვლითი გზით საუბარი რაბინმა. – დავითს თავისუფლად შეეძლო საულის მოკვლა, მაგრამ არ ისურვა მირონცხებულის ხელის ხლება; მხოლოდ მიეპარა და უჩუმრად მოაჭრა ტანსაცმლის კიდე, რათა შემდეგ ეჩვენებინა საულისთვის, რომ ხელეწიფებოდა, მაგრამ არ მოჰკვლა, ესე იგი მისი მტერი არ არის.

იმავე ღამეს დავითი სინდისმა შეაწუხა იმის გამო, რომ იგი უდიერად მოექცა მეფეს და მის სამოსს. ხელავ, გუსტავ, დავითმა მეფე საული არ მოჰკვლა, მხოლოდ მის ტანსაცმელს მოაჭრა პატარა ნაწილი. რადგანაც კაცის კვლის ცოდვა არ ჩაიდინა, თითქოს მშვიდად უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინდისმა მეფისადმი გამოვლენილი უპატივცემლობის გამო შეაწუხა. სინდისი ღმერთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული საჩუქარია, რომელსაც მოსმენა სჭირდება და არა მხოლოდ ცოდვის ჩადენას აგვარიდებს, არამედ სწორ გზაზეც დაგვაყენებს. ხოლო თუ სინდისის ხმას ერთხელ არ მოვუსმენთ, იგი დაიძინებს და თუ მეორედაც არ დავუბრუნებთ ყურს, მას მოვკლავთ. უსინდისოდ ყოფნას კი რაღა აზრი აქვს?

მართალი იყო რაბინი. იუდეველი ორჯერ არმოსმენით სინდისს ჰკლავს. ჰერცი უცებ მიხვდა, რომ ქიმიური იარაღის შექმნასა და გამოყენებაში მონაწილეობის გამო ადამიანური სასჯელის, რასაკვირველია, უნდა ემზადებინა, მაგრამ მთავარი მაინც ღვთის რისხვასა და

მისი არიდება სინდისის კარნახით შესაძლებელია. იპრის შედეგების შესწავლის შემდეგ განსაკუთრებით დაჭრილების დაღუპვის ისტორიამ შეაწუხა და იმ დამეს იგრძნო სინდისის ქენჯნა. მაშინვე სრულიად შეგნებულად სხვა თემაზე გადაიტანა ფიქრი. შემდეგ სინდისი დაივიწყა. იპრის ტრაგედიაში შეტანილი წვლილის გამო მართლმსაჯულების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა შიგდაშიგ შემოეპარებოდა ხოლმე, მაგრამ გასამართლების შიში სხვა ყოფილა, სინდისის ქენჯნა – სხვა.

მარადიული ხეტიალით დასჯილი ფრიც ჰაბერი ისევ მის წინ იდგა; ქარი ჭადარა წვერს უფრიალებდა და სახეზე ტანჯვის ნიღაბი მიჰყინვოდა.



გულრიფშის ტუბდისპანსერის თეთრი კორპუსი

გუსტავ ჰერცს მოგუდული ხველა მოესმა. აქედან ორიოდ კილომეტრში მდებარე სმეცკოს მიერ მალანიებისგან ნაყიდ მალღობზე აშენებულ შენობებში ბოლშევიკებმა ტუბდისპანსერი გახსნეს და იქაური ჭლექიანები ხშირად გამოიპარებოდნენ ხოლმე ზღვის ნაპირზე. “აღბათ ერთ-ერთი მათგანია” – გაიფიქრა ჰერცმა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ხმა სულ სხვა

ადგილიდან მოდიოდა. ეს იყო იპრის მიდამოები და წელიც 1954 კი არა, არამედ 1915 იყო. თვალი ჯერ სანგრებზე გადაატარა; იქ დაინახა ხველებისგან მოკუნტული, მიწაში თავჩარგული დაჭრილები, რომლებიც სისხლს არწყევდნენ; მერე უცნაური მყრალი ღრუბლის მოქმედების შედეგად გაოგნებულ და გაქცეულ ჯარისკაცებში გაერია, მათთან ერთად ხარბად სუნთქავდა მომწამლაგ აირს; იგრძნო, როგორ აეწვა თვალები, ხორხი გაუშრა და ხველა აუტყდა. ერთ-ერთ ჯერ უწვერო ყმაწვილს სახე გაულურჯდა, კანი გაებერა და დაუსკდა. უცებ იპრის გაზაფხულის ხედები ქარბუქში გახვეული სტეპებით შეიცვალა. ჰერცმა ახალი გარემო იცნო. იგი დახურულ ობიექტ “სვერდლოვსკ-44”-ს უახლოვდებოდა. ვითომ ეს ქალაქი რა შუაშია? აქ ხომ მშვიდობიანი ატომის პროექტის ფარგლებში განახორციელა ურანის გამამდიდრებელი დანადგარების მონტაჟი?

– ტყუით, ჰერ ჰერც! თავს იტყუებთ და ტყუით! მეცნიერები ერთმანეთს ამშვიდებთ, თითქოს თქვენს მიერ გამდიდრებული ურანი ადამიანების კეთილდღეობას მოხმარდება. ხომ გითხრათ ჰერ ჰაბერმა, რომ მას პასუხი სასუქი გვარჯილის და ასაფეთქებელი ნივთიერება გვარჯილის გამო ერთდროულად მოეთხოვა? იმ სამხედროებთან ერთად, ვინც “ობიექტ გ”-ს და ობიექტ “სვერდლოვსკ-44”-ს დაფოფინებენ, შესანიშნავად იცით, რომ თქვენი დანადგარებით იქ გამდიდრებული ურანი სწორედ ატომური იარაღის საწარმოებლადაა გამოსადეგი? გარდა ამისა, თქვენზე უკეთ ვინ უწყის, რა საფრთხის შემცველია ატომური ენერჯის ეგრეთ წოდებული მშვიდობიანი მიზნით გამოყენება? დედამიწაზე

მარადიული არაფერია და რაღა ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოების სისტემა იქნება? – ეს აშკარად სინდისის ხმა იყო.

ჰერცმა საშინელი ყინვის ფონზე შეამჩნია, როგორ დაიწყო დუღილი: ბეტონმა, ქვიშამ, რკინის კონსტრუქციებმა, როგორ დაიძრა ეს დამანგრეველი ლავა ქალაქის ქუჩებისკენ, ჩაიღვარა კანალიზაციის ქსელში, მიაღვა სადარბაზოებს, ჰაერში გაიფანტა: ურანი, პლუტონიუმი, იოდ-131, ცეზიუმ-134, ცეზიუმ-137, სტონციუმ-90. მადლობა ღმერთს, რომ ხალხი სადღაც გაუხიზნავთ. თუმცა ეს რა არის? დახურული ქალაქის მთავარ ქუჩაზე სახეიმო დემონსტრაციაა. მშობლებს წითელდროშებიანი პატარა ბავშვები კისერზე შეუსვამთ და ამაყად მიაბიჯებენ წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავებით მორთული ტრიბუნისკენ, პატარებს გულისრევა დაეწყოთ, სახეზე ბირთვული გარუჯვა დაეცყოთ; სამშობიაროებში მახინჯი პატარები იბადებიან, საავადმყოფოები გაივსო ფარისებური ჯირკვლის კიბოთი დაავადებულებით. ჰერცს მუცლის გვრემა დაეწყო, მუხლები აუკანკალდა, ცივმა ოფლმა დაასხა, სუნთქვა გაუხშირდა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო და თვალები დახუჭა. სრულმა უკუნმა დაისადგურა. ახლა ამგვარი მდგომარეობაც არ მოეწონა და თვალი გაახილა. ბნელოდა, მაგრამ ზღვის ფონზე მთების კონტურების გარჩევა შესაძლებელი იყო. პარკისკენ გაიხედა, ხეებს ქარი არხევდა, დაახლოებით ას მეტრში ადამიანის ფიგურა დალანდა. კარგად დააკვირდა, მაგრამ იგი მალე შეერწვა სიბნელეს. ძლიერმა ტალღამ ნაპირს დაარტყა, ჰერცმა მოიხედა თუ არა, იმ ადგილიდან, სადაც უცნობის კონტურები დალანდა, გერმანულ ენაზე ყრუდ მოისმა:

გზა მშვიდობისა, ჰერ ჰერც! ჰერცი კვლავ პარკისკენ შებრუნდა და ქარმა სახეზე რაღაც ძაფისმაგვარი ააქრა. ხელი ჩაავლო, სცადა მოემუჭა, მაგრამ საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. ჯიბიდან ფარანი ამოიღო, ძაფს დაანათა. ჭაღარა თმის ღერი თითქმის ერთი მეტრი სიგრძის გახლდათ, ჰერცმა დაყნოსა. ნიშადურის არა, მაგრამ ჭაობის და კანალიზაციის მყრალი სურნელი ნამდვილად ასლიოდა. მერე უცებ მიხვდა, რომ ამ წუთას მის ცხოვრებაში ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ვიდრე სუნიანი თმის ღერი იყო. 1915 წელს იპრში მიძინებული გუსტავ ჰერცის სინდისი 1954 წელს სოხუმთან ახლოს აგუქერის სანაპიროზე იღვიძებდა.

-ჰერ ჰერც, “მშვიდობიანი ატომის” მოთოკვას მარადიულად ვერავენ შესძლებს და ავარიის შემთხვევაში ჰაერში გაბნეული: ცეზიუმ-134 ორი წელი, ცეზიუმ-137 ოცდაცამეტი წელი, სტონციუმ-90 ოცდარვა წელი – არ დაიშლება გაინტერესებთ, ამ ხნის მანძილზე, რა დაემართებათ ადამიანებს და ბუნებას? – კონკრეტულ შეკითხვებზე გადავიდა სინდისი

“მივხვდი, როგორც იქნა მივხვდი, – გაუნათდა გონება ჰერცს. – აი თურმე რატომ გამომეცხადა ფრიც ჰაბერის აჩრდილი. იგი ხომ კაცობრიობის ისტორიაში იმითაა გამორჩეული, რომ ძმათაკვლის ცოდვის ჩასადენი აქამდე არგავონილი იარაღი შეჰქმნა. თუ კაენმა ერთი კაცი მოჰკლა, ფრიც ჰაბერმა ქიმიური ნაერთების მეშვეობით ადამიანები მასობრივად გაანადგურა. მე კი რა ჩავიდინე? მე ხომ ბოლშევიკების ქვეყანას ქიმიურ იარაღზე უარესი ბირთვული ბომბების და მომავალში კიდევ უფრო

დიდი საფრთხის შემცველი ატომური ელექტროსადგურების შექმნაში დაგეხმარე. თუ დამნაშავეისთვის მკვლელობის ჩადენის მომენტში იარაღის მიწოდებისთვის ადამიანი თანამონაწილედ ითვლება, ვითომ რით არის ნაკლები დანაშაული რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოსთვის ადამიანების მოდგმის მომსპობი ბომბის დამზადებაში ხელის შეწყობა? გამოდის რომ, კაენების იერარქიაში ფრიც ჰაბერსაც გადავუსწარი!" – ამ მწარე სიმართლის გაგება სიზმარშიც აუტანელი აღმოჩნდა და გუსტავ ჰერცი საბოლოოდ გამოფხიზლდა.

მიიხედ-მოიხედა.

იგი ზღვის ნაპირზე იდგა და ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. მარტოობის დამთრგუნველი გრძნობა ყელში მოაწვა. შარლოტა გაახსენდა და ძალიან მოუნდა მასთან საუბარი. მარჯვენა მხარეს თეთრი კოშკურა მოჩანდა.



აგუპერის ძველი კოშკი


აქედან ორას მეტრში მდებარეობდა ფოსტა-ტელეგრაფის შენობა. ჰერცი სწრაფი ნაბიჯებით წავიდა იქითკენ. ერთი სული ჰქონდა, ტელეფონის ყურმილში მაინც მოესმინა ყველა ტკივილის დამაამებელი მეუღლის ხმა.

ეკალიპტებით, პალმებით, პიონებით და მაგნოლიებით გარშემორტყმული, მაღალ საძირკველზე დაშენებული, ყვითელი შენობის შესასვლელი კარი დაკეტილი იყო; მხოლოდ ერთ ფანჯარაში ბუბუტავდა მკრთალი შუქი. ჰერცმა შუშაზე გასაღებით ფრთხილად მიაკაკუნა.



ფოსტა-ტელეგრაფი





გუსტავ დორე. აბელის მკვლელობა

**უთხრა კაენმა უფალს: მძიმე ასატანია ჩემი სასჯელი:**

აჰა, მაგდებ დღეს მიწის პირისაგან და უნდა მივეფარო  
შენს სახეს; დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ამქვეყნად  
და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა.

უთხრა უფალმა: ამიტომაც შვიდწილად მიეზღვება  
კაენის მკვლელს. დაადო უფალმა ნიშანი კაენს, რომ  
ვერ მოეკლა იგი ყოველ შემხვედურს.

/დაბადება. 4.13-14-15/

თავი მეშვიდე

სხვა ნიშანიც გამოჩნდა ცაში: აჰა, დიდი წითელი გველეშაპი, რომელსაც ჰქონდა შვიდი თავი და ათი რქა. და მის თავებზე შვიდი ჯიდა.

/გამოცხადება. 12. 3/

ცრუა იგი და სიცრუის მამაა.

/იოან. 8. 44/

ობიექტი-ა, ობიექტი-გ და კურსი 117



სინოპი

სოხუმის დაცემის დღე, 1993 წლის 27 სექტემბერი, დაღამდა. მთვარე ლამის სავსე იყო და დიდი

მონდომებით ცდილობდა დაემახსოვრებინა გვამებით მოფენილ ქალაქში მოზეიმე ჯარისკაცების სახეები; აინტერესებდა, მომავალში ვის რა ბედი ეწეოდა.

გარეუბან სინოპში, სანამდეც მტერს ჯერ ვერ მოედწია, ადამიანები აჩრდილებივით დაბორიალობდნენ და ისეთი სამარისებული სიჩუმე იდგა, თავი ღამის სასაფლაოზე გეგონებოდათ. თეთრი ფერის ΓΑ3-31 ყოფილ საიდუმლო “ობიექტ-ა”-ს ტერიტორიაზე განთავსებული შტაბის შენობიდან ტრასისკენ კატაფალკის სიჩქარით დაიძრა.

ელჟარდ შევარდნაძე სოხუმს ემშვიდობებოდა.

ფარების შუქი დაინახეს თუ არა, გზაზე მომლოდინე ჭირისუფლები აფუსფუსდნენ და მარჯვენა მხარეს ჩამწკრივებული მანქანებისკენ გაიქცნენ. მძღოლმა მარცხენა მაშუქი ჩართო, მოუხვია და იქვე მდგარი БМП-ს უკან შეჩერდა; ძრავა არ გამორთო, მხოლოდ ფარები ააქრო. საბრძოლო მანქანამ დაიგრუხუნა და კვამლი ამოაფრქვია. ვიღაცამ ბრძანება გასცა:

– წავედით!

სოხუმიდან გიჟივით მომავალი “BA3-06” გაატარეს. შესაძლოა, იგი ადგილობრივების ბოლო ავტომობილი იყო, რომელმაც სულზე გამოასწრო უკვე მდინარე ბესლეთზე გადაბრუნებულ წითელ ხიდამდე მოსულ მტერს.



სოხუმი-მაჭარა-გულრიფში-ბაბუშარა

БМП-მ გრუხუნს უმატა, შავი ბუდი დააყენა და მუხლუხოების ღრჭიალით ადგილს მოწყდა. კოლონა მიჰყვა. გზად ჩანთებით დახუნძლულ ადამიანებს უსწრებდნენ. არც ერთ მათგანს ფარების შუქსა და ძრავების ხმაზე უკან არ მოუხედავს. ფიქრადაც არ ივლებდნენ, რომ ვინმე მანქანას გაუჩერებდა და ამგვარად უფრო მალე გაიყვანდა სამშვიდობოს. ახლა აქ სხვისთვის არავის ეცალა: ამ ხალხს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა.

ქართველები ქალაქს ტოვებდნენ; ეს, რა თქმა უნდა, სიახლე არ იყო “ვოლგის” უკანა სავარძელზე მჯდომი ედუარდ შევარდნაძისთვის. უკვე რამდენიმე დღეა, რაც აქედან ინტენსიურად გარბოდა მოსახლეობა და მემორების ნაწილი. ვერც გაამტყუნებდი. არტილერიის და მძიმე ტექნიკის გარეშე დარჩენილმა მოხალისეებმა იმაზე მეტხანს გაძლეს, ვიდრე რუსეთის გენშტაბის უფროსმა იწინასწარმეტყველა. «По нашим данным, завтра к утру Сухуми будет абхазским городом», – ჩაესმა

ერთი კვირის წინ ტელევიზიით მოსმენილი გენერალ მიხეილ კოლესნიკოვის მიერ რუსეთის უმაღლესი საბჭოსთვის მიცემული საზეიმო პირობა.

კელასურის ხიდს გაღმა სამხედროები ირეოდნენ. აქ ხალხიც ბევრი იყო. მანქანამ სვლა შეანელა და რამდენიმე წამით შეჩერდა კიდეც. ჩაწეული შუშიდან თითქოს საგანგებოდ მისთვის ნათქვამი სიტყვები შემოესმა: “ნუ გეშინია, ძიაკაცო, ნუგზარ აროშიძის კაცურ სიტყვას გაძღვევ, ამ ხიდზე მტერს არ გადმოუშვებთ! ერთ-ორ დღეში კი შეტევაზე გადავალთ.” შევარდნაძემ იქითკენ გაიხედა; მსუქანი უღვაშა ოფიცერი ჯოხზე დაყრდნობილ, წელში მოკეცილ წვეროსან მოხუცს ამშვიდებდა;

– დიდი მადლობა, შეილო, შენს პირს შაქარი! – ჯვარი გარდასახა მეომარს იქვე მდგარმა ასაკოვანმა ქალბატონმა. მერე მეუღლეს ხელი მაგრად ჩასჭიდა. – წამო, ბერიკაცო, გზას გავუყვეთ; თუ მშვიდობა იქნა, დავბრუნდებით. ის ჩვენი სახლი არსად გაიქცევა.

შევარდნაძეს ეს სიტყვები უცნაურად მოეჩვენა. რამდენი ხანია, მისი თანდასწრებით სხვისთვის მადლობა არ გადაუხდიათ ადამიანებს?! თუმცა – არა, გადაუხდიათ, როგორ არ გადაუხდიათ, ოღონდ შევარდნაძეზე თანამდებობით მაღლა მდგომი პირებისთვის. ვინ იცის?! იქნებ ეს ნუგზარ აროშიძე ამწუთას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურზე დიდი კაცია?!

კორტეჟი დაიძრა.

მდინარე მაჭარასთან კვლავ საცობში მოყვნენ. აქ სოხუმიდან წამოსული დევნილები ხიდზე გადმოსულ გულრიფშიდან მომავლებს ერწყმოდნენ და ერთ ნაკადად მიუყვებოდნენ სვანეთისკენ მიმავალ გზას.

“მერხეული” ეწერა მარცხენა მიმართულების ნიშანზე.

ედუარდს გაახსენდა, ბავშვობაში როგორ აინტერესებდა იმ ადგილების ნახვა, სადაც ლავრენტი პავლეს ძე ბერია დაიბადა და გაიზარდა. მოგვიანებით, სამოციანი წლების ბოლოს აისრულა წადილი. მაშინ საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო; ბედმა აქეთკენ გადმოისროლა; ჯერ მდინარე მაჭარის ფსკერზე საგანგებოდ დამალული ბელადის ძეგლის ამბავი საიდუმლოდ მოიკითხა და ფერდობზე შეფენილ რესტორან “მერხეულშიც” ივახშმა ერთი-ორჯერ. სხვა დრო, სხვა ქვეყანა და ხალხიც სხვანაირი იყო.

ახლა ღიმილისმომგვრელია, მაგრამ იმ შორეულ 1953 წელს სტალინის დაკრძალვის ცერემონიაზე ბერიას სიტყვა რომ მოისმინა, გადაწყვიტა, მეც ასე დახვეწილად უნდა ვილაპარაკო რუსულადო და რადიოკომიტეტს სთხოვა, იქნებ სამგლოვიარო მიტინგზე გამოსვლების ჩანაწერი მომიხერხოთო. მაშინ ახალგაზრდა ედუარდი ხშირად უსმენდა იმ ფირფიტას. მერე ამხანაგი ლავრენტი დახვრიტეს, სამაგიეროდ შერჩა ბერიას აქცენტი და მოსკოვში პარტიულ შეკრებებზე რომ დაილაპარაკებდა, უფროსი თაობის კომუნისტების თვალეში ჯერ შიშს და შემდეგ მოწიწებას ხედავდა. არც ბრეჟნევმა და არც მისმა გარემოცვამ იცოდა, რომ ეს ზოგადად ქართული

კი არა, არამედ კონკრეტულად ბერიას აქცენტი იყო; დღემდე არავინ იცის.



მდინარე მაჭარასთან გაიყარა დევნილების და შვეარდნაძის გზა. მერხეულის გავლით სვანეთის მთებისკენ მიმავალ გადასახვევს გვერდით ჩაუარეს, ხიდზე გადავიდნენ, ერთი პატარა აღმართი აიარეს, დაღმართზე დაეშვნენ და დელიდან ორასიოდე მეტრში მარცხენა მხარეს ფერდობზე მღვარ ეკლესიასთან მარჯვნივ ჩაუხვიეს.

აქ მდებარეობდა სოსუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილება. როდესაც ედუარდ შვეარდნაძემ პირველად გაიგო ამ დაწესებულების არსებობის შესახებ, მას “ობიექტი-გ” ერქვა და სინოპში მდებარე “ობიექტ-ა“-ს ტყუპისცალი იყო. კულუარული ინფორმაციით, აქ არაერთი ბირთვული რეაქტორი ფუნქციონირებდა და ურანის მარაგიც სოლიდური იყო. ზუსტი ცნობები შვეარდნაძეს საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანად მუშაობის პერიოდში არ ჰქონია. ეს ობიექტები მაშინ ცენტრალურ დაქვემდებარებაში იყო და რესპუბლიკის ხელმძღვანელს იქ მიმდინარე

პროცესებზე ამბებს არავინ მოახსენებდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას გაიგო ამერიკელებისგან, რომ ურანის გასამდიდრებელი აპარატურის ტექნოლოგია აქ, აგუქერაში შეიმუშავა გერმანელმა ნობელის პრემიის ლაურეატმა გუსტავ ჰერცმა, ვინც პირადად უხელმძღვანელა “სვერდლოვსკ-44”-ში ანუ ნოვოურალსკში იმ დანადგარების აწყობას. რუსულ ბომბებში დღესაც იქ გამდიდრებულ ურანს იყენებენ. ახსოვს, მაშინ საბჭოთა ატომურ პოტენციალზე საუბრისას, რამდენჯერმე გაიჟღერა საქართველოს შავიზღვისპირეთის კურორტებმა: აგუქერამ, სინოპმა და ქართულმა გვარ-სახელებმა: ლავრენტი ბერია – ატომური პროექტის ხელმძღვანელი, ალექსანდრე ნადირაძე – ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი სარაკეტო კომპლექს SS-20 შემქმნელი

აფხაზეთის თავდაცვის ახალი შტაბის განლაგების ადგილიც “ობიექტ-გ”-ს განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო შეირჩა. აქაურობის დაბომბვას ვერავინ გაბედავდა. დაუწერელი კანონი ურანის და რეაქტორების ხელშეუხებლობის შესახებ ამის მყარ გარანტიას იძლეოდა. აი, სწორედ მარჯვენა მხარეს, ბეტონის კედლის მიღმა, იყო განლაგებული საბჭოთა ატომური ბომბის პროექტში მონაწილე კანონმორჩილი გერმანელი ტყვეების მიერ შექმნილი ის საიდუმლო დაწესებულება.





“ობიექტ-გ”-ს სამრეწველო კომპლექსის მილი

შევარდნაძეს გაახსენდა, კიტოვანის არმიამ 1992 წლის აგვისტოში, სოხუმში გათარეშების შემდეგ, სცადა გუმისთის გადალახვა, მაგრამ მაშინ რუსებმა ეშერის სეისმური ლაბორატორიის ხელშეუხებლობა მოიმიზეხეს და კატეგორიულად მოითხოვეს, უკან დაეხიათ ქართულ ფორმირებებს. “ობიექტ-გ”-ს და სინოპში მდებარე “ობიექტ-ა”-ს ქართველებისთვის გადმოცემა თუ შეიძლებოდა, ვითომ რით იყო განსაკუთრებული ეშერის ლაბორატორია? მაშინ ეს კითხვა, ალბათ, ლოგიკური იყო, მაგრამ რატომღაც არ გასჩენია. ასე ახსოვს: ელცინმა თქვა, რომ ეშერაში ქართველები “БПК”-ს ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდნენ; ამ სტრუქტურის წარმომადგენლებზე კი რუსეთის პრეზიდენტი კონტროლს თურმე სრულად ვერ ახორციელებდა. ეშმაკობდა ბორისი, ნამდვილად ეშმაკობდა. არადა, სავსებით რეალურია, რომ რუსები ახლა სწორედ ბირთვული კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი სინოპისა და აგუძერის დაბრუნებისთვის იბრძვიან და მათ ომში ქართველები

და აფხაზები ერთმანეთის სისხლს ღვრიან?! თუ ეს სიმართლეა, რუსები გენიოსები ყოფილან, ჩვენ კი. . .

საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში პოლიტბიუროს წევრად და საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს წარმოიდგინა იმ უზარმაზარი ქვეყნის მართვის რთული მოდელი. დედამიწის ერთ მეექვსედზე გაშლილ სოციალისტურ წითელ სახელმწიფოს ჰქონდა შვიდი თავი. პირველი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მეორე – საბჭოთა არმია და ფლოტი; მესამე – “КГБ” ანუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი; მეოთხე – “ГРУ” ანუ მთავარი სადაზვერვო სამმართველო; მეხუთე – შინაგან საქმეთა სამინისტრო; მეექვსე – საბჭოთა ეკონომიკა; და მეშვიდე – მისტიკური “ВПК” ანუ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციაში ამ თავებიდან შვიდივე ხომ ცდილობდა ძალაუფლების შენარჩუნებას და კიდევ სამი დაემატა: პრეზიდენტი ელცინი, ვიცეპრეზიდენტი რუცკოი და უმაღლესი საბჭო ხაზბულატოვის მეთაურობით. ახლა ეს ათი ძალა, კრილოვის იგავ-არაკისა არ იყოს, სხვადასხვა მიმართულებით ექაჩებოდა ურემს და ვის დარჩებოდა გამარჯვება, ეშმაკმა იცის?

პოლიტიკაში მრავალწლიანი გამოცდილება და დასავლელი მეგობრები კარნახობდნენ, რომ ელცინზე უნდა დაედო ფსონი და დადო კიდევ. თითქოს დღემდე ყველაფერი სწორად გააკეთა. კიდევ ერთხელ გაიხსენა ამ ომთან დაკავშირებული ბოლო დიპლომატიური

ნაბიჯები: 27 ივლისის სამშვიდობო ხელშეკრულება ყველამ მოიწონა, თუმცა იგი 16 სექტემბერს აფხაზურად წოდებულმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია და საბრძოლო მოქმედებები ორ ფრონტზე დაიწყო. ომის განახლების მეორე დღეს, 17 სექტემბერს, თბილისიდან სოსუმის გავლით, ადღერში რუსების თავდაცვის მინისტრ პავლე გრაჩოვს შეხვდა, რომელმაც, ორ დღეში და ერთ სადესანტო ბატალიონს თუ შემომაყვანინებთ, მთელ აფხაზეთს გავაკონტროლებთ და მშვიდობას დავამყარებთო. ყარყარაშვილმა და ბათიაშვილმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს – ეს ხომ ოკუპაცია და ანექსიააო. ვითომ სოსუმში ამწუთას მდგარი რუსული სადესანტო ბატალიონი, გუდაუთის, ვაზიანის, ბათუმის, ახალქალაქის სამხედრო ბაზები ექსკურსიაზე ჰყავთ გამოგზავნილი რუსებს? ახალგაზრდები არიან, გამოცდილება აკლიათ და თანაც, ალბათ, ქართველების უმრავლესობის აზრი გამოთქვეს. არ უნდა აყოლოდა ყმაწვილების ემოციებს. თუმცა, ცოდვა გამხელილი ჯობს, რადგანაც გრაჩოვი ომახიანად იყო და “ელცინს მყარი პოზიციები აქვსო” განაცხადა, თვითონაც იფიქრა, 27 ივლისის ხელშეკრულების პირობების შესრულებას არაფერი შეუშლის ხელსო და დიპლომატიაში არაერთხელ გამოცდილი პაუზის ხერხის გამოყენება სცადა. გაეროს ორი რეზოლუციაც: №854 და №858 – არსებობდა, რომლებიც იწონებდა 27 ივლისის ხელშეკრულების პირობებს და მის შესრულებაზე კონტროლს თავის სპეციალურ მისიას აკისრებდა. 17 სექტემბერს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ აფხაზები სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევაში დაადანაშაულა და აგრესორები უწოდა. ელცინი

აფხაზებს ეკონომიკური სანქციებით დაემუქრა, სოჭიდან ელექტროენერჯის მიწოდებაც შეუწყვიტა. ამაზე მეტი საერთაშორისო მხარდაჭერა რა შეიძლება იყოს?!

ჩვენმა მეომრებმაც იყოჩადეს და გუმისთასთან ძველი პოზიციების ნაწილობრივ დაბრუნებაც შესძლეს.

სოხუმში სიტუაციის დამძიმება მომდევნო დღეებში დაიწყო. მტრის არტილერია მიზანდასახულად დღედაღამ მუშაობდა; აფხაზებს საიდანღაც საზღვაო ფლოტი გაუჩნდათ და ბაბუშერის აეროპორტთან სოხუმის დასახმარებლად მომავალი რამდენიმე სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. დანარჩენ საქართველოსთან საჰაერო კავშირი გაწყდა. ქართული არმიის ნაწილები ხმელეთით, სამეგრელოს გავლით, ჩამოსვლას ზეიადისტების გამო ვერ ახერხებდნენ. სოხუმის ალყის გარღვევა შეუძლებელი გახდა.

21 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ელცინს მოუწოდა ქართველების მხარდაჭერისა და რუსეთის მონაწილეობით ხელმოწერილი 27 ივლისის ხელშეკრულების დაცვისკენ. ამ საბაბით ისარგებლა და გრაჩოვის წინადადებაზე თანახმა გახდა; ამჯერად გრაჩოვმა ბრძანა უარი.

26 სექტემბერს, როდესაც საგანგებო მდგომარეობა მოქმედებდა და მთელი ძალაუფლება სახელმწიფო მეთაურის ხელში იყო, ოფიციალურად განაცხადა: საქართველო CHF-ს წევრი გახდებაო; ვახტანგ გოგუაძეს მიმართვის გაგზავნა სთხოვა. არც ამან

გაჭრა. კარგ მთქმელს კარგი გამგონი სჭირდებაო, ნათქვამია, მაგრამ, კარგი კი არა, თურმე უბრალოდ მსმენელიც არავინ ყოფილა. 21 სექტემბერს ელცინს რუსეთის მხარდამჭერი უმაღლესი საბჭო დაუთხოვია თავისი ხაზბულატოვით. იმათ კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდამჭერით ელცინი მოუხსნიათ პრეზიდენტის თანამდებობიდან. სანამ ელცინი და რუსეთი ერთმანეთს ებრძოდნენ, გრაჩოვს შევარდნადისთვის სად ეცალა? ამ სიტუაციაში მთავარია, ელცინმა გაიმარჯვოს. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ აფხაზეთის საქართველოსთვის ჩამოშორების და რუსეთისთვის მიერთების საკითხში ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს მტრად გადაკიდებული რუსები ერთი აზრის იყვნენ და შევარდნადის საერთაშორისო ავტორიტეტი, გაეროს რეზოლუციების თანხლებით, ყველამ ერთად დაიკიდოს ფეხებზე. მაგათ წითელი იმპერიის ვეროპის შუაგულამდე გამწვლავ ქართველ სტალინს მიაფურთხეს, ამ იმპერიის სიძლიერის ელექსირის – ატომური ბომბის – სულისჩამდგმელი ქართველი ლავრენტი პერია მოლაღატედ გამოაცხადეს და იმავე იმპერიის ერთ-ერთ მნგრეველ ქართველ ედუარდ შევარდნაძეს ვითომ რატომ დაეხმარებიან? ეგენი მადლობას როგორ იხდიან და შურისძიება ხომ საშინელი იციან; თუმცა ამის შესახებ საქართველოში ვერავის დაეღაპარაკები. გარემოცვა ხომ იმიტომაც აღმერთებდა, რომ სერიოზულად სწამდათ რუსულ პოლიტიკაზე მისი ზემოქმედების ჯადოქრული უნარის. ამ მიმე დღეებში სოხუმში მასთან ერთად გამომეზავრებულების უმრავლესობას ბრმად სჯეროდა: ედიკამ რუსებთან ჩუმიად მოილაპარაკა და სოხუმს შეგვანარჩუნებინებს კი არა, ფსოუზე გასვლას

სიურპრიზად გვიმზადებსო. ამათ ხომ საბჭოთა კავშირი ისევ ცოცხალი ჰგონიათ და შევარდნაძეს მის ერთ-ერთ ფარულ გავლენიან მმართველად მიიჩნევენ.

აგუძერის სახანძრო რაზმის შენობასთან მარჯვნივ გაუხვიეს, რკინიგზის ხიდის ქვეშ გაძვრნენ, ორასიოდე მეტრი გაიარეს; მეწინავე “БМП” გაჩერდა; მიუახლოვდნენ და ზედ კუდზე მიაბუხრუჭეს. მანქანის კარი შოთა კვირაიამ გამოაღო.

– მოვედით? – ჰკითხა ედუარდმა.



– მოვედით, გადმობრძანდით. ეს გერმანელების მიერ აშენებული ტელეგრაფის შენობაა. “ვეჩე” მწყობრშია. სატელიტიც გამართულად მუშაობს.

– ჟიულის რა ისმის? ხომ არ გამოჩენილა?

– გურამ ჯანიაშვილს უთქვამს, მინისტრთა საბჭოს შენობიდან ყველა გამოვიყვანეთ; ჯგუფებად დაიყვნენ და სხვადასხვა მიმართულებით დაიშალნენო.

– მაგას აღრეც ამბობდნენ.

– მობრძანდით. შტაბის წევრები აქ არიან.

ეკალიპტებით, პალმებით, პიონებით და მაგნო-ლიებით გარშემორტყმული, მაღალ საძირკველზე დაშენებული, ყვითელი შენობის შესასვლელი კარი ღია იყო.

ბოლო ათი დღის მანძილზე, მხოლოდ რამდენჯერმე ჩასთვლიმა თითო საათით. უძილობას ეს წყვეული სტრესიც ემატება. მასთან ერთად ოთახში კვირათა და ბათიაშიღი არიან; სატელიტით ბალტინის ხალხთან დაკავშირებას ცდილობენ. ყურთასმენამდე დერეფანსა და შენობის ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანების ხმამაღალი ლაპარაკის ნაწვევებიც აღწევს. ეს აბდაუბდა ტვინს მიეწოდება, ის კი მიღებული ინფორმაციიდან აზრის გამოტანას ცდილობს, მაგრამ – უშედეგოდ; თავში სრული დომხალია. ყურადღების კონცენტრირება შეუძლებელია. ახლა ნანულის ხმის მოსმენა დაამშვიდებდა, მაგრამ სატელიტის ამ საქმისთვის გამოყენება სირცხვილია; ესენი სხვაგვარად გაიგებენ და სისუსტედ ჩაუთვლიან. მოულოდნელად ძილ-ღვიძილის ხმები ვიღაცის ბღავილმა გადაფარა:

- აფეთქდა, ნახეთ, სოხუმის მხარეს რაღაც აფეთქდა.
- იქნებ ღოთი ქობალია გადმოვიდა კოდორზე და სოხუმს ბომბავს, – სასოწარკვეთილი კაცის უკანასკნელ ამოძახილს ჰგავდა მეორის ხმა.
- ავიაციო, ავიაციოა, – აყვირდა მესამე.

მაღე ყველაფერი გაირკვა. თურმე სოხუმის თავზე რუსულმა თვითმფრინავმა საავიაციო მანათობელი ბომბები, ეგრეთ წოდებული “ლუსტრები” დაჰკიდა და

წითლად გაანათა ისედაც ცეცხლში გახვეული ქალაქის ცა. ვარსკვლავებისკენ აიჭრა მოზეიმე აფხაზების ავტომატებიდან და ტყვიამფრქვევებიდან ჰაერში გასროლილი აღისფერი მგვზეველი ტყვიების, უსასრულობის ნიშნის გამომსახველი, ფოიერვერკები.

ეს ყველაფერი ღამის კოშმარივით ჩანდა ფანჯრიდან.



რუსული საავიაციო მანათობელი ბომბები

ძალიან მძიმე იყო მოწინააღმდეგის ველური აღტკინების შორიდან ცქერა. თითქოს გულს სისხლის კოლტი ტკივილით მოწყდა, მუცლის ღრუში აფეთქდა და მწარე შხამად ჩაიღვარა. მერე იქიდან მთელ სხეულში გადანაწილდა; ყველა ორგანო, კუნთი, სახსარი, ძვალი ასტკივდა.

ოთახში ჯაბა შემოვიდა; ენერგიულია, თათბირზე ეპატიუება ყველას.

სანამ შტაბის წევრები იკრიბებოდნენ, შევარდნაძემ ძალებს მოუხმო, სულის ტკივილი დასძლია, ფანჯარას მოშორდა, დერეფანი გაიარა და ღია კარიდან გარეთ



გაიხედა. შენობასთან სამხედროები და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მოხალისეები ირეოდნენ. ახლა ამ ხალხს გამხსნევა სჭირდებოდა, მაგრამ, მიხვდა, სათქმელი არაფერი ჰქონდა. ის იყო შეტრიალებას აპირებდა, რომ ვიღაც წვეროსნის დაჟინებულ მზერას გადაეყარა. წამით დააკვირდა; ნაცნობი სახეა, მაგრამ ახლა გამოცნობის თავი ნამდვილად არ ჰქონდა. თვალი აარიდა და დერეფანში, სათათბიროდ შეკრებილ შტაბის წევრებთან ოთახში შესვლამდე, კიდევ სცადა იმ კაცის გახსენება. მოეჩვენა, თითქოს ძალიან შორეული წარსულიდან მოსული ადამიანი იდგა გარეთ.

ლამპის შუქით განათებული გაოგნებული შტაბის წევრების სახეები უკვე შიშსაც ვერ გამოხატავდა. ჯაბა აქტიურობს და ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

– სოსუმე ვერ გადავარჩინეთ, მაგრამ ენგურის ხიდამდე აფხაზეთის ასი კილომეტრია. შესაძლებელია კელასურის ხიდთან გამაგრება?

– რასაკვირველია, – პასუხობს თავდაცვის მინისტრი.

ჯაბამ მოსკოვზე იერიში მიტანა რომ მოითხოვოს, თავდაცვის შტაბის წევრები კვერს დაუკრავენ. ახლა აქ ვინც ხმამაღლა და ომახიანად ლაპარაკობს, უფროსიც ისაა.

– გია ვაშაკიძე ჭუბურით მოდის კარგად შეიარაღებული ორასი კაცით, – არ იშლის თავისას მხედრიონის მეთაური.

შე კარგიდღამისშივილო, ან იმ ორას კაცს რას ერჩი, – ფიქრები მოეძალა შევარდნაძეს, – ორასი კაცი თუ შველის საქმეს, მარტო აგერ, შტაბის ეზოში შეაგროვებ ოთხას-ხუთას მეომარს; აქედან კოდორამდე კიდევ ერთი ამდენია ალბათ გაბნეული; რაც მთავარია, ჭუბურიდან მომავალი იმ ორასი კაცისკენ ახლა დალის ხეობით რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იხევს უკან;

დავიჯერო, ჯაბამ ან სხვა შტაბის წევრებმა არ იციან, რომ რუსებთან ომში არ უნდა ჩაება, თორემ მაგათი მორევა ნაპოლეონმა და ჰიტლერმა ვერ შესძლეს? იციან, შესანიშნავად იციან, მაგრამ თუ შევარდნაძე იტყვის, ბრძოლას აზრი არა აქვსო, აქ ტაშს დაუკრავენ; მერე გარეთ გავლენ და ორმეტრიან ენას გადმოაგდებენ: გაყიდა თეთრმა მელამ აფხაზეთი, ჩააბარა რუსებს ჩვენი მიწა-წყალი, ამისთვის ჩამოვიდა საქართველოში; მოდალატე და იუდააო, – ფიქრებიდან უცნაურმა, სიტუაციისთვის შეუფერებელმა, სიტყვებმა გამოიყვანა:

– დილის ათ საათზე გულრიფშის სკოლასთან ვიკრიბებით, – თითქოს მეთერთმეტეკლასელებს ექსკურსიაზე წასასვლელად იბარებს ჯაბა იოსელიანი.

რა თქმა უნდა, ყველანი ეთანხმებიან.

თათბირი დამთავრდა.

ოთახში ისევ სამნი არიან: შევარდნაძე, ბათიაშვილი, კვირიაა. ბალტინის ხალხი მზადაა აგუქერას მათ გასაყვანად გემი მოაყენოს. ოღონდ უცნაურ პირობა დათქვეს: ნაპირზე მოსადგომ ადგილზე ხუთი

ფარებანთებული მანქანა უნდა იდგეს. ბავშვურ თამაშს ჰგავს, თუ სხვა რამ ჩაიფიქრეს? ახლა ამის ანალიზის უნარი არავის აქვს. უკვე ყველა მოქმედება ინსტიტუტურია. ირაკლი გავიდა ავტომობილების საკითხის მოსაგვარებლად. ცოტა ხანში გაოცებული შემოდის:

– ლამის ყველანი გაპარულან, რამდენიმე მანქანაღაა დარჩენილი. უშიშროების ბიჭები არიან. უკვე მივცეო დავალება.



აგუძერის ძველი კოშკი

ზღვის პირას თეთრ კოშკურასთან ხუთი მანქანა იდგა და სოხუმის ყურეს ანათებდა.

შევარდნაძე და მისი თანმხლებნი, ქვეცნობიერის კარნახით, ეკალიპტებს ამოეფარნენ.

რუსული საბრძოლო ხომალდი მფრინავი ჰოლანდიელის აჩრდილივით გამოძვრა უკუნიდან და ნელი სვლით ნაპირს უახლოვდებოდა. იციან რუსებმა, ზეპირად იციან, რომ აქ შესაძლებელია არათუ მცირე ზომის კატარღის ნაპირზე მოყენება, არამედ

საბრძოლო დიდი ხომალდებით მძიმე ტექნიკით შეიარაღებული დესანტის გადმოსხმაც.

მოულოდნელად სროლის ხმა გაისმა. ჩვენი სანაპირო დაცვის გზაკვალარეულმა ჯგუფმა ამოუცნობ მცურავ ღამის სტუმარს ცეცხლი გაუხსნა.

სროლა ასე არ უნდაო, რუსებმა ისე დააყარეს სანაპიროზე მდგარ ხუთ მანქანას, რომ რამდენიმე წამში ისინი უკვე აღარ ანათებდნენ.

გემი კვლავ გაშლილ ზღვაში გავიდა. ახლა ნათელი შეიქნა, რომ რუსების ორგანიზებული ალყიდან მათივე დახმარებით თავის დაძვრენა მთლად ლოგიკური ნაბიჯი არ იყო.

მძიმე სიტუაცია სასწრაფოდ თბილისში ჩასვლას ითხოვდა. ამისთვის კი ჭუბურის გრძელი გზა არ გამოდგებოდა და ერთადერთ იმედად გადაფრენა რჩებოდა. ბედად რუსული ხომალდიდან ნასროლ ტყვიებს არავინ დაუზიანებია. შტაბის შენობაში არც შესულან; იქვე მდგარ გადარჩენილ მანქანებში გადანაწილდნენ და აეროპორტისკენ დაიძრნენ.

რკინიგზის ხიდის ქვეშ გაძვრნენ, ჩაბნელებული, უკაცრიელი აგუძერა გაიარეს, ტრასაზე, ეკლესიასთან, მარჯვნივ ჩაუხვიეს, იქვე, გულრიფშის სკოლის წინ მდგარ ოთხ საბრძოლო მანქანას ჩაუარეს და დიდი სიჩქარით გეზი აეროპორტისკენ აიღეს. გენო ადამიას უთქვამს, იქ დარჩენილი ორი თვითმფრინავიდან ერთი მაინც შესძლებს აფრენასო. ეს “უთქვამს” ხომ არა და არ დამთავრდა ამ ქვეყანაში.

შევარდნაძე ΓΑ3-31-ის უკანა სავარძელზე იჯდა. კანტიკუნტად შემხვედრი მანქანების ფარების შუქი ჯერ თვალებს შორიდან ჭრიდა, მერე სალონში წამით შემოვარდებოდა და გვერდზე ჩაიჭროლებდა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ – ქუთუთოები ისედაც დამძიმებოდა, მოჭუტა და გაახილა, მოჭუტა, გაახილა. მორიგადაც მოჭუტა. დაღლა მოერია; ბავშვი ხომ არ იყო სამოცდამეექვსე წელში გადამდგარი კაცი?! ახალგაზრდობაში ძილს არაფერს უთმობდა. წამიერი თვალის მოტყუება, მწვანე ჩაი და ჩიტივიდ ხდებოდა. ახლა კი, ნეტავ, რას ჩააცივდა ეს სხივი, რომელიც წინამორბედებისგან განსაკუთრებული სიკაშკაშით გამოირჩეოდა?! ჯერ თვალები აატკივა, მერე მანქანის სალონში შემოიჭრა, აქ იწრიალა ცოტა ხანს, საბოლოოდ უკანა სავარძელზე თავისუფალ ადგილზე მოკალათდა. შევარდნაძემ შეხედა, იცნო და ძალიან მოუნდა მის უბეში ჩაერგო თავი. თურმე, როგორ მოჰნატრებია დედის სითბო, ალერსი და სურნელი.

– ნუ მომეკარები. ჯერ შენ საჩვენო არ ხარ, – როგორც ყოველთვის, მკაცრი იყო დედა.

– რა უცნაურია, აქ რომ გხედავ, დედა? მეომარ სოხუმში ჩამოვალ თუ არა, სხვა სამყარო წყვეტს არსებობას. ვცდილობ, ოჯახის წევრებზე, თბილისში დარჩენილ მეგობრებზე არ ვიფიქრო. აქაური ყოველწამიერებით ვცხოვრობ. ალბათ იმიტომ, რომ ტყვია და ნაღმის ნამსხვრევები ასე ახლოს დაფრინავს და მათი შიში სიცოცხლის სურვილს გიძლიერებს. აქ ხედები, რომ ყოველ ჩასუნთქულ ჰაერს შეიძლება ამოსუნთქვასთან ერთად სულიც ამოაყოლო და ამიტომაც განსაკუთრებით ფრთხილად ხარ. შენი

ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები ის ადამიანები ხდებიან, ვინც აქ არიან, შენს ირგვლივ ტრიალებენ და შენთან ერთად ცდილობენ სიცოცხლით დატკობას. იცი, რომ ყოველი დაღუპული ადამიანი შენს ჯერს აახლოებს და გაშმაგებული იბრძვი ყოველი მათგანის გადასარჩენად.

– ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი კარგად გისწავლია. არადა, ბავშვობაში ბლუყუნა და ლენჩი იყავი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ შემიჩივლია მამაშენისთვის, რომ გაიზრდება, რა ეშველება-მეთქი?! შენი სიტყვები მხოლოდ ერთი შეხედვით უღერს ლამაზად, მაგრამ – აჩრდილი გაჩუმდა, სახე შეატრიალა, წამოიძვარა და თითქოს წასვლა დააპირა.

– რა მაგრამ, დედა! ძალიან გთხოვ, ახლა ნუ მიმატოვებ, შენ მაინც იყავი გულწრფელი.

– მაგრამ ის, შეილო, რომ ხშირად სიმართლის მხოლოდ ნაწილს ამბობ. სიმართლის ნაწილი კი კარგად შეფუთული ტყუილია მხოლოდ და მეტი არაფერი. მიმტკიცებ, თითქოს აქ მყოფი ადამიანების სიცოცხლეს ისევე უფრთხილდები, როგორც – საკუთარს; მაგრამ არაფერი წამოგცდა ამწუთას შენს გადასარჩენად აეროპორტში სამუშაოდ დარჩენილების შესახებ; ისინი, ზოგი ნებით, უმეტესობა კი უშიშროების და მხედრონის შიშით, გელოდებიან; ერთი სული აქვთ, როდის მიხვალ და გაფრინდები, რომ მხოლოდ ამის შემდეგ ჩაავლონ თავიანთ ოჯახებს ხელი და ჭუბერის გზით გაიქცენ. შენს

თავგანწირვაზე კი არა, არამედ იმ ადამიანების ბედზე უნდა ლაპარაკობდე.

– რა ვქნა, დედა, მე სახელმწიფოს მეთაური ვარ და ჩემს ფუნქციებს ვასრულებ, ისინი აეროპორტის თანამშრომლები არიან და თავისი საქმე უნდა აკეთონ.

– ადამიანი თანამდებობა კი არა, არამედ სრულიად სხვა განზომილებაა. ნამდვილი ადამიანი იქ იწყება, სადაც თანამდებობა მთავრდება. თუ მოხელეთა რიგში პირველობა გერგო, სხვებს იმ სფეროებში უნდა გაეჯიბრო, სადაც ხელთ არსებულ ძალაუფლებას ბოროტად არ გადაამეტებ. ადამიანებთან ტოლ-სწორი უნდა იყო. იმაზე თუ გიფიქრია, რომ ახლა გარშემო მყოფთ უფლება აქვთ ისევე შეასრულონ თავისი მოვალეობა, როგორც შენ შეასრულე მხედართმთავრის ფუნქციები?

– აქ მხედართმთავრად არ ჩამოვსულვარ. ვთქვი, რიგითი უიარაღო სოხუმელი ვიქნები და ბოლომდე დავრჩები ქალაქში-მეთქი. რაც შემეძლო, გავაკეთე. თავს ზემოთ ძალა არ არის. მწარედ მომატყუეს.

– ასეა, შვილო, შენც ბევრი მოატყუე, ბევრმა მოგატყუა და კიდევ უფრო მეტი მოგატყუებს. აბა, მიიხედ-მოიხედე, აგუძერის შტაბთან ხუთას კაცამდე გეხვია, ახლა რამდენი დარჩით? მათ დასათვლელად ორი ხელის თითებიც საკმარისია. ხომ გეგონა, რომ შენი ერთგულები იყვნენ და სამარის კარამდე გამოგყვებოდნენ? სინამდვილეში კი ეგენი საკუთარი კეთილდღეობის მონები, თაღლითები და მოღალატეები არიან. სინდისი მაგათ არ აქვთ და ნამუსი არ

აწუხებთ; თბილისში ჩახვალ თუ არა, ის გაქცეულები ისევ შენს გვერდით აღმოჩნდებიან და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვერ შეეღევი, შემოიკრებ და კვლავ ახრევინებ ქვეყანას. პატივმოყვარე ხარ, მოგწონს ქლესა ადამიანები.

– დედა, შენ ხომ მაინც იცი, რომ მთელი ცხოვრება ვებრძოდი კორუფციას; ადრე ნეგატიურ მოვლენებს ვეძახდი.

– მერე შედეგად რა მიიღე? სანამ ცეკას პირველი მდივანი გახდებოდი, სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობა ათი ათასი ღირდა; შენს დროს კი ასი ათასი გახდა. ასე იყო სხვა სფეროებშიც, ქრთამის თანხა ერთიათად გაიზარდა; ხომ იცოდი ეს ყველაფერი, მაგრამ მუავანადის მოხელეები მექრთამეები იყვნენ, შენს მამაძაღლებზე კი თვალები დაგეხუჭა. რატომ? იმიტომ რომ, დასვრილების და ჩასვრილების მართვა უფრო ადვილად შეგეძლო.

– ჩემებსაც ხომ ვიჭერდი? რომელი ერთი ჩამოვთვალა?

– შენ რომ წესიერი ქვეყანა აგეშენებინა, ვინ იცის, იქნებ ეს აფხაზებიც შემოგვევრიებინა. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ორ-სამ აფხაზ სტუდენტსაც ვერ იპოვიდი. რუსეთში მიდიოდნენ, იქ ათჯერ უფრო იაფი ღირდა მოწყობა; დაშორდნენ საქართველოს კულტურას, საქართველოს პოლიტიკას. მიიბეს რუსებმა და ეს შედეგიც მივიღეთ.

– ახლა ყველაფერს მე ნუ დამაბრალებ. სისტემა იყო ისეთი.



– ბალტიის ქვეყნებში რა, სხვა სისტემა იყო? იმ ერებმა ღირსება პატიოსნებით შეინარჩუნეს.

– იმათ სახელმწიფოებრიობა 1940 წელს დაკარგეს, ჩვენ კი – ორასზე ბევრად მეტი ხნის წინ.

– ქართველები საკუთარ მიწაზე ცხოვრობდნენ, ებრაელებს კი ისრაელიდან საუკუნეების წინ კუდიტ ქვა ასროლინეს, მაგრამ ისინი არ გატყდნენ. თავის მართლება კარგი იცი. მძიმეა იმ ხელმწიფის პასუხისმგებლობა, ვინც საკუთარი ერი გარყვნილების მორევებიდან ვერ ამოიყვანა. ჩვენს მარადიულ სოფელში ადამიანის სულის დაღუპვა უფრო მკაცრად ფასდება, ვიდრე ხორციელი მოკვდინება. არას გარგებს სხვადასხვა საქმეზე ფიქრსა და ზრუნვაში სინდისის მივიწყება. უნდა წავიდე, ჩემსკენ პირს დიდხანს ნუ იზამ, შეილო! – დედის აჩრდილი კვლავ სხივად იქცა და გაფრინდა. შევარდნაძე მიხვდა, რომ სიზმარი დამთავრდა, მაგრამ უნებლიეთ მიბრუნდა და სცადა. მანქანის უკანა შუშის მიღმა კიდევ ერთხელ შეველო დედისთვის თვალი. არავინ ჩანდა. მერე კვლავ წინ გაიხედა:

– რაო, ამბროსოვიჩ, ვერ მიცანით თუ? – მოუტრიალდა მძღოლის გვერდით მჯდომი უცნობი.

ყურადღებით დააკვირდა; ის იყო, შტაბის ეზოში შორეულ ნაცნობად რომ მოეჩვენა.

– გიცანი, ვითომ რატომ ვერ გიცანი, შე კაცო?! – უნებლიეთ წამოცდა ტყუილი შევარდნაძეს.

– ვერ მიცანით, ამხანაგო ეღუარდ, ვერ მიცანით! – ჩაყვითლებული კბილებით ყეყეჩურად იკრიჭებოდა სამხედროფორმიანი ჭადარაწვერმოშვებული მამაკაცი.

– შენ ის არა ხარ, წელან შტაბის ეზოში რომ გნახე?

– მაგარი ბრძანდებით, ამბოსოვი, ძალიან მაგარი! დრო თქვენზე არ მოქმედებს, ომმაც ვერ გაგტყბათ. გიყურებთ ახლა და, თითქოს ეს ამდენი წელი სულაც არსად წასულა, ისევე ჩემი კადრების განყოფილების უფროსი მგონიხართ. იგივე გამოხედვა, იგივე ცეცხლი თვალებში! ახლაც ვერ მიცანით?

– სახელს ვერ ვიხსენებ. უცნაურად გეძახდნენ. ზემელი? არა, რაღაც სხვა იყო, მოიცა, კიდეც ცოტა ხანი და გავიხსენებ.

– ზევული, ამხანაგო ეღუარდ, თბილისის ორჯონიკიძის კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი ამხანაგი ზევული.

– რას ამბობ, კაცო?! მას მერე არ მინახიხარ. ძველი ნაცნობებიდან ყველამ მომაკითხა, ზოგს დავეხმარე, ზოგს – ვერა. აი შენ კი არსად შემხვედრიხარ. თუ არ ვცდები, მაშინ უშიშროებაში გადახვედი, თუ რაღაც ამის მსგავსი მოხდა?

– პირიქით, მაშინ უშიშროებამ ამირია გზა-კვალი. თქვენთან დასამალი რა მაქვს? თუ გახსოვთ, კომკავშირის ცეკადან თურქეთში მდებარე რომელიღაც არარსებულ რაიკომში გამანაწილეს? მაშინ უშიშროების თანამშრომლები რეზონ ელიადაყიძე და ჰადად ელომიძე გავანაწიყენე, მათი დავალების

შესრულებაზე ვთქვი უარი. თურქეთის ამბები რომ დასრულდა, იმ მამაძაღლებს ვითომ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო “დასასჯელთა” შავ სიაში შეგუყვანივარ და დასრულდა ჩემი კარიერა. თქვენთან ხომ განცხადება დამაწერინეს, სხვაგან სამსახურში არავინ მიმიღო. უშიშროების უხილავი ხელი ყველა კადრების განყოფილებაში მომწვდა.

– მერე მოგეთმინა ცოტა ხანი და 1952 წლიდან დაბრუნებოდი პარტიულ მოღვაწეობას.

– ორმოცდათორმეტში ვითომ რა მოხდა ასეთი? რა, უშიშროების არქივი დაიწვა თუ “დასასჯელთა” სიები გააუქმეს?

– ეგ როგორ არ გაგიგია? იმ წლიდან უშიშროების მინისტრმა იგნატიევმა თავის უწყებას აუკრძალა პარტიის საქმიანობაზე თვალყურისდევნება და პარტიული მუშაკების გადაბირება.

– აბა, ბატონო, აკრძალა! აკრძალა არა – ტოროლა. ეგ მხოლოდ ქაღალდზე დაიწერა, თორემ რა აკრძალა, აგერ ვარ და მე მკითხეთ. იგნატიევის ბრძანება ისევე არ შესრულებულა, როგორც არ განხორციელდა ბერიას მიერ 1938 წელს გაცემული მსგავსი საიდუმლო მითითება.

– შენ, ვითომ, რა იცი? ახლა არ თქვი, უმუშევარი დავრჩიო?

– უსამსახუროდ კი ვიყავი ცოტა ხანი. გადავწყვიტე, ხელი ჩამექნია პარტიულ კარიერაზე და ლუკმა-პურის მოსაპოვებლად პურის ქარხანაში მოვეწყვე

მტვირთავად. მერე იქაურობას ალღო აეუღე და მძღოლად გადავედი. თანდათან აღურიცხავი პურის წილში ჩაეჯექი; ქვეყანა რომ შიმშილობდა, მაძღარმა სიამტკბილობაში გავატარე რამდენიმე წელი. თავი სამშვიდობოს დავიგუღე, ცხოვრებით კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ ვინ გაცალა? უშიშროებაში დამიბარეს, ხელშეკრულება გამიხსენეს და პურის თაღლითური სქემის გაშიფვრაში თანამშრომლობა დამავალეს. სხვა რა გზა მქონდა? მერე და მერე, ხან წვენებში შემავ ზავენეს, ხან – ღვინის ქარხანაში; ფეხსაცმელების ფაბრიკა, მაუდკომბინატი – ყველა არც კი მახსოვს. ორმოცდათექვსმეტში განსაკუთრებული დავალებით “საბლიტგამში” მომაწყვეს მძღოლად. შრიფტის ვითომ მოპარვა და ვიღაც ლაწირაკებისთვის გადაცემა დამევადა. იმათში ერთ-ერთი უშიშროების კაცი იყო. მერე იმ ბავშვებმა უნგრეთში საბჭოთა ჯარების სადამსჯელო ოპერაციის გამო პროკლამაციები დაბეჭდეს, ქალაქში გააკრეს; ყველანი დაიჭირეს. გემახსოვრებათ, მაშინ კომკავშირის ცეკას მეორე მდივანი იყავით. უთქვენოდ ეგ ამბები არ მოხდებოდა.

– საქმე მახსოვს, მაგრამ მე რა შუაში ვარ? შენ არ თქვი, ცეკას მეორე მდივანი იყავით? მეორე მდივანი კი მრეწველობას ეურიებდა.

– ეჰ, ამბროსოვიჩ, ამბროსოვიჩ! მეორე მდივანი მრეწველობას საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში ზედამხედველობდა, თორემ საკავშირო აღკკ ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებში სწორედ იდეოლოგიის კურატორი იყო. დაგავიწყდათ ალბათ. ხოდა იმ ბავშვების საქმის შემდეგ დამაწინაურეს და რაიკომის

მდივანზე ნაკლების მძლოლად არ მიმუშავია. ესეც თქვენი: კაგებეს პარტიულ მუშაკებზე კონტროლი აეკრძალო! – ნიშნი მოუგო ზევულმა.

– რაო, რა მითხარი, თავიდან სად ვმუშაობდი მძლოლადო? – შევარდნაძეს მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი სიმართლეს არ ჰგავდა და გაჩენილი ეჭვის საფუძვლიანობის დასადასტურებლად ჰკითხა, თორემ არ დავიწყებია ამ ზევულია თუ ვიღაც ოხერის ნათქვამი.

– პურის მანქანის შოფერი ვიყავი, – გაიკრიჭა მანქანის წინა სავარძელში მჯდომი წვეროსანი.

შევარდნაძე ყურადღებით დააკვირდა. ამის ცნობას რაღა უნდოდა? ან აქამდე რას ელოდიაგებოდა:

– ვინ ვარო, რა თქვი? ზევული – არა? ზევული კი არა, მამაძაღლი ლოთი. . .

\*\*\*

– ლოთი რატომ, ბატონო ჩემო? სადამოს ცოტა დაუღვევიათ ბიჭებს, რა ვუყოთ მერე? სამაგიეროდ თავისი საქმე იციან უმაღლეს დონეზე. ია ვამ გოვორიუ! სხვებმა უარი თქვეს. რაღაც უაზრობებს იმიზეზებენ, თორემ, პო პრავდე გოვორია, ეშინიათ. ვერც გაამტყუნებ. ბუხტაში ჰაერსაწინააღმდეგო სტრელით და იგლით შეიარაღებული აფხაზური კატერები დგანან, – თავის კილოზე საკმაოდ ხმამაღლა ელაპარაკებოდა შოთა კვირიაის ავიატორისპერანგიანი კაცი.

შევარდნაძე ძილ-ღვიძილიდან სასწრაფოდ გა-  
მოფხიზლდა. მიიხედ-მოიხედა; მანქანა აეროპორტის  
ასაფრენ ბილიკზე იდგა. თვითმფრინავთან ვიღაცები  
ფუსფუსებდნენ.

– შოთა, რა ხდება? მიუფრინავთ? – სიზმარი უკვე  
აღარ ახსოვდა შევარდნაძეს.

– ბატონო ედუარდ! იქნებ, ნუ გავრისკავთ და  
ხეობისკენ მანქანებით დავიძრათ. აქ არეული სი-  
ტუაციაა. ამ კაცმა ვიღაც ორი ნასვამი რუსი და  
ერთი ქართველი მფრინავი იპოვა და მხოლოდ ეს  
ეკიპაჟია თანახმა გაფრენაზე. ახლა თვითმფრინავს  
ხელს შევავლებთ და ბათუმამდე ჩაგიყვანთ, საწვავი  
თბილისამდე არ გვეყოფაო. მტერი ენდო ამათ.

ამ ომში უცნაური ამბები ხდებოდა. ყველამ  
შესანიშნავად იცოდა, რომ აფხაზებს მრავალთავიანი  
რუსული ურჩხული ოპერაციების დაგეგმვით, იარაღით,  
ავიაციით, საზღვაო ფლოტით და ბაიანის თანხლებით  
მოწყობილ სააგიტაციო რეიდებში შეგროვებული  
მოხალისეებით ესმარებოდა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა,  
უცხო არ იყო საქართველოში მცხოვრები  
რუსებისთვის, რომლებიც, მიუხედავად ამისა, სულით  
და გულით იბრძოდნენ ქართველების მხარდამხარ და  
განსაკუთრებული თავგანწირვითაც გამოირჩეოდნენ.  
ამას წინათ ვიღაც ამბობდა, რომ ჩვენს ბატალიონში  
პირველი დაღუპული ჯარისკაცი რუსი იყო და  
საბრძოლო პოზიციებზე სამუდამოდ დარჩენილი ბოლო  
მებრძოლიც ჯერჯერობით რუსი გამოდგაო. პირველი  
უშაკოვი იყო, მეორეს “კუკუშკას” ვეძახდითო.

– მაგ მფრინავებს ახლა მტერი ნუ ენდობა, თორემ მე ვენდობი. შოთა, სასწრაფოდ თბილისში უნდა ჩავიდეთ. ჭუბერით არ წავალ. ჩრდილოეთისკენ გახედვაც არ მინდა. არავის ვათქმევინებ, შევარდნაძემ კუდამოძუებულმა ძუნძულ-ძუნძულით დატოვა სოხუმიო, – ომახიანად და ყოჩაღად გამოუვიდა.

“კუდამოძუებული,” ონ ხოროშო სკაზალ. რუსები ხომ ისედაც მელიას ეძახიან – ბელი ლის,” – გაიფიქრა აეროპორტის თანამშრომელმა და ერთ-ერთ მფრინავს ხმამაღლა გასძახა:

– გონა! ვალერას და ვოვას უთხარი: აეფრინავთ, ტფუ ტი, ქართულად ხომ მაინც ვერ ვისწავლე, ნუ ვობშემ: ეზლეტაემ!

\*\*\*

1993 წლის 28 სექტემბრის დილის ოთხი საათი ხდებოდა, როდესაც ლოდინით გათანგულმა Ty-134-ის მგზავრებმა შევარდნაძე სალონში დაიგულეს და შვებით ამოისუნთქეს. თვითმფრინავის კარი წკაპუნით ჩაიკეტა. გარედან ძრავების სისინი აღწევდა. კაბინიდან მკაფიოდ გაისმა დისპეტჩერის ხმა: «курс сто семнадцать!»

მხოლოდ მფრინავებმა იცოდნენ ამ ბრძანების შინაარსი.

თუ ორიოდე დღის წინ სოხუმის აეროპორტიდან მშვიდობით გაფრენილი ბოლო Як-40 რდილო-აღმოსავლეთით მდებარე კავკასიონისკენ მკვეთრად

აიჭრა ცაში და სანაპიროს გასწვრივ განლაგებული  
“აფხაზური ფლოტისთვის” მიულწეველი აღმოჩნდა,  
ახლა ასზე მეტი მგზავრით გადატვირთული  
თვითმფრინავი დასავლეთით მდებარე ზღვის მხარეს  
უნდა აფრენილიყო. გადარჩენის შანსი მხოლოდ იმ  
შემთხვევაში ექნებოდათ, თუკი აეროპორტის რადარმა  
სწორად დააფიქსირა, რომ მტრის უახლოესი  
სამხედრო საზღვაო ხომალდი ნაპირიდან მართლაც  
საკმაოდ მოშორებით იმყოფებოდა და მფრინავებიც  
შესძლებდნენ მკვეთრად მარცხნივ მოხვევას.

\*\*\*

სოხუმიდან 117 კურსით აფრენილი Ty-134 ჯერ  
ბათუმის აეროპორტში დაჯდა, საწვავი დაიმატა და  
იმავე დღით მშვიდობიანად დაეშვა თბილისში.


\*\*\*

სოხუმის დაცემიდან მესამე დღეს კი აფხაზურად  
წოდებული სამხედრო ფორმირებები საქართველო-  
აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ბაიან-  
გარმონის ჰანგების თანხლებით მივიდნენ და მდინარე  
ენგურთან აფხაზური დროშის აღმართვა რუსული  
არყით აღნიშნეს.

ეს ამბავი 1993 წლის 30 სექტემბერს მოხდა.

ასტროლოგიური კალენდრის მიხედვით **მთვარის  
მეთხუთმეტე ანუ სატანისეული დღე იღვა!**





გუსტავ დორე. ესაია

**ვიფიქრე: ვაი მე, დავიღუპე, რადგან ბაგეთუწმინდური  
კაცი ვარ და ბაგეთუწმინდურ ხალხში ვცხოვრობ-  
მეთქი, ჩემმა თვალებმა კი მეუფე, ცაბათო უფალი  
იხილეს.**

**/ესაია. 6. 5/**

## ეპილოგი

იგავი რომ დავამთავრე, ეტყობა, ისევ ეშმაკმა არ მომასვენა, რაღაც-რაღაცების გადამოწმება მომინდა და ასროლოგების ვებ გვერდზე (**ASTROLAB.RU**) შევედი.

დადასტურდა:

1. მთვარის 29-30-დღიანი ციკლებიდან სატანისეულად მიიჩნევა ოთხი დღე: **მეცხრე, მეთხუთმეტე, ოცდამესამე და ოცდამეცხრე.**

2. გურიის მხენელ-მთესველთა რესპუბლიკის დაცემის დამე, **1906 წლის 10 იანვარი**, მთვარის კალენდრის მეთხუთმეტე ანუ სატანისეულ დღეს დადგა;

3. ქიმიური იარაღი კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოიყენეს ქალაქ იპრთან **1915 წლის 22 აპრილს**, მთვარის კალენდრის მეცხრე ანუ სატანისეულ დღეს;

4. პირველი ატომური ბომბი ხიროსიმაში აფეთქდა **1945 წლის 6 აგვისტოს**, მთვარის კალენდრის ოცდამეცხრე ანუ სატანისეულ დღეს;

5. საქართველოს აფხაზეთი მოწყვიტეს **1993 წლის 30 სექტემბერს**, მთვარის კალენდრის მეთხუთმეტე ანუ სატანისეულ დღეს;

6. სხვათა შორის, იტალიის ქალაქ ასიზში მდებარე ბაზილიკის თაღზე ჯოტო დი ბონდონეს მიერ შესრულებულ ფრესკაზე სატანის გამოსახულების არსებობის შესახებ კაცობრიობამ შეიტყო **2011 წლის 5 ნოემბერს**, მთვარის კალენდრის მეცხრე დღეს, რომელიც ასტროლოგიურად სატანისეული იყო.

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი.

\*\*\*

სატანა კი, აკაკი წერეთლის სულიკოსი არ იყოს, არაერთგან დავლანდე. არ ვიცი, შეიძლება თვითონ სხვაგვარად ფიქრობს, მე კი მგონია, რომ იგი ადამიანზე ძლიერი არ არის.